# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 ივლისი 1999 №139 (912) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| საქართველო | 62 |
| ლატვია | 72 |

## შვიდეულის სანატრელი გაგვიხდა

ევროპის კადეტ კალათბურთელთა ჩემპიონატის დასასრულის მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო მოკრძალებული ხდება მასში მონაწილე საქართველოს ნაკრების მიზანი.

სამშაბათ საღამოს, ჯგუფური ეტაპის დასასრულისას, ქართველთა მიზანი მედლისთვის ბრძოლა იყო. ხუთშაბათ საღამოს მედლებზე ოცნება დასრულდა, სამაგიეროდ, მეხუთე ადგილის მოპოვების პერსპექტივა გაჩნდა. გუშინ საღამოს კი ეს მირაჟიც გაქრა და ახლა მხოლოდ მეშვიდე ადგილია ხელის გაწვდენაზე...

გუშინ ქართველი კადეტები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად ლატვიელებთან — 62:72. დღეს მეშვიდე ადგილისთვის ჩვენებურების მეტოქე ესპანეთი იქნება, რომელმაც მაკედონიასთან 77:91 წააგო. მეხუთე ადგილისთვის კი ლატვია და მაკედონია ითამაშებენ.

## დინამოს დენიტ დონდტი დაიყაბულა

თბილისელთა კარს ბელგიელი დენიტ დონდტი დაიცავს

## 27 ივლისი როტორის განკითხვის დღეა

„ალანიასთან“ მატჩის ჩაშლა ვოლგოგრადელებს, ალბათ, ძვირად დაუჯდებათ

## აზმაიფარაშვილი: PERSONA ~~NON~~ GRATA

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და ამერიკა შერიგდნენ

## მსაჯებს სცემენ და მსაჯებიც სცემენ

„ლოკომოტივი 2“-ის მორაგბე ბესო ბერიძეს მსაჯი გია ჯავახიშვილი მუშტი-კრივში არ ჩამორჩა

Under 18

# საქართველო — ესპანეთი 1:4

## იტალია ფინალში ქართველები საქართველოში



ემზარ ზენაიშვილი

ოტვიდაბერგიდან

ოტვიდაბერგი
23 ივლისი
21.15 საათი
კოპარვალენი
255 მაყურებელი

**საქართველო 1:4 ესპანეთი**

0:1 კამაჩო (34პ), 0:2 სეზარ გონსალესი (51), 0:3 კამაჩო (57), 1:3 გაგუა (65), 1:4 კორონა (90)

საქართველო: ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი (დევიძე 74), ზ. ხიზანიშვილი, ე. საჯაია, აბრამიძე, ზ. მენთეშაშვილი, დილმელაშვილი, ო. გველესიანი (ჯ. მუჯირი 35), გ. მიქაძე (რ. გოცირიძე 68), იმედაძე, ვ. გაგუა

ესპანეთი: დანი, პატო ბერნალი, დელ ჰორნო (გარსია ჰარო 80), აბელ მუნიოსი (კორონა 67), კამაჩო, სანტამარია, ბარბერი, სეზარ გონსალესი, სანჩესი, ტრაშორასი, აგანსო (მარიო 67)

გაფრთხილება: სანჩესი (43), აგანსო (52), სეზარ გონსალესი (62), პატო ბერნალი (82), იმედაძე (85)

მსაჯები: კ. კაპიტანისი (კვიპროსი), მ. ისელი (შვეიცარია), ლ. ლაპტი (ფინეთი)

უეფას დელეგატი:

პირველი ტაიმი ძალიან დაძაბული იყო. ორივე გუნდის ფეხბურთელები ნერვიულობდნენ და ხშირად ცდებოდნენ. ამის დასტურია ისიც, რომ ჩვენს მეკარე ზურაბ ბათიაშვილს ბურთი პირველად ოცდამეხუთე წუთზე მიუვიდა, ესპანელებისას კი — მეთვრამეტეზე.

34-ე წუთზე ხუან ხოსე კამაჩომ ოლეგ გველესიანის უხეშობის გამო დანიშნული პენალტი გაიტანა. 41-ეზე ირლანდიელებთან ორჯერ გამტანმა ვალერი გაგუამ ხელიდან გაუშვა ანგარიშის გათანაბრების ასპროცენტიანი შანსი.

პირველ ნახევარში სუსტად ითამაშა ქართველთა ნახევარდაცვამ, ერთხელ კი ზურაბ ბათიაშვილმა აშკარა გოლს გადაარჩინა ჩვენები.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები ისევე უსუსურად გამოიყურებოდა, როგორც იტალიასთან შეხვედრისას.

51-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული თავით გაიტანა სეზარ გონსალესმა. ექვს წუთში კარის ძელიდან ასხლეტილ ბურთს პირველმა კამაჩომ მიუსწრო და ანგარიში 0:3 გახდა.

ამის მერე საქართველოს ნაკრები ოდნავ გამოცოცხლდა. 77-ე წუთზე საჯარიმოში წააქციეს ვალერი გაგუა და მანვე გამოიყენა თერთმეტმეტრანი.

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი შეცვლაზე შესულმა მიგელ ანხელ გარსია კორონამ მეოთხედ აილო ბათიაშვილის კარი.

ესპანელები ამ ბოლო მატჩშიც გამოირჩნენ არამხოლოდ კარგი, არამედ უხეში თამაშითაც: მათ აქამდე ორ მატჩში 7 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს, ქართველებთან კი ესპანელები არბიტრმა ოთხჯერ გააფრთხილა. ჯგუფური ტურნირის მიწურულს ქართველებს დასაკვეხნი ერთიღა თუ აქვთ, ფეირ პლეის პრიზს მათ ვერავინ შეეცილება. გია იმედაძე, ვინც ამ მატჩში მეტოქის საჯარიმოში სიმულანტობისთვის „გააყვითლეს“, მეორე ქართველი იყო იოსებ დევიძესთან ერთად, ვისაც ასეთი „პატივი ერგო“.

ქართველ თვრამეტწლამდელთა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა მატჩის შემდეგ ეს გვითხრა: ამ მატჩის კომენტარი ზედმეტია, რადგან ყველაფერი ისედაც ნათლად გამოჩნდა, ვეთანხმები იმ აზრს, რომ როცა გუნდი აგებს, აგებს მწვრთნელი, ხოლო როცა იგებს, იგებენ ფეხბურთელები. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა ჩემი დასახული გეგმის მხოლოდ 20-25 პროცენტი შეასრულა. ამჯერად საჭიროა, შვედეთში ჩვენი გამოსვლის გულმოდგინე ანალიზი. შეცდომებს ბოლომდე ჩავულრმავდებით, რათა მომავალში უკეთ წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყანა.

**იტალია 2:0 ირლანდია**

1:0 გრაფიედი (71), 2:0 მარესკა (90)

| B ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ბოსკამპი ეინდჰოვენის შესაძლო მეტოქეობით უკმაყოფილო არ არის, მაგრამ ჯერ მხოლოდ ზიმბრუზე ფიქრობს

### გუშინ ჟენევაში გამართულმა ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი წრის წილისყრამ თბილისის „დინამოს“ და კიშინიოვის „ზიმბრუს“ შორის გამარჯვებულს მეტოქედ ჰოლანდიური „ეინდჰოვენი“ არგუნა



REUTERS ფოტოქრონიკა

*გუშინვე გერმანიიდან თბილისში გამოსამგზავრებლად გამზადებულ „დინამოს“ მწვრთნელ იოჰან ბოსკამპს შესაძლო მეტოქეზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:*

*— უკმაყოფილო არ ვარ, შესაძლო იყო, „ზიმბრუსთან“ მოგების შემთხვევაში გაცილებით ძლიერ მეტოქესთან მოგვწეოდა თამაში. რა თქმა უნდა, პსვ-ზე საკმაო ინფორმაცია მაქვს, კარგად ვიცი მათი ნაკლი და ღირსება, თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, ჯერ „ზიმბრუ“ უნდა დავამარცხოთ. ღმერთმა ქნას, კიშინიოველებს გავცდეთ, რისი დიდი იმედიც მაქვს და ჰოლანდიელებზე უფრო ვრცლად მერე გეტყვით.*

კენჭისყრის სრული შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე

## თბილისის «დინამოს» შესაძლო მეტოქე

**პსვ ეინდჰოვენი ეინდჰოვენი, ჰოლანდია**

დაარსდა: 1913 წელს
პრეზიდენტი: ჰარი ვან რააი; მწვრთნელი: ერიკ გერეტსი (ბელგია)
სტადიონი: „ფილიპსი" (ტევადობა 30 024)
ჰოლანდიის ჩემპიონი (14): 1929, 35, 51, 63, 75, 76, 78, 86, 87, 88, 89, 91, 92, 97
ჰოლანდიის „ამსტელის" თასის მფლობელი (7): 1950, 74, 76, 88, 89, 90, 96
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1): 1988 (ფინალი: „ბენფიკა" პორტუგალია 0:0, პენ. 6:5); უეფას თასის მფლობელი (1): 1978 (ფინალი: „ბასტია" საფრანგეთი 0:0, 3:0); ევროპის სუპერთასის ფინალისტი (1): 1988 (ფინალი: „მეხელენი" ბელგია 0:3, 1:0); საკონტინენტთაშორისო თასის ფინალისტი (1): 1988 (ფინალი: „ნასიონალი" ურუგვაი 1:1, პენ. 6:7)

# დინამოს ისევ ჰოლანდიაში ელიან

## კენჭისყრის კომენტარისას გერეტსი ერთდროულად ოპტიმისტიც იყო და რეალისტიც



ერიკ გერეტსი

17 წლის შემდეგ ბელგიელი ერიკ გერეტსი შეიძლება თბილისში დაბრუნდეს, ამჯერად როგორც „პსვ ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელი. 1982 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში გერეტსმა, როგორც ბელგიის „სტანდარდის" მცველმა ითამაშა, მაშინ ვლადიმერ ლენინის სახელობის თბილისის ცენტრალურ სტადიონზე.

გუშინდელი კენჭისყრის კომენტარისას გერეტსმა სწორედ 17 წლის წინანდელი ამბები გაიხსენა: „მაშინ „დინამოს" მშვენიერი გუნდი ჰყავდა: ძალიან კარგად მახსოვს მაშინდელი მატჩი. „სტანდარდმა" მხოლოდ სიმონ ტაჰამატას მშვენიერი თამაშის წყალობით შეძლო ფინალში გასულიყო. ტაჰამატა ორივე შეხვედრაში საუკეთესო იყო".

წილისყრის შემდგომი გერეტსის კომენტარი ჰოლანდიურმა მედიამ შეაფასა როგორც ოპტიმისტური და ამასთან ერთად რეალისტური. „მე ნანახი მაქვს ვიდეომასალა „დინამოს" მონაწილეობით შარშან „ტილბურგის" წინააღმდეგ. მაშინ ქართველებმა ჩემზე მეტად შეუთამაშებელი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს: რაც შეეხება მოლდოვურ გუნდს, მასზე არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია" — განაცხადა გუშინ გერეტსმა.

„ბრიუგედან" წასული ერიკ გერეტსი „ეინდჰოვენს" სათავეში წლეულს ჩაუდგა. ბელგიელმა ინგლისელი ბობი რობსონი შეცვალა, რომლის ექსპერიმენტულმა და დაულაგებელმა პსვ-მ, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით გამოსტაცა ხელიდან არნემის „ვიტესს" ჩემპიონთა ლიგის საგზური.

ლიგისა და ჩემპიონატისთვის მზადება გერეტსის გუნდმა 10 ივლისს დაიწყო, ხუთი საკონტროლო მატჩი გამართა და 51 გოლი გაიტანა.

მზადებას პსვ დღეს თანაქალაქელ „დენ ბოშთან" შეხვედრით გააგრძელებს. 27 ივლისს კი ბერძნელ პაოკ-ს ეთამაშება. გერეტსს 29-შიც თამაში აქვს დაგეგმილი: ჰოლანდიურ VVV-სთან.

31 ივლისს „ეინდჰოვენი" ბელგიაში გადაინაცვლებს, სადაც სავარაუდოდ „გენკსა" და „ანტვერპენს" ეთამაშება. 3 აგვისტოს გერეტსის გუნდის მეტოქე ლივერპულის „ევერტონი" იქნება. 5-6 აგვისტოს ეინდჰოვენელები ესპანეთში კოლომბინოს ტურნირში ითამაშებენ. 11 აგვისტოს კი უკვე ლიგის მატჩია თბილისში... ან... თუმცა ვიყოთ ოპტიმისტები.

აღსანიშნავია, რომ „ზიმბრუს" დამლევის შემთხვევაში „დინამოს" ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს „ფილიპსის" სტადიონზე მოუწევს თამაში, რომელზეც ევროპის ჩემპიონატისთვის დაწყებული რეკონსტრუქცია სწორედ გუშინ დასრულდა და ახლა „ფილიპსი" არაჩვეულებრივად გამოიყურება.

**სიმონ მენაბდე**



„ფილიპსის" სტადიონი

# ზიმბრუს სათვალავში არავინ აგდებს

**კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ეინდჰოვენში გოგა გახოკიძესა და პსვ-ს რუს ფეხბურთელებს — დმიტრი ხოხლოვსა და იური ნიკიფოროვს შევეხმიანეთ. რა თქმა უნდა, ჰოლანდიური კლუბის შესაძლო მეტოქეებზე მათი აზრი გვაინტერესებდა**



*დმიტრი ხოხლოვი:* პირადად მე თბილისის „დინამოსთან" თამაში მირჩევნია. დარწმუნებული ვარ, ლამაზი და საინტერესო მატჩი იქნება. „ზიმბრუსთან" პსვ-ს შეხვედრას კი აზრი არა აქვს, მათ უეჭველი დავამარცხებთ, თანაც ძალებსაც დავზოგავთ. მართალია, საბოლოო შედეგისთვის ასე აჯობებს, მაგრამ მე უინტერესო მატჩში გამარჯვებას დაძაბულ ბრძოლაში მოგება მირჩევნია და, ალბათ, ასეც იქნება. „დინამო" ხომ „ზიმბრუზე" ძლიერი გუნდია. კენჭისყრის შედეგით კი კმაყოფილი ვართ. შესაძლებელი იყო, გაცილებით ძლიერი მეტოქე შეგვხვედროდა. რაც შეეხება პროგნოზს, ეს არასდროს გამიკეთებია, თანაც „დინამოს" შესაძლებლობები კარგად არ ვიცი.

*იური ნიკიფოროვი:* „ზიმბურსთან" თამაშს ვამჯობინებ. ქართველებთან მოგება ძალიან გაგვიჭირდება და იმიტომ. თანაც გავიგე, რომ „დინამო" ბოლო ხანს გაძლიერებულა. გოგამ მითხრა, ლიგაში მოხვედრას სერიოზულად ფიქრობენო. იოჰან ბოსკამპზეც მსმენია, აქაურები აქებენ, ძლიერი მწვრთნელიაო. თავად კი „დინამოს" თამაში კარგა ხანია, არ მინახავს. ბოლოს თანამეგობრობის თასზე დავუპირისპირდი დინამოელებს. მაშინ „სპარტაკში" ვთამაშობდი და ნახევარფინალში თბილისელები გაჭირვებით დავამარცხეთ 2:1. ჩემი სურვილის მიუხედავად კი ჩვენთან, გუნდში, მომავალ მეტოქედ ყველას თბილისის „დინამო" ჰგონია. თუ ასე მოხდა, სწორად გამიგეთ, უკმაყოფილო



დავრჩები. თანაც ერთია, „ზიმბრუ" რომ შეგვხვდეს, შინ ჩასვლასაც მოვახერხებ, კიშინიოვიდან ოდესამდე ხომ ორი საათის გზაა.



*გოგა გახოკიძე:* „დინამომ" თუ „ზიმბურსაც" ველარ მოუგო, წასულა ქართული ფეხბურთის საქმე და ეგაა. კენჭისყრის შემდეგ თითქმის ყველა თანაგუნდელმა მითხრა, თბილისში მივდივართო. დარწმუნებულიც ვარ, ასე მოხდება. „დინამოსთან" მატჩისას კი უპირატესობა პსვ-ს ექნება. გუნდის მწვრთნელად გერეტსის დანიშვნის შემდეგ აქ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა პსვ გაცილებით ხისტ ფეხბურთს თამაშობს, ვარჯიშებზე გვხოცავს, სასტვენს თითქმის არ ხმარობს. ტაქტიკურადაც რობსონზე უფრო გამართულად გვათამაშებს. სხვა რა გითხრათ, დანარჩენი თბილისში იყოს, თუ სხვა გუნდში არ გადავედი, პსვ-ს საქართველოში აუცილებლად ჩამოვყვები.

**ჰოლა ინასარიძე**

## ჩემპიონთა ლიგა. მესამე შესარჩევი ეტაპი
I წრე — 10-11 აგვისტო; II წრე 24-25 აგვისტო

| | |
|---|---|
| დინამო (თბილისი, საქართველო) / ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) | რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) / სკონტო (რიგა, ლატვია) |
| რაპიდი (ვენა, ავსტრია) / ვალეტა (მალტა) | გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) |
| ფიორენტინა (ფლორენცია, იტალია) | ლიტექსი (ლოვეჩი, ბულგარეთი) / ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) |
| ოლბორგი (დანია) | დინამო (კიევი, უკრაინა) / ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) |
| ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) / მოლდე (ნორვეგია) | მალიორკა (ესპანეთი) |
| ლიონი (საფრანგეთი) | მარიბორი (სლოვენია) / გენკი (ბელგია) |
| კროაცია (ზაგრები, ხორვატია) | ვესტმანაეიარი (რეიკიავიკი, ისლანდია) / მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) |
| ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი) / გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | პარმა (იტალია) |
| ბოავიშტა (პორტუ, პორტუგალია) | სლოგა იუგომაგნატი (სკოპიე, მაკედონია) / ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) |
| აეკ (ათენი, საბერძნეთი) | დნეპრტრანსმაში (მოგილევი, ბელარუსი) / აიკ (სოლნა, შვედეთი) |
| ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) / ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | ვალენსია (ესპანეთი) |
| ჰერტა (ბერლინი, გერმანია) | ანართოსისი (ფამაგუსტა, კვიპროსი) / სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) |
| სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) / რიეკა (ხორვატია) |
| შტურმი (გრაცი, ავსტრია) | სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია) |
| ტეპლიცე (ჩეხეთი) | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისის «დინამოს» მეტოქე

# ზიმბრუ უმწვრთნელოდ რჩება

თბილისის „დინამოს" მეტოქეს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, კიშინიოვის „ზიმბრუს" უკრაინელი მწვრთნელი სემიონ ალტმანი შესაძლოა გუნდიდან წავიდეს.

გუშინ დონეცკის ტელევიზიით გამოსვლისას ალტმანმა განაცხადა, რომ ამიერიდან უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე დონეცკის „მეტალურგს" გაწვრთნის, კლუბს, რომელიც უკრაინაში დონეცკის „შახტარის" ფარმკლუბის რეპუტაციით სარგებლობს.

ოდესელი ალტმანის გადაბირებას სწორედ „შახტარის" მთავარ მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცს უკავშირებენ. ირლანდიურ „სენტ პატრიკთან" შეხვედრამდე „ზიმბრუმ" მზადება ჩეხეთში გაიარა, სადაც ორი მატჩი გამართა მოსამზადებლად იქვე მყოფ „შახტართან".

სააგენტო „უკრაინ სოკერის" ცნობით, ბიშოვეცსა და ალტმანს შორის მოლაპარაკება სწორედ ჩეხეთში შემდგარა. ბიშოვეცს ალტმანისთვის კარგი პირობები და საუკეთესო რეზერვის აღზრდა შეუთავაზებია. ალტმანი დათანხმებულა. გუშინ ეს ინფორმაცია უკრაინულ სპორტულ გაზეთ „კომანდას" დონეცკის „მეტალურგის" პრეზიდენტმაც დაუდასტურა.

ამბავმა ალტმანის გადაბირების შესახებ კიშინიოვამდეც მიაღწია და ისედაც გაუარესებული უკრაინულ-მოლდოვური ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა. საქმე ისაა, რომ დავალიანების გამო გუშინწინ უკრაინამ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა მოლდოვას, რის გამოც დედაქალაქი კიშინიოვი ჩაბნელებულია.

„ზიმბრუს" რეაქცია იმდენად სერიოზული იყო, რომ ალტმანი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. მოლდოვას ჩემპიონი თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ორივე მატჩს სემიონ ალტმანის ხელმძღვანელობით გამართავს.

4 აგვისტოს (კიშინიოვში განმეორებითი მატჩი სწორედ ამ დღეს შედგება), შემდეგ კი ალტმანი დონეცკის მეორე გუნდს ჩაუდგება სათავეში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტის გამჟღავნების შემდეგ „დინამო" — „ზიმბრუს" წყვილში ქართველების შანსები შესამჩნევად გაიზარდა.

**სიმონ მენაბდე**

## თბილისის «ლოკომოტივის» მეტოქე

# ლინფილდის პირველი მარცხი

ხუთშაბათს ბელფასტში, „იუნძორ პარკის" სტადიონზე, ოთხთა ტურნირი დაიწყო, რომელსაც „ბელფასტ ჩელენჯი" ჰქვია. გახსნის მატჩში, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე, თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქე „ლინფილდმა" ინგლისურ „ლივერპულს" უმასპინძლა და 0:4 წააგო. ადგილობრივი ჟურნალისტების თქმით, „ლინფილდის" გამარჯვებას არც არავინ ელოდა, „ლივერპულმა" სავსებით ლოგიკურად გაიმარჯვა.

ბელფასტელებს პირველი კარგი მომენტი მეშვიდე წუთზე შეექმნათ, როცა კაპიტან ჯონ ისტონის ჩაწოდებულს ჯემი მარკსმა თავი დაუხვედრა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. მე-14 წუთზე კი სტუმრები დაწინაურდნენ. „ლინფილდის" დებიუტანტმა გარი პორტერმა საკუთარ კარში გაიტანა. პირველ ტაიმში მასპინძლებს კიდევ ერთი შანსი მიეცათ, როცა თბილისში ნათამაშევი ცენტრფორვარდი კრის მორგანი 42-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე (47-ე წუთზე) დენი მერფიმ მეორე გაუტანა ლინფილდელებს. კიდევ ხუთ წუთში ჯონ ისტონმა ითამაშა საკუთარ საჯარიმოში უხეშად და ჯეიმი რედნაპმა პენალტი ზუსტად გამოიყენა. 63-ზე კი ნორვეგიელი ჰეგემის პასით „ლივერპულის" ჩეხმა პატრიკ ბერგერმა 18 იარდიდან მეოთხეც შეაგდო და ამით დაამთავრა „ლინფილდის" განადგურება.

ჩვენი ბელფასტელი კოლეგების თქმით, „ლინფილდის" მოთამაშეებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, მაგრამ მეორე ნახევარში „ლივერპულმა" ჩინებული ფეხბურთი ითამაშა და მასპინძლებს წარმატების ყოველგვარი შანსი მოუსპო.

დღეს ტურნირის მეორე მატჩში „ლინფილდი" ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონსა და დაუძინებელ მტერს, „გლენტორანს" ეთამაშება.

**სოლომონ გულისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დინამოს დონდტი დაიყაბულა

დღეს საღამოს ფრანკფურტიდან საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ შინ დაბრუნდება. 20 დღიანი შეკრება ჰოლანდიასა და გერმანიაში დამთავრდა. იოჰან ბოსკამპმა ის ფეხბურთელებიც შეარჩია, რომელთა გვარებიც ჩამოწერა და უეფას გაუგზავნა. ეს სია ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კი ნამდვილია, რომ „დინამოს“ განაცხადში ერთი ბელგიელი მეკარე დენიტ დონდტია, ვისთანაც მოლაპარაკება ფაქტობრივად ჩაშლილი გახლდათ, აკი ვწერდით კიდეც, დონდტმა „დინამოს“ უგანაო. ყველაფერი გუშინ გადაწყვეტილა, ბელგიელ მეკარეს საბოლოოდ განუცხადებია თანხმობა საქართველოს ჩემპიონ გუნდში თამაშზე და ბრაზილიელ დე სოუზასთან ერთად უახლოეს ექვსს თვეს თბილისელებთან დაჰყოფს.

დინამოელები გუშინ ბოლო ამხანაგურ მატჩში გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „მაინცს“ შეხვდნენ და 1:4 წააგეს.

წუხელვე „დინამოს“ მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა გვითხრა, რომ ჩვენებურთ ძალიან ცუდად უთამაშიათ: ეს იყო უცუდესი მატჩი, რომელიც დინამოელებმა ამ ოცი დღის განმავლობაში ითამაშეს. ასე თუ გავაგრძელებთ, „ზიმბრუც“ მოგვიგებსო, დაამატა ბოსკამპმა.

**კობა ინასარიძე**

# არჩილმა ბრონდბიუ იუარა

არჩილ არველაძის დანიელმა აგენტმა, ივან ბენეშმა უარი შეუთვალა დანიურ „ბრონდბიუს“, რომელმაც ქართველ თავდამსხმელთან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმების სურვილი გამოთქვა. უმცროსი არველაძე კვლავ „ბრედაშია“ და აქტიურად ემზადება მეორე დივიზიონში სათამაშოდ. „ბრედამ“ პირველი საკონტროლო მატჩი მესამელიგელ „ზვანტეს“ სტუმრად 6:1 მოუგო. ანგარიში ვერსტიგმა გახსნა, მერე საიმონსმა და კრისტიანომ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. ამის შემდეგ აჩიკოს დრო დადგა და მანაც ორჯერ დალაშქრა „ზვანტეს“ კარი. ბოლო, მეექვსე გოლი მილიჩიჩის ანგარიშზეა.

„ზვანტეს“ შემდეგ „ბრედა“ აპელდურნში AGOVV-ს შეხვდა, რომელიც ასევე მესამე ლიგაში თამაშობს და 3:0 მოიგო. ორი აჩიკომ გაიტანა, ერთიც საიმონსმა. „ბრედა“ ივლისის ბოლომდე კიდევ ორ მატჩს გამართავს.

**სიმონ მენაბდე**

# არივედერჩი სინიორ!

როგორც ჩანს, ზღვისპირელებმა ერთმანეთის ჯიბრში დგომას სიამტკბილობა არჩიეს.

ადრე კი... ოღონდ ახლა „ბათუმთან“ მომაგებინა და მეტი არაფერი მინდაო — ასე ფიქრობდნენ ერთ დროს ფოთელები და ბათუმელებიც...

არაა გამორიცხული, ეს „ტრადიცია“ დაირღვეს, თუმცა მართლა მოხდება ეს თუ არა, ამას მოახლოებულ XI ჩემპიონატში ვნახავთ, მანამდე კი...

ამას წინათ, „ბათუმმა“ პირველი საკონტროლო მატჩი სწორედ „კოლხეთთან“ გამართა და ფოთელები „ფაზისზე“ 4:1 გაანადგურეს, თუმცა „კოლხეთმა“ ის მატჩი სრულიად სახეშეცვლილმა, ახალგაზრდული შემადგენლობით ითამაშა, გუშინწინ კი კოლხებმა სრულფასოვანი ვერა, მაგრამ რევანში მაინც აიღეს, „ბათუმი“ მისსავე მოედანზე რუსთავის „გორდადან“ მოსული ახალწვეულის, მამუკა მელაძის პირველივე ტაიმში გატანილი გოლით 1:0 დაამარცხეს.

თქმა არ უნდა, „კოლხეთის“ მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ დანაპირები შეასრულა. დღეს „კოლხეთში“ ფოთელი ვეტერანებისა და შალამბერიძე-ანჯაფარიძის დუეტის გარდა სრულიად ახალი ფეხბურთელები ვარჯიშობენ, ორშაბათიდან კი „კოლხეთის“ გაბერილი, 35-კაციანი შემადგენლობა გაიცხრილება და გუნდში ის 22-25 ფეხბურთელი დარჩება, ვის იმედზე ყოფნაც მოუწევს გია ტყებუჩავას XI ეროვნულ ჩემპიონატში. ყოველივე ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა „კოლხეთის“ ის შემადგენლობა, რომლითაც ბათუმელებს ეთამაშა: მ. გვასალია, ანჯაფარიძე (კედელაშვილი), ტორჩინავა, გოროზია (პაპავა), შალამბერიძე, გ. გიორგაძე (ბაჩილავა), მ. მელაძე (მგელაძე), ფაცურია (ინიაშვილი), ზ. კვეკვესკირი (ქუნთელია), სიმონიშვილი (მაკალათია), კრასოვსკი (ბურჭულაძე); აი, სწორედ ამ ხალხით მოუგო ტყებუჩავამ ჯანი კარნევალეს „ბათუმს“, თუმცა ისიც სათქმელია, რომ იტალიელმა ამ მატჩში, ისევე როგორც „ტორპედოსთან“ ამასწინდელი შეხვედრისას, ფართო ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო. ხომ თქვა, „სარბიელთან“ ინტერვიუში, საქართველოში საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდობააო. ჰოდა, კარნევალეც თავის პროფესიულ ცოდნას, ადგილობრივ, ბათუმელ ახალგაზრდებს უზიარებს, მაგრამ გუნდში არც გამოცდილ გვარდიაზე ამბობს უარს. ეგაა, ვინც არ მოეწონება, იმას იტალიურად მიმართავს, არივედერჩი, სინიორ...

სწორედ ასე მიმართა მან „ბათუმში“ მოთამაშე ბადრი ფუტკარაძეს და ზღვისპირელები მასაც შეელივნენ.

მაინც ვინ ვარჯიშობს დღეს „კოლხეთში“? „გორდადან“ საკუთარი ნებით წამოსულების — ამირან კედელაშვილისა და მამუკა მელაძის შესახებ გუშინდელი „სარბიელის“ „საზაფხულო მიდი-მოდიში“ შეამჩნევდით. საიუბილეო X ჩემპიონატში გავარდნილ ლანჩხუთის „გურიაში“ დარჩენა სამეულმა — ზაზა ინიაშვილმა, ირაკლი ფაცურიამ და ზაზა კვეკვესკირმა არ ისურვეს და ისინიც ტყებუჩავას მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. ასევე გურიიდან, ოღონდ ოზურგეთის „მერცხალიდან“ მივიდა „კოლხეთში“ კახი მგელაძე. ფოთელებმა რომ ახალგაზრდების უმეტესობა ფარმკლუბიდან და „ფაზისიდან“ აიყვანეს, ესეც გეცოდინებათ. მათ კიდევ ერთი ფაზისელი ირაკლი მაკალათია შეემატათ, დანარჩენები კი აქამდეც იყვნენ გუნდში. კოლხებმა „ბათუმთან“ მატჩში გარკვეული მიზეზების გამო ორი ახალწვეული, თავდამსხმელები — დათო გოგოლაძე და დავით ხუჭუა მოისაკლისეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გია ტყებუჩავა ზედმეტი ხალხის გაცხრილვას ორშაბათიდან დაიწყებს და 22-25 კაცს დატოვებს. „კოლხეთს“ კიდევ ორი საკონტროლო აქვს დაგეგმილი — სამტრედიის „იბერიასთან“ და თბილისის „ლოკომოტივთან“ თარიღები ჯერ ვერ შევათანხმეთ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ორივეს ივლისში შევხვდებითო.

„ბათუმში“ კი ამ დროს რა ხდება? ტრავმები აწუხებთ ამირან მუჯირს, ავთანდილ ღლონტს, თემურ გადელიას და ვანო მახარაძეს. კარნევალესგან დათხოვნილებს ბადრი ფუტკარაძე კი შეემატა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს თუ ვერწმუნებით, ორი კაცი კიდევ დაგვტოვებს, ვინ, ჯერ უცნობიაო. ვინ იქნება ის ორი, ვისაც კარნევალეს საძნელო ფრაზის მოსმენა მოუწევს, მალე გაირკვევა.

„ბათუმმა“ ზედიზედ მეორე საკონტროლო მატჩში განიცადა მარცხი, მანამდე ხომ მათ „ტორპედოსთან“ 0:4 დათმეს, თუმცა დამარცხებებში ზღვისპირელებს არ ანაღვლებთ. კარნევალე პროფესიონალია, ძირითადად ახალგაზრდებს ცდის და ამიტომაც წაგებები ჩვენთვის არ არის საგანგაშო, პირიქით, ის ხარვეზები ნათლად წარმოჩინდება, რაც გუნდშია, რომელსაც კარნევალე აღმოფხვრისო — იმშვიდებენ თავს კლუბის ხელმძღვანელები. ფოთელთა დარად „ბათუმსაც“ სპარინგ-პარტნიორად „იბერია“ და „ლოკომოტივი“ ჰყავს შეგულებული, სამტრედიელებს შინ 25 ივლისს გაეჯიბრებიან, „ლოკომოტივს“ კი — 31 ივლისს. ბათუმელებს მეზობელ თურქებთანაც სურთ გაჯიბრება, „ტრაბზონსფორი“ ან „რიზესფორი“ თუ მოიცლიან, ალბათ, შევხვდებითო.

...ეს არის და ეს. ისე, „ბათუმთან“ მოგებამ „კოლხეთის“ ხელმძღვანელობა ძალიან გაახარა, რაც მაგრები ვართ, ფოთელები ვართო, ხუმრობდნენ ისინი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მკვეხარა შვედები და შინწასული ფრანგები

**ემზარ ზენაიშვილი**
**ლინჩიოპინგიდან**

ხუთშაბათს საქართველოს ნაკრებში ჩვეულებრივი საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. ფეხბურთელები კარგ გუნება-განწყობილებაზე იყვნენ; ცრემლებიც კარგა ხანია შეაშრათ — ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალთაგან ბევრს დაუფარავად რომ ჩამოსდიოდა, ზოგიერთს კი თავი გახდილ მაისურაში ჩაერგო და ქვითინებდა.

თამაშის წინა საღამოს, ვარჯიშის შემდეგ, ისევ ტელევიზორთან ისხდნენ: შვედეთ — საბერძნეთის მატჩს რომ აჩვენებდა. შემდეგ „ეკოქსენის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული მშვენიერი პარკის მინდორზე ხელბურთის ბურით წრეში ფეხბურთის თამაში გააჩაღეს. ისე მოხდა, რომ ზურაბ მენთეშაშვილს კაგა ხანს მოუწია წრის შუაგულში დგომა — ვერა და ვერ მოახერხა ბურთს შეხებოდა და სწორედ ამ მომენტში დაუძახა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა — „მენთეშ, არაფერი გეშველება, კიდევ დიდხანს გარბენინებენ, სანამ მე-6 ნომრიან მაისურას არ ჩაიცვამო“. ირლანდიელებთან ზურაბის — მშვენიერი თამაშის კარგი გამოძახილი იყო.

ვის არ შეხვდებით ლინჩიოპინგში: ტურნირში მონაწილე და არმონაწილე ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა პრეზიდენტებსა და ვიცე-პრეზიდენტებს, გენერალურ მდივნებს, მაღალი რანგის სხვა ფუნქციონერებს; აქვეა ესპანეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო; უეფას ექსპერტები ყველა გუნდს რომ ხვდებიან, გაოცებას ვერ მალავდნენ, როცა გაიგეს, რომ საქართველოს ნაკრები ჩემპიონატის წინ სრული შემადგენლობით მხოლოდ და მხოლოდ 4-5 დღით ადრე შეიკრიბაო.

დღეს დილით სამშობლოში გაემგზავრა საფრანგეთის ნაკრები. ტურნირის წინ მათ ბევრი უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას, ბოლო-ბოლო მსოფლიოს ჩემპიონის ქვეყანას წარმოადგენდნენ და გარდა ამისა წინასწარ ჯგუფურ და გადასასვლელ 5 მატჩში 15 ბურთი გაიტანეს და მხოლოდ ორი მიიღეს საკუთარ კარში. შვედეთში კი სამ მატჩში ერთხელ მოახერხეს მეტოქის კარის აღება, ორი გაშვებული ბურთიდან კი ერთი თავადვე გაიტანეს. ესეც კია, ბოლო მატჩში პორტუგალიელთა მეკარე სასწაულებს სჩადიოდა. ასეა ფეხბურთში ხშირად მეკარე თამაშს იგებს, ან კიდევ აგებს.

თავიანთ კლუბებს მიაშურეს შვედებმაც, რომლებსაც მედლების რეალურ პრეტენდენტებად მიიჩნევდნენ. პირველმა მატჩმა ფრანგებთან ეს პრეტენზიები გაამყარა კიდეც. ბევრს იკვეხნიდნენ იმითაც, რომ 1998-99 წლების ჩემპიონატისთვის მზადებისას მათ ჩაატარეს 20 ამხანაგური შეხვედრა თორმეტი ქვეყნის ნაკრებთან, ევროპის საფეხბურთო ელიტაში რომ შედიან, მოიგეს თერთმეტი, წააგეს 5 (აქედან ორი პენალტებით), გაიტანეს 40 და გაუშვეს 18 ბურთი. შვედებს ვერც საკუთარმა მინდორმა და ვერც მაყურებელთა მხარდაჭერამ უშველა — რამდენიმე ათასი რომ იყრიდა მათ თამაშზე თავს.

ისე მოხდა რომ A ჯგუფში ფავორიტები შინ გაემგზავრნენ, აუტსაიდერებად მიჩნეულნი კი მედლებისთვის იბრძოდნენ. როგორც აქ მიაჩნიათ ბერძნებს კარგად დაბალანსებული და კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე გუნდი ჰყავთ. ისე მათ შემყურეს ასაკშიც კი შეეპარება კაცს ეჭვი. მაინც ვფიქრობ, რომ ბერძნები დაცვის ხარჯზე უფრო გავიდნენ ფონს. სამი ფრე, ორი გატანილი და ორიც გაშვებული ბურთი საკმარისი აღმოჩნდა ბრინჯაოსთვის საბრძოლველად.

პორტუგალიელთა თამაში არ მინახავს, მაგრამ შვედებთან და ფრანგებთან მოგება ბევრზე მეტყველებს. როგორც ჩანს პორტუგალიაში ახალგაზრდებს შორის ფეხბურთის განვითარებას ჯეროვან ყურადღებას უთმობენ. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე 18-წლამდელთა ფინალურ მატჩში მეხუთეჯერ არიან, თუმცა ოქრო ჯერჯერობით არ მოუპოვებიათ. დანიაში ამ ათი დღის წინ დამთავრებულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში კი პირველი ადგილი დაიკავეს.

ქართველი ფეხბურთელები სპეციალობით ტურიზმის ჩინოვნიკის, 36 წლის კვიპროსელი მსაჯის კოსტას კაპიტანისის სასტვენის ხმაზე ჯგუფში უკანასკნელ, მესამე მატჩს დაიწყებენ, ისე კი, შესაძლოა, ბოლოსწინასაც. ჩვენს ბოლო მეტოქეს გარდა იმისა, რომ ისიც ჩემპიონატის ფავორიტად მოიხსენიებოდა დღემდე თავი დიდ არაფრით გამოუჩენია — ჩვენების არ იყოს, მათაც ერთი ქულა აქვთ, ოღონდ, ქართველებთან შედარებით საკუთარ კარში ერთით ნაკლები ბურთი აქვთ გაშვებული.

ირლანდიასთან მატჩის შედეგს თავი რომ დავანებოთ, კაცმა არ იცის, როდის გაგვახსენებს თავს იტალიელებთან მატჩის ბოლო წუთზე გაშვებული ბურთი. ნაკრების მწვრთნელები სწორედ იმ ბურთს იხსენებდნენ დანანებით ოთხშაბათს საღამოს.

ესპანეთთან წარმატების შემთხვევაში ხომ არამარტო სამსოფლიოსჩემპიონატო ხუთეულზე, არამედ მესამე ადგილისთვის მატჩზეც შეიძლება ფიქრი, არადა, შეიძლება, სწორედ იმ ერთმა გოლმა დაგვალალატოს.

თუმცა, ვნახოთ...



შვედთა კაპიტანი ნილს ერიკ იოჰანსონი ბერძნებთან ფრის შემდეგ

CORREN ოტვიდაბერგიდან



ესპანელ მარიოს (№10) იტალიელი მარესკა და კასელი (№3) ასდევნებიან

REUTERS ლინჩიოპინგიდან

## ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი

### A ჯგუფი

III ტური

**ოტვიდაბერგი 22 ივლისი**
კოპარვალენი (2 315 მაყურებელი)

**საბერძნეთი 1:1 შვედეთი**

1:0 ვაკუპცისი (61), 1:1 ეკენბერგი (83)

**საბერძნეთი:** ა. პაპადოპულოსი, ხარალაბაკისი (მუტიდისი 24), ხორიანოპულოსი, ტავლარიდისი (თეოდორიდისი 80), ნასტოსი, ვენეტისი, იორდანიდისი (ვაკუპცისი 54), პასიოსი, ხარისტიასი, სიაბანისი, ტარალიდისი

**შვედეთი:** ორესკოვიჩი, აუგუსტსონი, იოჰანსონი, ლინდბერგი, სამუელსონი (სიობერგი 12), ტამანდი, ბერგმანი (ეკენბერგი 71), ფარნერუდი, ლინდსტრიომი, პრიკა, ლუნდენი (ბაკირსიოღლუ 46)

**გაფრთხილება:** ხორიანოპულოსი (25), იოჰანსონი (28), ლინდბერგი (30), იორდანიდისი (48), პასიოსი (61), თეოდორიდისი (90)

**მსაჯი:** ტ. მიკულსკი (პოლონეთი)

**მუტალა 22 ივლისი**
იდროტსპარკი (493 მაყურებელი)

**საფრანგეთი 0:1 პორტუგალია**

0:1 ჟოაო პედრო სანტუში (74)

**საფრანგეთი:** ფრეი, მარშალი, ტრაორე, ბერსონი, კონე, იაპი (დელპორტი 78), მალბრანკი, ფრო (ვანდენბოში 46), მადუნი, მალუდა, სირიექსი

**პორტუგალია:** ალბერგანია, პედრო კოშტა, რიკარდო კოშტა, ვასკო ტეშეირა, კანდიდო კოშტა, ჟოაო პაულო რიბეირო (პედრო ფელიპე 64), ვალენტე (ჟოაო პედრო სანტუში 58), ფელიპე ტეშეირა (ჟოაო ალვეში 46), სემედუ, მონტეირო, მოტა

**გაფრთხილება:** მოტა (15), ფრო (40), კანდიდო კოშტა (58), ჟოაო ალვეში (65), ვანდენბოში (76), ვასკო ტეშეირა (83), ბერსონი (84)

**გაძევება:** მალუდა (89), სირიექსი (90)

**მსაჯი:** ე. ცური (ისრაელი)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| შვედეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |

*ფინალი: პორტუგალია — იტალია; მატჩი მესამე ადგილისთვის: საბერძნეთი — ირლანდია*

# გოდოლადან ყუმბარამდე

ორი კვირის წინ „სარბიელი" გიორგი ყიფიანს გაესაუბრა. იგი, როგორც იცით, საბერძნეთის „არისის" კუთვნილება გახლდათ და კლუბს პირველი დივიზიონის „პანეტელიკოში" ჰყავდა განათხოვრებული. როცა იქაური გათამაშების ამბები ვკითხეთ, გიორგიმ ერთი ჩვენებურის შესახებაც გვიამბო — გოდერძი ნატროშვილი, გოდოლა, ხომ გახსოვთ. ჰოდა, მისი „პანახაიკი" უმაღლეს დივიზიონში ალზევდა. გოდერძი კი ამ გუნდის სული და გული იყო. მას ძალიან ემადლიერებიან.

აბა, გოდოლა როგორ არ გვახსოვს. ფეხბურთელი, რომელიც პირდაპირ მინიფეხბურთიდან მოვიდა დიდ ფეხბურთში.

1995 წელს საქართველოდან კვიპროსში გადაბარგებულმა ნატროშვილმა სხვა ქართველ ფეხბურთელთან ერთად ხმელთშუა ზღვისპირა კუნძულზე დაიწყო ბურთაობა. იმ ხანებში თემურ ქეცბაია საბერძნეთის აეკ-ის ღირსებას იცავდა და სწორედ იქიდან ამოყო თავი „ნიუკასლში". აეკ-ის მესვეურებმა გოდოლას გუნდში უხმეს. ტრანსფერის დასრულებას არაფერი უკლდა, ნატროშვილს ახალი კლუბის მაისურაც გადასცეს და... კონტრაქტის გაფორმების წინა დღეს აეკ-ი რუმინელმა სპეციალისტმა ჩაიბარა. ახალმა მწვრთნელმა თვისტომი ფეხბურთელები იახლა თან და ჩვენებურის აყვანაზე უარი განაცხადა.

გოდოლა საქართველოში დაბრუნდა. მისი ჩამოსვლა ქართული გუნდების ევროსარბიელისთვის სამზადისს დაემთხვა. ინტერტოტოს თასის გათამაშებაზე გამსვლელმა ქუთაისის „ტორპედომ" ნატროშვილსა და აგრეთვე კვიპროსიდან მობრუნებულ პაატა ჯინჭარაძეს დახმარება სთხოვა. გოდოლამ „ერებუნის" წინააღმდეგაც ითამაშა ერევანში. მერე კი „ტორპედოს" მაშინდელმა პრეზიდენტმა ბესო ჯიქიამ ნატროშვილის კლუბში დატოვება რატომღაც იუარა და ნაწყენმა გოდოლამ თბილისს მოაშურა. შინ მისულს ორი ფაქსი დაახვედრეს, ისრაელიდან და საბერძნეთიდან მიწვევას უთვლიდნენ.



გოდერძი ნატროშვილი (შუაში) პადრელთა კუმირად იქცა

ფეხბურთელმა ელადაში წასვლა არჩია და პირველ დივიზიონში დაქვეითებული „პანახაიკის" წევრი გახდა.

საბერძნეთის პირველ დივიზიონში გატარებული სეზონი ნატროშვილისთვის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. მისი თანაგუნდელი იყო ბუბა ტყავაძეც. მაგრამ ბუბამ სულ რამდენიმე მატჩი ჩაატარა და უკან გამობრუნდა. იგი კლიმატურ პირობებს ვერ შეეგუა.

თვრამეტგუნდიანი გათამაშების ფინიში ძალზე დრამატული გამოდგა. ბოლო ტურში ხუთი გუნდი ინარჩუნებდა უმაღლესი დივიზიონის საგზურის მოპოვების შანსს. არადა, ეს ბედნიერება მხოლოდ სამ მათგანს ელოდა.

„პანახაიკი" მშობლიურ ქალაქ პადრაში მასპინძლობდა „კალიფეას". დაძაბულ ბრძოლაში მასპინძლებმა 4:3 მოიგეს და კვლავ უძლიერესთა ელიტას დაუბრუნდნენ. ამ მატჩში გოდოლამ ორი საგოლე პასი მიითვალა. იგი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ნატროშვილი პადრელთა კუმირად იქცა. ძლიერი დარტყმის მფლობელ ჩვენებურს მეტსახელად „ყუმბარა" შეარქვეს. ბერძენმა ჟურნალისტებმა კი იგი სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო ლეგიონერად შერაცხეს.

34 მატჩიდან გოდოლამ 29-ში ითამაშა და ცხრაჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი. ნატროშვილი 20-ჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

წარმატებული სეზონის შემდეგ ჩვენებურს საბერძნეთის სოლიდურმა კლუბებმა დაადგეს თვალი, მაგრამ „პანახაიკი" ცოცხალი თავით არ თმობს ქართველ ნახევარმცველს. გუნდში იუგოსლაველი მწვრთნელი მიიწვიეს და პადრელებიც უმაღლეს დივიზიონში ღირსეულად საასპარეზოდ ემზადებიან.

ვისაც მინიფეხბურთელი ნატროშვილის თამაში ახსოვს, შეიძლება ფოტოზე გამოსახული გოდოლა ვერც შეიცნოს. მაშინ იგი 90 კგ-ს იწონიდა. ახლა კი 28 წლის გოდერძი 69 კილოგრამია. ნებისყოფა და პროგრესიც ასეთი უნდა...

**ხვიჩა სანიკიძე**

# სკოტებმა ნიუკასლი [illegible]

„საშინელება", „კატასტროფა", „დაბნელება" — ასე უცერემონიოდ შეაფასეს ნიუკასლელმა ჟურნალისტებმა რუდ გულიტის გუნდის მორიგი მარცხი შოტლანდიაში. „ნიუკასლი" ამჯერად „დანდი იუნაიტედმა" იმსხვერპლა. 62-ე წუთისთვის „დანდი" უკვე ათახსირებდა ინგლისურ კლუბს. ანგარიში, არც მეტი, არც ნაკლები, 3:0 იყო!

გულიტმა „ნიუკასლი" ასეთი შემადგენლობით ათამაშა: პერესი, შარვე, დაბიზასი, დომი, გომა, კერი, მაკლინი, სპიდი, ქეცბაია, მარიჩი, სერანტი.

„დანდიმ" პერესი უკვე მე-6 წუთზე დაამწუხრა. „ნიუკასლის" ფრანგულ დაცვას დოდსი გაექცა და ანგარიში გახსნა. 14 წუთში ინგლისური კლუბის მცველები შვედმა პატერსონმა გააპამპულავა და 2:0.

გულიტის გუნდი ასეთ დასაწყისს აშკარად არ მოელოდა და ბრინჯივით დაიბნა. შირერისა და დანკან ფერგიუსონის არყოფნაში ქეცბაია და მარიჩი ჩვეულად ვერ ირჯებოდნენ. მცველები კი ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ. განსაკუთრებით ცუდად თამაშობდნენ ფრანგები — დომი, გომა და ბერძენი დაბიზასი.

62-ე წუთზე მესამე გოლი ჯონსონმა გაიტანა. ამის შემდეგ თამაში მიწყნარდა, რითაც 70-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა რობინსონმა ისარგებლა და მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე პრესტიჟის გოლი გაიტანა — 1:3. ქეცბაიამ კვლავ სრულად ითამაშა.

**სიმონ მენაბდე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე (?) | ს. გიგაძე, ვ. გიგიაძე (იბერია), გ. შენგელია (დინამო), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), ზ. ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), დევაძე (ირონი, აშდოდი, ისრაელი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდეჰ (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტარნ ვეოგი (ჰოლანდია) 2:1, კილმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფენჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანიძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), მაქაცარია, ყულევიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ღამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1 |
| **არსენალი** *დავით ნახავა* | ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), ბურნაძე (ვანსფორი, თურქეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, დარსაძე (იბერია), გ. კილასონია (გორდა) | მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიშვილი (თამაშიმიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე (სამგურალი-2) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | დ. ჩიგოშვილი (ლარნყალი), ფოფხაძე (ივერია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ზ. ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ნიკურაძე, ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი) | ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, ბათუმი 1:4, 1:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ბ. ამბიძე (?, ისრაელი), გ. კვეტენაძე, დ. ჭელიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყებია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი, ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, თბილისი 2:2, ჭაბუკიანი 1:0 |
| **იბერია** *ხოხო ფრუიძე* | ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ქველაძე, გ. დოლიძე (?) | გ. ჯანელიძე, დარსაძე (სამგურალი), ასათიანი (ტორპედო 2), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე, თ. მაღლაკელიძე, ხარძიშვილი (ფაზისი), ჟვანია (ოკეანე), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი) | კოლხეთი 0:3, ლოკომოტივი 0:0 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), მდივანი (?) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | გ. კილასონია (სამგურალი), თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე (?) | ახალაძე (სამგურალი), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ღამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნივა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე) | გარეჯი 13:0 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის

# გორდას რად უნდა ფული



იასონ ალადაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რატომღაც პირველი ეროვნული ჩემპიონატი მახსენდება. ცხრა წლის წინ რუსთაველებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. არა, ბრინჯაოს მეტალურგებმა ორი წლის შემდეგაც გაუგეს გემო, მაგრამ მაშინდელი სხვა იყო, რაღაცნაირად გამორჩეული. ალბათ, იმიტომ, რომ პირველი იყო. იმ პირველი ჩემპიონატის პირველი სამეულიც მახსენდება: „იბერია“. „გურია“ და „გორდა“.

ამ ცხრა წლის განმავლობაში ცვლილებები სამივე კლუბმა განიცადა, თბილისელებმა — უმნიშვნელოდ. დედაქალაქურმა კლუბმა მხოლოდ სახელი იცვალა — „იბერია“ ძველებურად „დინამო“ გახდა და დღემდე უწყვეტი ჩემპიონური სვლაც განაგრძო. „გურია“ კი ტკბილ მოგონებად იქცა გულშემატკივრისთვის და სამუზეუმო ექსპონატად — ქართული ფეხბურთისთვის.

და „გორდა“. რუსთაულმა კლუბმა ტანჯვა-წვალებით სწია ჭაპანი და სულთმბრძოლმა მოატანა დღემდე. რა თქმა უნდა, ბევრჯერ ყოფილა, კლუბები ჯგუფიდან გავარდნილან, ან საერთოდ დაშლილან, მაგრამ მერე ისევ აღორძინებულან და მეტიც, გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევიათ. მე კი დარწმუნებული ვარ, X საიუბილეო ჩემპიონატში „გორდა“ პირველი ლიგიდან რომ გავარდნილიყო, რუსთავში ფეხბურთი მოკვდებოდა. ჩემს თამამ მოსაზრებაზე მარტივი პასუხი მაქვს — „გორდას“ რჩეულთა შორის მყოფსაც არ ჰყავდა მომვლელ-გამკითხავი, მეორე ჯგუფში დაქვეითების შემთხვევაში კი ამ კლუბისთვის თითსაც არავინ გაანძრევდა. რაც უნდა მოხდეს, არა მგონია, რუსთაველ ფეხბურთელებს (მათი ძირითადი ბირთვი წლეულსაც შენარჩუნებულია) გასული „უხელფასო“ ჩემპიონატი დაავიწყდეთ. გუნდის ხელმძღვანელებსაც არ მოეთხოვებათ ბევრი. რა უნდა ექნათ მათ, როცა მთლიანად ქალაქს უჭირდა ერთადერთი კლუბის შენახვა, მადლიან სპონსორზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაგრამ „გორდა“ მაინც დარჩა პირველ ლიგაში და შესაძლოა, ამით ბევრ ქართულ კლუბს (პირველ ყოვლისა, თავის თავს) ცუდი მაგალითი მისცეს. ბევრმა იქნებ ისიც იფიქროს, რა საჭიროა ხელფას-პრემიები, აგერ „გორდა“ ჯიბეცარიელი, კაპიკის დაუხარჯავად შემორჩა პირველ ლიგასო.

დღეს კი... ქალაქის ხელმძღვანელობამ თითი გაანძრია და კლუბს შემოსავლად ბაზრის მოგების 40 პროცენტი დაუწესა. ფეხბურთელებსაც ასასი ლარი დაურიგდათ და პირველი აგვისტოს მოლოდინში არიან — ამ დღეს მათ ორი თვის ხელფასი მიეცემათ და გუნდიც ვარჯიშობს...

„ფოლადზე“ მისულს ერთობ საქმიანი ატმოსფერო დამხვდა. აუტანელ სიცხეში მოედანზე 22 კაცი ტრიალებდა. იქვე, მოედნის სიახლოვეს, ტრიბუნის ქვემოთ მოთავსებულ საკუჭნაოში კი გუნდის ექიმი და „გორდას“ ერთგული ადმინისტრატორი თამაზ გაბრიჭიძე ფეხბურთელებს სადილს უმზადებდნენ. ისე, ექიმიც ახალმისულია კლუბში, მანამდე მის ფუნქციებსაც ბატონი თამაზი ითავსებდა. ასეა, საბანი სანამდეც გაგწვდესო...

გუნდს მთავარი და მეორე მწვრთნელები ავარჯიშებენ. იასონ ალადაშვილს კარს მომდგარ ჩემპიონატში თამაზ დოლაშვილი დაეხმარება. დოლაშვილს ფეხბურთში მუშაობის დიდი სტაჟი აქვს. იგი რუსთავში წლების განმავლობაში ამზადებდა ბავშვთა გუნდებს. სხვათა შორის, მისი გამოზრდილია კახა ცხადაძე, ნუგზარ ლობჟანიძე და დღევანდელ „გორდაში“ მოთამაშე ფეხბურთელთა დიდი ნაწილი.

ჩვეულებრივი დილის ვარჯიშია, ფეხბურთელები ძირითადად ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე მუშაობენ. ხუთ-ექვს წრეს ადგილზე ვარჯიშები ენაცვლება, მერე ისევ სირბილი, მოედნის კუთხეში გაჩაღებული „ერთი შეხება“ და კვლავ სირბილი. მწვრთნელთან საუბარში გართული თვალებით ახალგაზრდა ირაკლი მიქავას ვეძებ. იგი ყველაზე მეტს მოძრაობს. ბურთის ფლობისას მშვენიერ ტექნიკურ ილეთებს აკეთებს.

16 წლის ფეხბურთელი რუსთავში დაბადებულ-აღზრდილია. გასულ სეზონში „დინამო 3“-ში თამაშობდა და საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების უცვლელი წევრი იყო. ირაკლიმ ჩემი ყურადღება ამასწინანდელ „გორდა“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრაში მიიპყრო. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა მაყურებლებზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ტანმორჩილმა, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავმა სიქა გააცალა ვეტერინართა მცველებს და ტრიბუნაზე კანტიკუნტად მჯდომთ აპლოდისმენტებიც არაერთხელ დასტყუა.

იასონ ალადაშვილი იმედიანადაა განწყობილი — შარშანდელი სეზონის მოგონება მზარავს, დღეს თითქოს უკეთესობისკენ წავიდა საქმე, ხელფასებიც დარიგდა და მეტი სტიმულიც მოგვეცა, თანაც შეამჩნევდით ზოგიერთ ისეთ ფეხბურთელს, რომელთა გუნდში დარჩენის შემთხვევაში სერიოზული მიზნებისთვისაც შეგვეძლება ბრძოლა.

ცოტა რამ იმათზეც ვთქვათ, ვისიც მთავარ მწვრთნელს ეიმედება. ზემოთაც აღვნიშნე — „გორდამ“ გასული ჩემპიონატის შემადგენლობის თითქმის მთლიანი ბირთვი შეინარჩუნა, ეგ არის, რამდენიმე დღის წინ კლუბი მელაძეს და კედელაშვილს დაუტოვებიათ. ალადაშვილის თქმით, ისინი ფოთის „კოლხეთში“ ლამობენ გადასვლას, მაგრამ, როგორც ჩანს, „გორდას“ ხელმძღვანელობა არ აპირებს მათთვის მწვანე შუქის ანთებას.

— ისინი გაუფრთხილებლად წავიდნენ და არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ განთავისუფლების ფურცლებს. თანაც ორივე მათგანი დიდ ძალას წარმოადგენს ჩვენი გუნდისთვის და ყველანაირად ვეცდებით, ისინი „გორდას“ დავუბრუნოთ.

ცივილიზებული ფორმით გაშორდა კლუბს ვალერი ზირაქაძე. იგი საბერძნეთში მეორე ლიგის გუნდში [illegible]ჯება, თუმც არ არის გამორიცხული, ისევ „გორდას“ დაუბრუნდეს.

— ეს შემადგენლობა თუ შევინარჩუნეთ, არ გაგვიჭირდება — გაიმეორა მთავარმა მწვრთნელმა და თვალი მოედანზე მოვარჯიშე ფეხბურთელებისკენ გააპარა. მთავარმა მწვრთნელმა პირველ რიგში, ალბათ, გიორგი კილასონია იგულისხმა, რომელმაც „სამგურალი“ დატოვა და „გორდას“ რიგებში ემზადება. თუმც ამგვარი კლუბებისთვის კილასონიას დარი ფეხბურთელი ერთობ ძვირი სიამოვნებაა და გიორგის „გორდაში“ ყოფნა-არყოფნაც კლუბის ბიუჯეტზეა დამოკიდებული. აქვეა თამაზ მეტრეველი, გამოცდილი, „გორდას“ დიდების უშუალო მონაწილე ფეხბურთელიც. თუმცა მისი კლუბში დარჩენაც ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. მეტრეველი გასულ სეზონში საბერძნეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდში თამაშობდა და შესაძლოა ბერძნებმაც მის სანაცვლოდ გარკვეული კომპენსაცია მოითხოვონ.

გაურკვეველია კახა სიდამონიძის საკითხიც. იგი „გორდასთან“ ერთად კი ემზადება, მაგრამ უცხოურ კლუბში თამაშის ვარიანტიც გამოუჩნდა და საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.

სხვა ახალწვეულების საკითხი კი გადაწყვეტილია — თელიაშვილი (ლარწყალი), ბუკია (თსუ), მიქავა (დინამო 3) და გიორგი ხაზანიშვილი XI ჩემპიონატს „გორდას“ რიგებში შეხვდებიან.

— პირველი აგვისტოდან 12-დღიან შეკრებას გავივლით კაზრეთში და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც ჩავატარებთ. ჩვენი მოსამზადებელი პერიოდიც ამით ამოიწურება, შემდეგ კი ჩემპიონატი გამოაჩენს ყველაფერს. გაგიმხელთ, ჩვენი მიზანი პირველ ეტაპზე ოთხეულში მოხვედრა იქნება — გაგვიმხილა იასონ ალადაშვილმა.

ჩემპიონატი მართლაც ყველაფერს გამოაჩენს. ისე, რუსთაველებმა ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები თუ შეინარჩუნეს, ურიგო პერსპექტივა სულაც არ უჩანთ და იქნებ ალადაშვილმაც შეასრულოს დანაპირები.

ბააჩა ქვანტალიანი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თამაზ დოლაშვილი და გიორგი ხაზანიშვილი



რუსთაულ ოცეულს მთავარი მწვრთნელი მიუძღვება



გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

„ფოლადს“ მორწყვა სჭირდება

# ერთ კვირაში კინი თავისუფალია

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ირლანდიელ კაპიტან როი კინს მომავალ კვირას კლუბთან კონტრაქტის ვადა გასდის. ფეხბურთელის თქმით, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, დარჩება თუ არა გაისად მანჩესტერში, საკითხის გარკვევაში დიდი მნიშვნელობა მის გასამრჯელოს ექნება.

აქამდე კინი, კონტრაქტის პირობების თანახმად, კვირაში 28 ათას გირვანქას იღებდა, ფეხბურთელს კი სურს, კვირაში არანაკლებ 40 ათასი მიიღოს.

— არარეალურს არაფერს ვითხოვ. უბრალოდ, მინდა, მივიღო ის, რაც მეკუთვნის, მით უმეტეს, კლუბში არიან ფეხბურთელები, რომელთაც ჩემზე გაცილებით მეტი გასამრჯელო აქვთ — განაცხადა 31 წლის მცველმა.

თუ „იუნაიტედი“ კინთან კონტარქტს არ გაარძელებს, მაშინ იგი „ბოსმანის წესის“ თანახმად თავისუფალი აგენტი გახდება. თუ კლუბი დატოვა, მანჩესტერელები მის სანაცვლოდ ვერაფერს მიიღებენ.

კინს, რომელიც „იუნატედში“ 1993 წელს „ნოტინგემ ფორესტიდან“ გადავიდა, მილანის „ინტერი“, რომის „ლაციო“ და ტურინის „იუვენტუსი“ ეპატიჟებიან, თუმცა სად გააგრძელებს ირლანდიელი კარიერას, ჯერ ცნობილი არაა.



როი კინი

# როტორი სამშაბათს განიკითხება

რუსეთის ჩემპიონატის მე-17 ტურში მომხდარი სკანდალური ფაქტის შესახებ ქვეყნის საფეხბურთო კავშირი მომავალ კვირაში იმსჯელებს.

ოთხშაბათს ვლადიკავკაზში „ალანია“ — „როტორის“ მატჩი 68-ე წუთზე შეწყდა. ვოლგოგრადელმა ფეხბურთელებმა კლუბის ხელმძღვანელების დაჟინებული მოთხოვნის გამო მინდორი დატოვეს. მიზეზი მსაჯობით უკმაყოფილება იყო.

თამაშის 66-ე წუთზე სტუმართა თავდამსხმელი აბრამოვი და „ალანიას“ მეკარე ხაპოვი მასპინძელთა კარის სიახლოვეს ერთდროულად გაჩნდნენ ბურთთან, რომელიც საბოლოოდ კარში აღმოჩნდა, თუმცა თანამსაჯმა ალამი ასწია და მეკარეზე უხეში თამაში დააფიქსირა. ბურთიც არ ჩაითვალა. ერთი წუთის შემდეგ „როტორის“ საჯარიმოში ალანიელი პაგაევი წაიქცა და მსაჯმაც უყოყმანოდ პენალტი დანიშნა. ვოლგოგრადელთა მწვავე პროტესტმა შედეგი არ გამოიღო, „როტორმაც“ მოედანი დატოვა. ამ დროს ანგარიში 1:1 გახლდათ. მსაჯები და ალანიელები 15 წუთს ელოდნენ სტუმრებს, შემდეგ კი არბიტრმა საფინალოდ ჩაუსტვინა.

ყველაფერ ამას კი ფრიად საეჭვო ფაქტი უძღოდა წინ.

მატჩის შესვენებისას მთავარმა მსაჯმა, მოსკოველმა სერგეი ანოხინმა თავი შეუძლოდ იგრძნო. იქვე გავლილი სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო დასვენება ურჩიეს. ანოხინი მოსკოველმა თანამსაჯმა გეორგი სავჩუკმა შეცვალა. ამ უკანასკნელის ადგილი კი მეოთხე მსაჯმა — ვლადიკავკაზელმა ედუარდ ბეგიზოვმა დაიკავა. სწორედ მან არ ჩათვალა „ალანიას“ კარში გატანილი მეორე გოლი. აღსანიშნავია, რომ სავჩუკს აქამდე უმაღლესი დივიზიონში ერთი მატჩიც კი არ განუსჯია.

საეჭვო იყო ისიც, რომ შესვენების შემდეგ მინდორზე გამოსული „როტორი“ სამი წუთი ელოდა „ალანიასა“ და მსაჯთა ბრიგადას.

„ანოხინსაც და სავჩუკსაც მაღალი შეფასება მივეცი. მათ საქმეს თავი გაართვეს. რაც შეეხება სადავო მომენტებს, რომლებმაც ეს სკანდალი გამოიწვია, მათ სწორი გადაწყვეტილებები მიიღეს. პირველ შემთხვევაში მეკარეზე თავდასხმა იყო, ვოლგოგრადელი ხაპოვზე გაშლილი ფეხით ნავიდა, ხოლო მეორე ეპიზოდში პაგაევი აშკარად მოცელეს“ — განაცხადა შეხვედრის ინსპექტორმა ნიკოლაი შუშპანოვმა, რომელმაც, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, „როტორის“ უფროსობა მატჩის გაგრძელებაზე ვერ დაიყოლია. „კლუბის საპატიო პრეზიდენტ ვლადიმირ გორიუნოვსა და ტექნიკურ დირექტორ როხუს შოხს ვერაფერი შევასმინე, მათი თქმით, ამდენ უმსგავსობას ველარ მოითმენენ“ — დაამატა ბოლოს.

„ჩვენ პირველები ვართ მათ შორის, ვინც მსაჯების წინააღმდეგ გაილაშქრა“— განაცხადა ვოლგოგრადელთა პრეზიდენტმა ვლადიმირ გარიუნოვმა.

უფროსობის გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნია „როტორის“ ლიდერმა ოლეგ ვერეტენნიკოვმა — ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცით. ამდენი უსამართლობის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება.

„როტორის“ მთავარ მწვრთნელ ვიკტორ პროკოპენკოს კომენტარი კი ამგვარია: „ყველაფერი თავად ნახეთ. არბიტრმა გოლი ჩათვალა და ცენტრისაკენ გაემართა, თუმცა ბეგიზოვმა ალამი ასწია, ამის მიზეზი ვერ გავიგე. წესების სრული დაცვით გატანილი გოლი გაგვიუქმეს. წუთის შემდეგ კი თავად სავჩუკმა „გამოიჩინა“ თავი. მან პენალტი გამოიგონა. ჩვენმა მოქმედებამ იქნებ ახლა მაინც აიძულოს შესაბამისი პირები, ყურადღება მიაქციონ იმ სიბინძურეებს, რაც მსაჯობაში სუფევს. ეს ვოლგოგრადელთა განირვის პირველი შემთხვევა არ არის, „როტორს“ საკუთარ მინდორზეც ხშირად ჩაგრავენ. „ალანიასთან“ კი არანაირი პრეტენზია არ მაქვს. იგი კარგი გუნდია, თუმცა არ მესმის, რატომ ეხმარებიან მსაჯები ყოველთვის.“

თვითმხილველთა თქმით „ალანიას“ კარში გასული მეორე გოლის ჩათვლას სავჩუკი თავდაპირველად მართლაც აპირებდა, მაგრამ თანამსაჯის აწეულმა ალამმა გადააფიქრებინა. თუმცა „სპორტ ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მსაჯმა ეს თქვა: „ნაღდი ჯარიმა იყო. აბრამოვმა აშკარად უხეშად ითამაშა. ეს თავადაც კარგად დავინახე.“

თავისი აზრი „ალანიას“ თავკაცმა ვალერი გაზაევმაც გამოთქვა.

„როტორის“ ხელმძღვანელობა არასწორად მოიქცა. არსებობს შესაბამისი უწყება, სადაც შეგიძლია მსაჯობის გაპროტესტება. რამდენჯერაც წლეულს მსაჯობა არ მოგვეწონა, იმდენჯერ რომ ფეხბურთელები მინდვრიდან გამოგვეყვანა, ამ სეზონში ბევრი მატჩი არ დასრულდებოდა“ — თქვა ერთ დროს თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა, რომლის თავკაცობითაც 1995 წელს „ალანიამ“ რუსეთის ჩამპიონი გახდა.

ვოლგოგრადელები ამ საქციელისთვის, ალბათ, მკაცრად დაისჯებიან. რუსეთის საფეხბურთო კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორის, ლეონიდ ლიპოვოის აზრით, „როტორს“ 0:3 ნაგება უნდა ჩაეთვალოს. გადაწყვეტილების მიღებას ერთი ფაქტორი აფერხებს. კერძოდ, საფეხბურთო კავშირის მიერ შემუშავებულ 1999 წლის დებულების მე-17 თავში ჩამოთვლილია სხვადასხვა დარღვევა (მათ შორის მატჩის გაგრძელებაზე უარიც), რისთვისაც უნდა დაისაჯონ კლუბები, თუმცა ტექნიკური ნაგება სანქციებში არ შედის.

რუსეთის საფეხბურთო კავშირისა და პროფესიული საფეხბურთო ლიგის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტი სამშაბათს, 27 ივლისს მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. „განაჩენის გამოტანამდე გულდასმით შევისწავლით ყველა იმ მიზეზს, რაც მატჩის შეწყვეტას უძღოდა წინ“ — თქვა ლიპოვოიმ.

რუსული ფეხბურთის ისტორიას დღემდე ერთი დაუსრულებელი მატჩი ახსოვს. 1994 წელს, კამიშინში, იქაური „ტექსტილშჩიკისა“ და ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის“ შეხვედრის 87-ე წუთზე არბიტრმა სტუმართა კარში პენალტი დანიშნა, რისთვისაც კამაზელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ფეხბურთელების დაშოშმინება ომონმა მოახერხა, თუმცა დროებით. მასპინძლებმა პენალტი გამოიყენეს და ანგარიში გახსნეს. მსაჯი კი იძულებული გახდა, 87-ე წუთზე თამაში შეეწყვიტა. მაშინ „კამაზს“ 0:3 ჩაეთვალა და ხუთი მილიონი რუბლითაც დაისაჯა.

ვანო ოქროპირიძე




ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბის — „ლივერპულის“ ხელმძღვანელობის თქმით, მათი ახალგაზრდა თავდამსხმელი მაიკლ ოუენი სრულად გამოჯანმრთელდა და შესაძლოა, დღეს გასამართ შეხვედრაში ჰოლანდიის ჩემპიონ „ფეიენოორდთანაც“ ითამაშოს. 20 წლის ოუენი უკვე რამდენიმე კვირაა, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. კლუბის ექიმთა განცხადებით, იგი სრულიად მზადაა იმისთვის, რომ 90 წუთი დაჰყოს მოედანზე.

გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი, რომელიც გასულ სეზონს 8 მილიონ გირვანქად მიუნხენის „ბაიერნიდან“ „ნიუკასლში“ გადაბარგდა, იმედოვნებს, რომ მისი ამჟამინდელი კლუბი ხელს შეუწყობს მას, რათა „ლივერპულში“ გადავიდეს. შეგახსენებთ, რომ ჰამანის გადაბირების სურვილი ლონდონის „არსენალსაც“ ჰქონდა. მაშინ გერმანელი „მეთოფეებთან“ თავად აწარმოებდა მოლაპარაკებას, რისთვისაც „ნიუკასლმა“ 30 ათასი გირვანქით დააჯარიმა. „არ მესმის მისი. ვერ ვხვდები, რატომ სურს კლუბის დატოვება. გუნდში სულაც არ მჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც აქ თამაში არ სურს“ — თქვა ჩრდილოინგლისელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა რუუდ გულიტმა.

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი რიკარდო შიმეცა „ასტონ ვილადან“ 3 მილიონ გირვანქად (4,76 მილიონი დოლარი) პირველი დივიზიონის „ნოტინგემ ფორესტში“ გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ეს ნოტინგემელთა პირველი შენაძენია მას შემდეგ, რაც კლუბს ინგლისის ეროვნული გუნდის ყოფილი კაპიტანი დევიდ პლატი ჩაუდგა სათავეში: „მსურს, „ფორესტთან“ ერთად დავბრუნდე პრემიერლიგაში, პლატის მთავარი ამოცანაც ხომ სწორედ ეგაა“ — განუცხადა ინგლისელ ჟურნალისტებს ახალგაზრდა მცველმა.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა მფლობელმა, მარტინ ედვარდსმა, განაცხადა, არანაირი შესაძლებლობა არ არის იმისა, რომ კლუბმა ქვეყნის თასზე ითამაშოს. „მივმართეთ როგორც ფეხბურთის ასოციაციას, ისე ქვეყნის მთავრობას და იმის შემდეგ გადაწყდა — „იუნაიტედი“ ბრაზილიაში, კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას და ნურვის ჰგონია, რომ ამას ფინანსური მოგებისთვის ვაკეთებთ, უბრალოდ, ძლიერ გვსურს, 2006 წლის მსოფლიოს პირველობას სწორედ ინგლისმა უმასპინძლოს, რასაც შევუწყობთ კიდეც ხელს“ — თქვა ედვარდსმა.

იტალიის ქალაქ ლეჩეში მიმდინარე სამთა ტურნირზე ფლორენციის „ფიორენტინამ“ ბუქარესტის „რაპიდს“ სძლია 2:0. ორივე გოლი ენრიკო კიეზას გადაცემის შემდეგ გაბრიელ ბატისტუტამ შეაგდო. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის „რაპიდია“, რომელმაც ორი კვირის წინ თბილისის „დინამო“ დაამარცხა 2:1.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი გარი ნევილი ტრავმის გამო ახალი სეზონის დასაწყისს გააცდენს. ბოლო მატჩი, რომელშიც ნევილმა ითამაშა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო. „იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ ნევილს მკურნალობა და დასვენება სჭირდება. ამჟამად ნევილი შემსუბუქებული პროგრამით ვარჯიშობს და სავარაუდოა, რომ ინგლისის ნაკრების მატჩებსაც დააკლდება, რომელიც 4 სექტემბერს ლუქსემბურგს, 7 სექტემბერს კი პოლონეთს ეთამაშება.

# ვიერი — რონალდო დაიქუხებს სუპერდუეტი?

მილანის „ინტერის“ ახალმა ვარსკვლავმა კრისტიან ვიერიმ თხოვნით მიმართა იტალიურ პრესას, მას და რონალდოს დრო მისცენ შესათამაშებლად.

შეგახსენებთ, რომ „ინტერმა“ ვიერი „ლაციოსგან“ მსოფლიოში სარეკორდო თანხად, თითქმის 50 მილიონ დოლარად შეიძინა. როგორც ჩანს, მილანური კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ, შეძლო, განეხორციელებინა დიდი ხნის ჩანაფიქრი — მინდორზე გაეერთიანებინა ორი ყველაზე ძვირი და იქნებ ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელი.

ამ კვირას „ინტერმა“ სეზონისწინა ვარჯიში დაიწყო. ვიერიმ უკვე გააფრთხილა ყველა გულშემატკივარი, რომ დიდ შედეგებს დიდი დრო სჭირდება.

— რონალდოს გვერდით მყოფს ნაკლებად მომიწევს „ბინძური“ მცველებისგან თავის დაღწევაზე ფიქრი, რითაც „ლაციოში“ ნამდვილად განებივრებული ვიყავი იხუმრა ვიერიმ.

როგორც ცნობილია, განთქმულ ბრაზილიელს ტრავმების გამო წინა სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა, მაგრამ ბოლო თვეებში მან აშკარად მოუმატა, ხოლო „კოპა ამერიკაზე“ გულშემატკივარმა ძველი რონალდო იხილა.

— არ მიყვარს პროგნოზების კეთება, მაგრამ თუ შეთამაშება მოვახერხეთ, გპირდებით, ეს ნამდვილი სუპერდუეტი, ხოლო „ინტერი“ უძლიერესი კლუბი იქნება. თუმც ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი გამოგვივა, იქნებ პირიქითაც მოხდეს. ქაღალდზე ყველაფერი ლამაზად ჩანს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, როგორ მოძრაობს ის. ამავე დროს მასაც იგივე შეუძლია თქვას ჩემზე. ასეთ სიტუაციაში კი ნამდვილად არ წარმოვადგენთ ოპონენტთათვის სერიოზულ ძალას. ასე რომ, ყველას გთხოვთ, — იქონიეთ მოთმინება, ნუ ელით სწრაფ შედეგებს. ჩვენ ხომ სულ რამდენიმე დღეა, რაც ერთად მუშაობას შევუდექით — თქვა მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა.

კოკა ჩხაიძე

# ჩხუბი იტალიაში

მოთამაშეებს შორის ჩხუბის გამო შეწყდა მატჩი, რომელიც გუშინწინ „პერუჯასა“ და ლიბიის ეროვნულ ნაკრებს შორის გაიმართა.

გაუგებრობა შეხვედრის მე-17 წუთზე დაიწყო, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. ჩხუბში მოთამაშეთა გარდა გუნდების პერსონალმაც მიიღო მონაწილეობა, ხოლო ერთ-ერთი ლიბიელი ფეხბურთელი იტალიელმა სამართალდამცავებმა განსაკუთრებული აქტიურობის გამო სტადიონიდან პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. საბოლოოდ კონფლიქტი კარაბინიერებმა განმუხტეს.

იტალიური საინფორმაციო სააგენტო ANSA-ს ცნობით, შეხვედრის მსაჯი მასიმო დე სანტისი სასწაულებრივ გადაურჩა ცემას, ხოლო „პერუჯას“ კარის დარაჯი ანჯელო პაგოტოდა ორი ლიბიელი მოთამაშე — ჰამბრუნი და მერიმი — მძიმე ტრავმებით საავადმყოფში მოათავსეს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# Mexico'99
## FIFA CONFEDERATION CUP
### 24 July to 4 August, 1999

კონფედერაციათა თასის გათამაშება



REUTERS გვადალახარადან

ემზადებიან გერმანელები — პირველი მეტოქე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილიაა

## A ჯგუფი

### მექსიკა

ტურნირის მასპინძელი და კონკაკაფის 1998 წლის ჩემპიონი

მეკარეები — 1. ხორხე კამპოს ნავარეტე (15.10.66; უნამი), 12. ოსკარ პერეს როხასი (01.02.73; კრუს ასული)

მცველები — 2. კლაუდიო სუარეს სანჩესი (17.12.68; გვადალახარა), 3. ხოელ სანჩეს რამოსი (17.08.74; ამერიკა), 4. რაფაელ მარკეს ალვარესი (13.02.79; ატლასი), 13. პაველ პარდო სეგურა (26.07.76; ამერიკა), 14. ისააკ ტერასას გარსია (23.01.73; ამერიკა), 18. სალვადორ კარმონა ალვარესი (22.08.75; ტოლუკა)

ნახევარმცველები — 5. ხერარდო ტორადო დიეს დე ბონილია (30.04.79; უნამი), 6. ხერმან ვილია კასტანედა (02.04.73; ნეკასა), 7. რამონ რამირეს ჩეკენა (15.12.69; ტაიგრესი), 8. ალბერტო გარსია ასპე მენია (11.05.67; ამერიკა), 19. მიგელ სეპედა ესპინოზა (05.05.76; ატლასი), 20. რაფაელ გარსია ტორესი (14.08.74; ტოლუკა)

თავდამსხმელები — 9. ხოსე მანუელ აბუნდის სანდოვალი (11.06.73; ტოლუკა), 10. კვატემოკ ბლანკო ბრავო (17.01.73; ამერიკა), 11. დანიელ ოსორნო კარვილიო (16.03.79; ატლასი), 15. ლუის ერნანდეს კარეონი (22.12.68; ტაიგრესი), 16. ხესუს არელიანო ალკოკერი (08.05.73; გვადალახარა), 17. ფრანსისკო პალენსია ფერნანდესი (28.04.73; კრუს ასული)

მწვრთნელი — მანუელ ლაპუენტე

### საუდეთი

აზიის 1996 წლის ჩემპიონი

მეკარეები — 1. მუჰამედ ალ დეია (02.08.72; ალ ტაე), 2. ჰუსეინ ალ სადიყი (15.10.73; ალ იტიჰადი), 11. ტისირ ალ ანტაიფი (16.02.74; ალ ეტიფაყი)

მცველები — 3. მუჰამედ ალ ხილაივი (21.08.71; ალ იტიჰადი), 4. აბდულა ზუბრომავი (15.11.73; ალ აჰლი), 5. მოშინ ჰარტი (15.08.76; ალ ნასრი), 8. ჰუსეინ სულიმანი (23.01.77; ალ აჰლი), 12. რაშიდ ალ დაუდი (24.09.68; ალ შაბაბი), 14. მუჰამედ ალ ჯაჰანი (28.09.75; ალ აჰლი), 20. აბდულა ალ შაჰრანი (29.09.75; ალ შაბაბი)

ნახევარმცველები — 13. იბრაჰიმ ალ გაჰვჯი (07.07.75; ალ აჰლი), 15. ხამის ალ დოსარი (08.09.73; ალ ჰილალი), 16. იბრაჰიმ ალ ჰარბი (10.07.75; ალ ნასრი), 17. ფაჰად ალ სუბაიე (15.11.79; ალ შაბაბი), 18. მარზუქ ალ ოტაიბი (07.11.75; ალ შაბაბი), 19. მუჰამედ ჰვსავი (26.02.78; ალ იტიჰადი)

თავდამსხმელები — 6. აბდულა ბინ შენანი (10.08.76; ალ შაბაბი), 7. ნავაფ ალ ტემიატი (28.06.76; ალ ჰილალი), 9. ჰამზა ფალატაჰი (09.10.72; ალ იტიჰადი), 10. იბრაჰიმ ალ შაჰრანი (21.07.74; ალ აჰლი)

მწვრთნელი — მილან მაკალა (ჩეხეთი)

### ბოლივია

სამხრეთ ამერიკის 1997 წლის ვიცე-ჩემპიონი

მეკარეები — 1. ხოსე კარლო ფერნანდეს გონსალესი (24.01.71; ბლუმინგი), 12. სერხიო გალიარსა სოლისი (25.08.75; რეალ სანტა კრუსი)

მცველები — 2. ხუან მანუელ პენა მონტანიო (17.01.73; ვალიადოლიდი, ესპანეთი), 3. რონალდ არანა კესპედესი (16.01.77; სტონგესტი), 5. ოსკარ სანჩესი (16.07.71; ინდეპენდიენტე, არგენტინა), 18. გუსტავო კუინტეროს დესაბატო (15.02.65; არხენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), 19. ივან კასტილიო სალინასი (11.07.70; ხინმასია ესგრიმა, არგენტინა), 20. რენი რიბერა (30.01.74; ბლუმინგი)

ნახევარმცველები — 4. ლორხიო ალვარეს როკა (09.06.78; ბლუმინგი), 6. ლუის კრისტალდო რუის დიასი (31.08.69; სპორტინგი, ესპანეთი), 8. რუბენ ტუფინიო შვენკი (09.01.70; ბლუმინგი), 10. მარკო ეჩევერი ვარგასი (26.09.70; ვაშინგტონ იუნაიტედი, აშშ), 14. ერვინ სანჩეს ფრეკინგი (19.10.69; ბოავიშტა, პორტუგალია), 16. ვლადიმირ სორია კამაჩო (15.07.61; ბოლივარი), 17. მიგელ ხუსტინიანო აბელი (29.09.77; ბლუმინგი)

თავდამსხმელები — 7. ლიმბერგ გუტიერეს მარიშალი (19.11.77; ბლუმინგი), 9. ხაიმე მორენო მორალესი (19.01.74; ვაშინგტონ იუნაიტედი, აშშ), 11. გონსალო გალინდო სანჩესი (20.10.74; ბლუმინგი), 13. ხოაკიმ ბოტერო ვასა (10.12.77; ბლუმინგი), 15. ხოსე მენაჩო აგილერა (07.08.73; ბლუმინგი)

მწვრთნელი — ეკტორ ვეირა

### ეგვიპტე

საფრიკის 1998 წლის ჩემპიონი

მეკარეები — 1. ნადერ იბრაჰიმ ელ საიედი (31.12.72; ბრიუგე, ბელგია), 16. ესამ ელ ჰადარი (15.01.73; აჰლი)

მცველები — 2. იბრაჰიმ ჰასან ჰასანინი (10.08.66; აჰლი), 3. მოჰამედ ომარა ელ ბენავი (10.06.74; ჰანზა, გერმანია), 5. სამირ იბრაჰიმ ჰუსეინი (02.04.72; კაიზერსლაუტერნი, გერმანია), 6. აბდელჰადი მედათ მოჰამედ ბადავი (12.07.74; ქოჩაელი, თურქეთი), 7. მოჰამედ იუსუფ აბდელრაზეკი (09.10.70; აჰლი), 15. აბდელზაჰერ ელ საქა (30.01.74; მანსურა)

ნახევარმცველები — 4. ჰანი რამზი გუდა (10.03.69; კაიზერსლაუტერნი, გერმანია), 8. იასერ რადვანი (22.04.72; ჰანზა, გერმანია), 11. იასერ რაიანი (25.03.70; აჰლი), 12. ჰადი ქაშბა (19.12.72; აჰლი), 17. ჰასან აჰმედ ქამელი (02.05.75; ქოჩაელი, თურქეთი), 18. ხოსამ აბდელმონემ ვაჰბა (12.02.75; ზამალექი), 20. სალაჰ ვალიდ მუსტაფა (27.10.71; აჰლი)

თავდამსხმელები — 9. ჰოსამ ჰასან ჰასანინი (10.08.68; აჰლი), 10. აბდელსატარ საბრი აბდელმაჯედი (19.06.74; პაოკ, საბერძნეთი), 13. აბდელჰამედ ბასიუნ ხალილი (15.12.71; ზამალექი), 14. ჰაზემ ემამი (10.05.75; გრააფსხაპი, ჰოლანდია), 19. ხალედ ელ ამინი (06.10.76; ისმაილი)

მწვრთნელი — ერიკ ალდო

## B ჯგუფი

### ბრაზილია

კონფედერაციის თასის მფლობელი, სამხრეთ ამერიკის 1997 წლის ჩემპიონი

მეკარეები — 1. დიდა დე ჟესუს სილვა (07.10.73; მილანი, იტალია), 12. მარკოს სილვეირა რეისი (04.08.73; პალმეირასი)

მცველები — 2. ევანილსონ ფერეირა (12.09.75; კრუზეირო), 3. ოდვან გომეს სილვა (26.03.74; ვასკუ და გამა), 4. ჟოაო კარლოს დოს სანტოს (10.09.72; კრუზეირო), 6. სერჟინიო დოს სანტოსი (27.06.71; მილანი, იტალია), 13. სეზარ ბელი მიშელონი (16.11.75; პორტუგეზა), 14. ლუის ალბერტო და სილვა ოლივეირა (01.12.77; ფლამენგო), 16. აზირსონ მასოლი ე ოლივეირა (16.01.77; ფლამენგო)

ნახევარმცველები — 5. ფლავიო კონსეისაო (12.06.74; დეპორტივო, ესპანეთი), 8. ემერსონ ფერეირა და როსა (04.04.76; ლევერკუზენი, გერმანია), 10. ალექს დე სოუზა (14.09.77; პალმეირასი), 11. ზე რობერტო და სილვა ჟუნიორი (06.07.74; ლევერკუზენი, გერმანია), 15. მარკოს პაულო ალვესი (11.05.77; კრუზეირო), 17. ბეტო არაუხო მარტინსი (07.01.75; ფლამენგო), 20. ვამპეტა ბატისტა სანტოსი (13.03.74; კორინთიანსი)

თავდამსხმელები — 7. რონალდინიო დე ასის მორეირა (21.03.80; გრემიო), 9. კრისტიან კორეა დიონისიო (23.04.75; პორტო ალეგრე), 18. რონი პერეირა სანტოსი (28.04.77; ფლუმინენსე), 19. ვარლეი სილვა დოს სანტოსი (13.02.78; უდინეზე, იტალია)

მწვრთნელი — ვანდერლეი ლუქსემბურგო

### ახ. ზელანდია

ოკეანიის ზონის 1998 წლის ჩემპიონი

მეკარეები — 1. ჯეისონ ბეტი (23.03.75; გეილენგ იუნაიტედი, სინგაპური), 19. მაიკლ უტინგი (26.05.70; სუპერსპორტ იუნაიტედი, ს. აფრიკა), 20. როს ნიკოლსონი (08.08.75; ცენტრალ იუნაიტედი)

მცველები — 2. კრის ზორიჩიჩი (03.05.69; ბრისბეინ სტრაიკერსი, ავსტრალია), 3. შონ დუგლასი (08.05.72; კარლტონი, ავსტრალია), 4. ჩე ბანსი (29.08.75; ბრაიდბლიკი), 5. ჯონათან პერი (22.11.76; მეტრო), 6. გევინ უილკინსონი (05.11.73; პერს გლორი, ავსტრალია), 14. რაიან ნელსენი (18.10.77; სტენფორდ უნივესიტი, აშშ), 15. ივან ვისელიჩი (03.09.76; სენტრალ იუნაიტედი), 18. სკოტ სმითი (06.03.75; უოკინგი, ინგლისი)

ნახევარმცველები — 7. მარკ ბარტონი (18.05.74; ემდენი, გერმანია), 8. აარან ლაინსი (27.12.76; ოსნაბურკი, გერმანია), 10. კრის ჯეკსონი (18.07.70; ნეპიერ სიტი როვერსი), 12. მარკ ატკინსონი (16.02.70; კარლტონი, ავსტრალია)

თავდამსხმელები — 9. პოლ ურლოვიჩი (21.11.78; სენტრალ იუნაიტედი), 11. ჰერი ნგატა (24.08.71; ნორს შორ იუნაიტედი), 13. კრის ბუკენჰუგი (07.02.77; როსელერი, ბელგია), 16. ვიგენ კოვინი (13.12.71; საუს მელბურნი, ავსტრალია), 17. მარტ ელრიკი (07.04.67; სენტრალ იუნაიტედი)

მწვრთნელი — კენ დაგდეილი

### აშშ

კონკაკაფის 1998 წლის ვიცე-ჩემპიონი

მეკარეები — 1. ბრედ ფრიდელი (18.05.71; ლივერპული, ინგლისი), 18. კეისი კელერი (29.11.69; ლესტერ სიტი, ინგლისი)

მცველები — 3. გრეგ ბერჰალტერი (01.08.79; კამბური, ჰოლანდია), 4. რობინ ფრეიზერი (17.12.66; ლოს ანჯელეს გალაქსი), 5. სი ჯი ბრაუნი (115.06.75; ჩიკაგო ფაიერი), 6. ჯონ ჰარკსი (08.03.67; ნიუ ინგლენდ რევოლუშენი), 12. ჯეფ აგუსი (02.05.68; ვაშინგტონ იუნაიტედი), 16. კარლოს ლიამოსა (30.06.69; ვაშინგტონ იუნაიტედი), 17. მარსელო ბალბოა (08.08.67; კოლორადო რეპიდსი)

ნახევარმცველები — 2. ფრენკი ჰეიდუკი (05.08.75; ლევერკუზენი, გერმანია), 7. ედი ლუისი (17.05.74; სან ხოსე ქლეში), 10. იოვან კიროვსკი (18.03.76; დორტმუნდი, გერმანია), 11. პოლ ბრავო (19.07.68; კოლორადო რეპიდსი), 14. კრის არმასი (27.08.72; ჩიკაგო ფაიერი), 15. რიჩი უილიამსი (03.06.70; ვაშინგტონ იუნაიტედი), 16. ბენ ოლსენი (03.05.77; ვაშინგტონ იუნაიტედი)

თავდამსხმელები — 8. ერნი სტიუარტი (28.03.69; ბრედა, ჰოლანდია), 9. ჯო მაქს მური (23.02.71; ნიუ ინგლენდ რევოლუშენი), 13. კობი ჯოუნსი (16.06.70; ლოს ანჯელეს გალაქსი), 20. ბრაიან მაკბრაიდი (19.06.72; კოლუმბუს ქრიუ)

მწვრთნელი — ბრიუს არენა

### გერმანია

ევროპის 1996 წლის ჩემპიონი. ტურნირზე საფრანგეთის ნაცვლად მონაწილეობს

მეკარეები — 1. იენს ლემანი (10.11.69; დორტმუნდი), 12. რობერტ ენკე (24.08.77; ბენფიკა, პორტუგალია)

მცველები — 2. კრისტიან ვიორნსი (10.05.72; დორტმუნდი), 4. თომას ლინკე (26.12.69; ბაიერნი), 5. მუსტაფა დოგანი (01.01.76; ფენერბაჰჩე, თურქეთი), 10. ლოთარ მათეუსი (21.03.61; ბაიერნი), 14. ფრანკ ბაუმანი (29.10.75; ვერდერი)

ნახევარმცველები — 3. იორგ ჰაინრიხი (06.12.69; ფიორენტინა, იტალია), 6. რონალდ მოლი (13.02.73; არმინია), 7. მეჰმეთ შოლი (16.10.70; ბაიერნი), 8. დარიუს ვოში (08.06.69; ჰერტა), 15. მიხაელ ბალაკი (26.09.76; კაიზერსლაუტერნი), 16. ბერნდ შნაიდერი (17.11.73; ლევერკუზენი), 18. ლარს რიკენი (10.07.76; დორტმუნდი)

თავდამსხმელები — 9. ოლაფ მარშალი (19.03.66; კაიზერსლაუტერნი), 11. მიხაელ პრეეცი (17.08.67; ჰერტა), 13. ოლივერ ნოივილი (01.05.73; ლევერკუზენი), 17. ჰაიკო გერბერი (11.07.72; შტუტგარტი), 19. ჰორსტ ჰელდტი (09.12.69; აინტრახტი), 20. პაულო რინკი (21.02.73; სანტოსი, ბრაზილია)

მწვრთნელი — ერიხ რიბეკი

### წინა გათამაშების ფინალები

1992 საუდეთი
არგენტინა 3:1 საუდეთი

1995 საუდეთი
დანია 2:0 არგენტინა

1997 საუდეთი
ბრაზილია 6:0 ავსტრალია

### A ჯგუფი

25.07.99 მეხიკო
მექსიკა — საუდეთი

25.07.99 მეხიკო
ბოლივია — ეგვიპტე

27.07.99 მეხიკო
საუდეთი — ბოლივია

27.07.99 მეხიკო
მექსიკა — ეგვიპტე

29.07.99 მეხიკო
ეგვიპტე — საუდეთი

29.07.99 მეხიკო
ბოლივია — მექსიკა

### B ჯგუფი

24.07.99 გვადალახარა
ბრაზილია — გერმანია

24.07.99 გვადალახარა
ახ. ზელანდია — აშშ

28.07.99 გვადალახარა
გერმანია — ახ. ზელანდია

28.07.99 გვადალახარა
ბრაზილია — აშშ

30.07.99 გვადალახარა
აშშ — გერმანია

30.07.99 გვადალახარა
ახ. ზელანდია — ბრაზილია

### ნახევარფინალი

01.08.99 გვადალახარა
B1-A2

01.08.99 მეხიკო
A1-B2

### ფინალი

04.08.99 მეხიკო



გიო აზვლედიანის

## სვეტი

# მეშახტეთა პრინციპი

მგონი ფეხბურთელებს ჯერ ხეირიანად არც ამოუსუნთქავთ და ფეხბურთი კვლავ იწყება.

შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი (ამ შემთხვევაში სეზონი) არც დასრულებულა და ხეირიანი დასვენება ალბათ სანატრელიც კია ვარსკვლავთათვის.

-კარგია ეს თუ ცუდი?

ალბათ ლოგიკურია.

რომ გადავხედოთ, სხვა მოწინავე თამაშობებს, მივხვდებით, რომ სეზონის განმავლობაში ორ დღეში ერთხელ მოთამაშე კალათბურთელები და ჰოკეისტები ბევრად მეტ მატჩს ატარებენ, ვიდრე ფეხბურთელები. თუმცა, სამ თვეს კარგა ჯიგრიანად ისვენებენ და ესეც რომ არ იყოს, შორს წაგვიყვანდა ამათი ფეხბურთისგან განსხვავებათა ჩამოთვლა.

ფეხბურთში კი საქმე ისაა, რომ სანამ ამ სვეტს კითხულობთ, ეგებ კიდეც დაიწყო ერთ-ერთი ეროვნული პირველობა, რომელიც, რა დასამალია და ჯერ ხეირიანად არც კი დამთავრებულა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ხომ გახურებულია და გახურებული. იქეთ, კონფედერაციათა თასი.

ევროპა ყოველთვის გამოირჩეოდა შეჯიბრებათა საუცხოო ორგანიზაციით. სამხრეთ ამერიკაში ყოველთვის აბდაუბდა რამეები ხდებოდა. ყოფილა ხოლმე, რომ იქ ერთ გუნდს დღეში სამი თამაში ჰქონია. ეს სახუმარო რამ იყო, თუმცა, სამხრეთელები ჩვეულებრივად აღიქვამდნენ ამ ამბავს. თავად წამიკითხავს განთქმულ ტელე სანტანას განსჯანი ამის თაობაზე. მწვრთნელი ჰყვებოდა, თუ როგორ უნდა დააკომპლექტოს სამი შემადგენლობა. ეს საინტერესო იყო: შვიდ კაცს ევალებოდა ორ-ორ შემადგენლობაში თამაში, მობილიზებული იყო ახალგაზრდული გუნდი და ა.შ. თანაც, სამხრეთში ყოველთვის ბევრად მეტს თამაშობენ.

მისაღებია თუ არა, ეს ასე ხდება ხოლმე.

ახლა კი რა გამოდის? კარგია, თუ უვარგისი სეზონის ორგანიზაცია, არსებობს თუ არა კოორდინაცია ტურნირებს შორის — შედეგი ერთია. გაივლის ერთი ხანი და კარგად ორგანიზებულ ევროპელებს მოუწევთ მსგავსი რამეების კეთება არა ცუდი ორგანიზაციის, არამედ აუცილებელი სიხშირის გამო. გუნდებს აუცილებლად დასჭირდებათ გამართული და აწყობილი, ხშირად მოთამაშე „დუბლები“. იმას კი არ ვამბობ, რომ ისინი დღეში სამ თამაშს ითამაშებენ, მაგრამ ძალიან მალე მოწინავე გუნდებს მოუწევთ კვირაში სამი-ოთხი (ზოგიერთს ახლაც უწევს, ვთქვათ, ცხრა დღეში ოთხი) თამაშის გამართვა. იქნება ასეთი მონაკვეთები მათ სეზონში და ამას ერთი შემადგენლობით ვერ გაქაჩავ. მოწინავე გუნდები უკვე ამ სეზონში ცვლიდნენ შემადგენლობას მოწინააღმდეგის სიძლიერის მიხედვით („მანჩესტერი“ და „ბაიერნი“ სამ-სამ ფრონტზე იბრძოდნენ). სიხშირე, ასე თუ ისე, ასატანი იყო. და აბა გაიზარდოს იგი?

ასე რომ, ვუახლოვდებით მეშახტე-მაღაროელთა და რკინისმდნობელთა პრინციპს. ისინი ხომ სამ ცვლად მუშაობენ.

მოუწევთ ევროპაში რაღაც ამის მსგავსზე გადასვლა.

კარგია ეს თუ ცუდი?

ლოგიკურია.

ხოლო რაც ლოგიკურია, მოუწევთ.



REUTERS

ანდრეი შევჩენკო მილანელებს ძალიან უყვართ

# მილანი და მილანელები



... 1899 წლის 16 დეკემბრის ცივ საღამოს დაიბადა ის, ვისაც დღესდღეობით ასიათასობით ადამიანი ეთაყვანება — საუკუნის წინ საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ საფეხბურთო კლუბ „მილანს“.

1899 წლის 18 დეკემბრის „გაძეტა დელო სპორტი“ გვამცნობს: „მილანში, ტოსკანის ღვინის სარდაფში დაარსდა მილანის ფეხბურთისა და კრიკეტის კლუბი“...

„მილანის“ დაარსების თარიღად სწორედ 18 დეკემბერი ითვლება, არადა კლუბი 16 დეკემბერს შეიქმნა. გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი განმარტავს: „ჩვენი კლუბი 16 დეკემბერს მოევლინა ქვეყანას. მართალია, დღევანდელ ცნობებში „მილანის“ დაბადების დღედ 18 დეკემბერი მოიხსენიება, მაგრამ ეს უბრალო შემთხვევითობის ბრალია — 18 დეკემბერს „მილანის“ შექმნის თარიღად იმიტომ მოიხსენიებენ, რომ გაზეთი, რომელმაც ჩვენზე პირველად დაწერა, სწორედ კლუბის დაარსებიდან ორ დღის შემდეგ, 18 დეკემბერს გამოვიდა“.

წლეულს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სახელოვანი კლუბი ასი წლის ხდება. „მილანი“ საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს.

ბრწყინვალე „სან სიროზე“ 50 ათასი ქომაგი შეიკრიბა. გულშემატკივრები იტალიის ჩემპიონებს ხვდებოდნენ. „მილანი“, სკუდეტოს მომგები გუნდი, ქომაგებს განახლებული შემადგენლობით წარუდგა. ამასთანავე, საუკუნოვან იუბილესაც მიეცა სათავე — ზეიმი 18 დეკემბრამდე გაგრძელდა. ეს იყო ახლა, საუკუნის წინ კი...

გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს იტალიაში სამუშაოდ ვინმე ჰერბერტ კილპინი ჩასულა, არაფრით გამორჩეული ინგლისელი ახალგაზრდა. 26 წლის ქერა ინგლისელი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი წრის საზოგადოებაში კეთილშობილური წარმომავლობით ვერ დაიკვეხნიდა, იტალიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის, მილანის და საერთოდ, ფეხბურთის ისტორიაში მაინც შევიდა — იგი გახლდათ ადამიანი, რომლის ინიციატივითაც დაარსდა „ილ დიავოლო როსო“, იგივე „წითელი ეშმაკი“, იგივე „მილანი“.

კილპინი ევროპაში მაშინ უკვე ფართოდ გავრცელებული ფეხბურთის დიდი ტრფიალი ყოფილა, ინგლისში კარგი მობურთალის სახელიც ჰქონია და იტალიაში ჩასულმა ცხოვრების ძველებურ წესზე უარი არ თქვა — სამუშაოს შემდეგ ფეხბურთი. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე, მერე კი 26 წლის ჭაბუკმა კლუბის შექმნაც განიზრახა — 1899 წლის 16 დეკემბრის ცივ საღამოს, ტოსკანის ღვინის სარდაფში თანამოაზრეები შემოიკრიბა და სურვილიც აისრულა.

იმ საღამოს „მილანი“ დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ ახალშობილი კლუბის პრეზიდენტად კილპინის უახლოესი მეგობარი, მეწარმე ალფრედ ედვარდსი აირჩიეს, კლუბის მაისურის ფერების შერჩევა კილპინს მიანდეს. „ჩვენ გვეცმევა შავ-წითელი ფერის მაისურები. წითელი — რათა ეშმაკნი გამოვიწვიოთ, შავი — რათა მეტოქენი დავაშინოთ“.

1900 წლის 11 მარტს „მილანმა“ პირველი შეხვედრა გამართა — თანაქალაქელი „მედიოლანუმი“ 2:0 დაამარცხა. გოლები კილპინმა და ელისონმა გაიტანეს. საერთოდაც მაშინდელი შემადგენლობაც თითქმის ინგლისური იყო — ჰოდი, კილპინი, დეივისი, ელისონი...

მას შემდეგ საუკუნემ განვლო. „მილანი“ წლიდან წლამდე ძლიერდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში სახელოვანი გამარჯვებებით ვერ დაიკვეხნიდა, დღესდღეობით მაინც ამა ქვეყნის ძლიერთა შორისაა.

პირველად იყო ნერეო როკოს ერა, როცა კლუბმა ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და ასევე ორჯერ ალაპყრო თასების მფლობელთა თასი. გავიდა წლები და მიძინებულმა ეშმაკმა კვლავ გაიღვიძა — მულტიმილიონერი ტელემაგნატის, სილვიო ბერლუსკონის წყალობით კლუბი კვლავ აღზევდა. არიგო საკიმ ბრწყინვალე „მილანი“ შექმნა, ფაბიო კაპელომ კლუბს მტკიცე სული შთაბერა, ორივემ ერთად კი შავ-წითლებს უდიდესი გამარჯვებები მოაპოვებინეს.

არიგო საკი, ფაბიო კაპელო, ნილს ლიდჰოლმი, ჯანი რივერა, ფრანკო ბარეზი, სილვიო ბერლუსკონი და სხვები მილანელობას ზეიმობდნენ. პოპულარულმა იტალიურმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტმა“ კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელიც დაასახელა — იტალიური ფეხბურთის ოქროს ბიჭუნამ, ჯანი რივერამ ერთადერთი ქულით აჯობა მარკო ვან ბასტენს. მესამე ფრანკო ბარეზი იყო, რომელმაც თავის მხრივ პაოლო მალდინის გაუსწრო. არიგო საკიმ ბოლო წლებში განცდილი გულისტკივილის შემდეგ მაინც გაიხარა — „მილანის“ ყველა დროის უძლიერეს მწვრთნელად აღიარეს.

ხარობდნენ მილანელები...

ზეიმის მშვენებად მომავალი სეზონისთვის კლუბის წარდგენა გახლდათ, სულ ბოლოს კი „მილანი“ ორად გაიყო და „საუკუნოვან მილანსა“ და „ოქროს მილანს“ შორის თამაშიც გაჩაღდა. „ოქროს მილანმა“ მაურიციო განცის ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო. აღსანიშნავია, რომ „საუკუნოვანი მილანის“ შემადგენლობაში ანდრეი შევჩენკო გამოჩნდა. იგი ოლივერ ბირჰოფს უმშვენებდა მხარს.

სულ ბოლოს „მილანის“ უახლოეს გეგმებზეც ვთქვათ. 2 აგვისტოს კლუბი „ოპელის“ სამთა ტურნირში ითამაშებს, სადაც მის გარდა ფრანგული პსჟ და გერმანიის ჩემპიონი „ბაიერნი“ იქნებიან მოწვეულნი. 6 აგვისტოს გუნდი ლევერკუზენში „ბაიერს“ სტუმრობს, 13 აგვისტოს ტრიესტში „ბენფიკას“ შეხვდება. 17 აგვისტოს სილვიო ბერლუსკონის თასზე დიდი იტალიური ბრძოლა იქნება „იუვენტუსთან“. შარშან „ბერლუსკონის თასი“ ტურინელებმა მოიგეს. 21 აგვისტოს იტალიის სუპერთასზე მილანელები „პარმას“ ხვდებიან, სამი დღის შემდეგ მადრიდში „რეალს“ სტუმრობენ, 1 სექტემბერს კატანიაში დორტმუნდის „ბორუსიას“ ეთამაშებიან, მოსამზადებელი მატჩების სერიას კი მოყვარულთა კლუბ „ჩეზენატიკოსთან“ თამაშით დაასრულებენ.

ერთი სიტყვით, „მილანი“ იწყებს.

**გიდეონ ლონგი**

**როიტერი**



REUTERS

ჯანი რივერა და სილვიო ბერლუსკონი



არიგო საკი

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— ახლა შევჩენკო ვიყო...***

— რად გინდა?

***— ვერ ნახე, როგორ მიიღეს ტიფოზებმა?***

— ტიფოზების საქმე ეგ არის...

***— ჰო, მაგრამ, შევჩენკო ცუდი ფეხბურთელია?***

— ეჰ, გაისად „რეჯანას“ ტიფოზები მიიღებენ კარგად.

***— ამას რის საფუძველზე ამბობ?***

— ალექსანდრ ზავაროვის საფუძველზე.

***— ეგ რა ამბები გაიხსენე?***

— უკვდავი.

***— უკვდავი არა, ის...***

— შენ თუ იცი, პელემ „მილანში“ რატომ არ ითამაშა?

***— ახლა არ თქვა, შეეშინდაო.***

— არა, ბიჭო, ფული ეცოტავა.

***— ჰელვეგს არ შეეშინდა და პელეს შეეშინდა?***

— შიში რთული საკითხია.

***— ვის არ შეშინებია?***

— დი სტეფანოს. ოცდაათისა იქნებოდა, „რეალში“ რომ მივიდა.

***— კიდევ ვის შეეშინდა?***

— კენი ლადგლიშს შეეშინდა, იტალიაში შემჭამენო.

***— და ვის არ შეეშინდა?***

— იან რაშს არ შეშინებია, მაგრამ ჯობდა შეშინებოდა.

***— რატომ?***

— ვერ გაიგო, რატომ იყო ჩასული ტურინში.

***— რა არის ამისთანა ეს იტალია?***

— სკოლაში ხომ გივლია?

***— კი.***

— მათემატიკაში რომ საქალაქო წერები იმართებოდა, ხომ გახსოვს?

***— დაახლოებით.***

— ჰოდა, ეგ არის სერია A.

***— და ყველაზე კარგად ვინ აბარებს მაგ საქალაქო წერას?***

— არგენტინელები.

***— ეგ ქუჩის ბიჭები?***

— ურუგვაელებსაც არა უშავთ.

***— მაშ ეგ საქალაქო წერა კი არა, საშემოდგომო გამოცდა ყოფილა.***

— რატომ?

***— ქუჩის ბიჭების ფრიადოსნობა ვინ გაიგონა?***

— ფეხბურთი სწორედ რომ ეგრეა, იქ ფრიადოსანი ვერაფერს გააწყობს.

***— ესე იგი იტალიაში რომ ჩადიან, ფახდებიან?***

— ეგრე გამოდის.

***— და გაზა?***

— გაზა არ ჩაფახებულა, მაგრამ...

***— რა მაგრამ?***

— როგორ გითხრა, „ლაციო“ ის გუნდი არ არის, სადაც ეგეთი კაცი...

***— „ლაციო“ ცუდი გუნდიო?***

— არა, როგორ გითხრა... აი, თევზს რომ შებოლავენ, ისეთია.

***— რა სისულელეა.***

— აი, კალმახი ხომ მაგარი თევზია?

***— დიახ.***

— მერე რომ შებოლო რა გამოვა? ჰოდა ეგრეა „ლაციოც“.

***— და გაზა?***

— რას გადაეკიდე ამ გაზას?

***— როგორი თევზია?***

— თევზი შენა ხარ. გაზა კაცია!

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი);** ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარო (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიგელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უნდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელო (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარო (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კოშმევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნარდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი);** ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი);** არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია);** ჩელსი: **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლეკბერნი);** ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), **აბუბაქარ „ტიტი" კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლეკბერნი), სემი ჰიპიაა (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია);** ნიუკასლი: დავიდ ტერიე (ნიცა, საფრანგეთი); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი);** ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); ქოვენთრი: ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა)*, **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული); ჯორჯ ბოატენგი (ქოვენთრი)***

## გერმანია

ბაიერნი: ალი დაეი (ჰერტა), თომას ჰელმერი (სანდერლენდი); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), პაულო სერჟიო (რომა, იტალია), როკე სანტა კრუსი (ოლიმპია, პარაგვაი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი);** დორტმუნდი: თომას ჰესლერი (მიუნხენი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი); **ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი);** შალკე: ფროდე გროდასი (რასინგი, ესპანეთი); შტუტგარტი: ფრანკ ვერლაატი (აიაქსი, ჰოლანდია), ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი); **სეზარ გორდონი (სან პაულუ, ბრაზილია);**

## ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველიკა (სალამანკა);** ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიგელ სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიკტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკო (ტენერიფე);** მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სიგორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სიგორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო გარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტე, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** რასინგი: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიკტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** მალაგა: კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი); **კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალგარესი (ბარსელონა B);** ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი, იტალია);** ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერიე (მონპელიე), კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტლი (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდე (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვიე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი);** მარსელი: სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი" კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პავლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიავარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერესი (ბასტია), სტეფან ტრევიზანი (გინგამი);** მონაკო: ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შპეხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ);** პსჟ: ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანი (ინტერნასიონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე);**

## სხვადასხვა

პორტუ (პორტუგალია): იუსუფ ჩიპო (ქოვენთრი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); სპორტინგი (პორტუგალია): გაბრიელ ჰაინცე (ვალიადოლიდი, ესპანეთი), სიმაო საბროსა (ბარსელონა, ესპანეთი); **პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);** ლიერსი (ბელგია): სტენლი მენცო (აიაქსი, ჰოლანდია); რეინჯერსი (შოტლანდია): სტეფან გივარში (ოსერი, საფრანგეთი), ლიონელ შარბონიე (პერუჯა, იტალია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გაყიდულები; * — უახლესი ტრანსფერი*

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## ინტერტოტოს თასი. V ეტაპი. მეორე მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.07 | იოკერიტი (ფინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) | (4,0-1,15) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ვაშაში (უნგრეთი) — პოლონია (პოლონეთი) | (2,5-1,35) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რენი (საფრანგეთი) — ლუსტენაუ (ავსტრია) | (1,25-3,1) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | პერუჯა (იტალია) — ტრაბზონი (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | დუისბურგი (გერმანია) — ქოჯაელი (თურქეთი) | (— -25,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ჰამარბი (შვედეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) | (3,5-1,2) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | აუსტრია (ავსტრია) — სტ. ტრუიდენი (ბელგია) | (1,05-7,5) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | როსტსელმაში (რუსეთი) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,05-7,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მეცი (საფრანგეთი) — ლოკერენი (ბელგია) | (1,05-7,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მონპელიე (საფრანგეთი) — ესპანიოლი (ესპანეთი) | (1,05-7,5) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | იუვენტუსი (იტალია) — ჩაჰლაული (რუმინეთი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ბაზელი (შვეიცარია) — ჰამბურგი (გერმანია) | (1,35-2,5) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | სტომილი — გროცლინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | რუხი — ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლკს — ოდრა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | გურნიკი — ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ზაგლებე — ამიცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 25.07 | ვისლა — პლოცკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### უკრაინის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | დინამო — კარპატი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ჩორნომორეცი — მეტალისტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | მეტალურგი — ცსკა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ზირკა — ნივა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| | ტავრია — მარიუპოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | დნეპრი — პრიკარპატია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | კრივბასი — შახტარი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ვორსკლა — ზაპოროჟიე | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | დელემონი — არაუ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ივერდონი — ლუგანო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სერვეტი — ციურიხი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 25.07 | ლუცერნი — ლოზანა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### დანიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | ბრიონდბიუ — ლიუნგბიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 25.07 | ვეილე — სილკებორგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | აკადემისკი — აგფ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ჰერფოლგე — ოლბორგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ვიბორგი — კოპენჰაგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 26.07 | ესბიერგი — ოდენსე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.07 | ბოდიო გლიმტი — მოლდე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | კონგსვინგერი — ბრანი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | ლილესტრიომი — ვიკინგი | 1,7 | 3,4 | 3,4 |
| | მოსი — სტაბეკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | სკეიდი — ოდ გრენლანდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ტრომსიო — რუსენბორგი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | ვოლერენგა — სტრიომსგოდსეტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### კონფედერაციათა თასი

I ტური (მექსიკაში)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | ბრაზილია — გერმანია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ზელანდია — აშშ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 25.07 | ბოლივია — ეგვიპტე | 2,1 | 2,3 | 3,2 |
| | მექსიკა — საუდეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### საფრანგეთის სუპერთასი (ამიენში)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.07 | ბორდო — ნანტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

*18 წლამდე ევროპის ჩემპიონატის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

## ქვეყნის ჩემპიონატები

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 3,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 3,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

## რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

## ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

## უეფას თასი

UEFA CUP

### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

## რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# მსაჯია, მაგრამ თუ გაცხარდა...

მეთოთხმეტე ტური
თბილისი
23 ივლისი

**ლოკომოტივი 2 12:96 (7:34) ყორჩები**

ლოკომოტივი 2: კერესელიძე, ჯიბლაძე, ჯილაური, ცხომელიძე, გიორგაძე (ხინჩაგაშვილი), ჯოხია, აფაქიძე, სუჯაშვილი, ბერიძე, გუგავა, ჭელიძე, ხვიჩია, სუთიაშვილი, გომიაშვილი, ხინჩაგაშვილი (გიუნაშვილი)
2ლ — გუგავა, აფაქიძე
ჯ — გუგავა
ყორჩები: პაპავა, ფირიაშვილი, კიკვაშვილი, გუზარაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ტყეშელაშვილი, სოფრომაძე, ხელაძე (გიორხელიძე), ტეფნაძე, წიკლაური (ხეხელაშვილი), ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, იმნაძე (ლიპარტელიანი), პეტრიაშვილი
წლ — პეტრიაშვილი (5), სოფრომაძე (3), ხეხელაშვილი (2), იმნაძე (2), ბარძიმიშვილი, ლიპარტელიან, ჭელიძე
ჯგ — ტყეშელაშვლი (7), ტეფნაძე, ლიპარტელიანი, ს — გიორხელიძე
გაძევება: ვ. ბერიძე
მსაჯი: გ. ჯავახიშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

პირველი ტაიმი მთავრდებოდა, როდესაც მთავარმა მსაჯმა გია ჯავახიშვილმა უცენზურო სიტყვებისთვის ლოკომოტიველი ბერიძე ჯერ ათი წუთით გააძევა, შემდეგ კი საერთოდ გააგდო მოედნიდან. ეს ინციდენტი თითქოს აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შესვენებისას გაძევებული ეპიზოდის გასარკვევად მსაჯთან მივიდა. კამათი ჩხუბში გადაიზარდა. მიჩვეულნი ვართ, რომ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მსაჯი ზარალდება, მაგრამ ამჯერად ჯავახიშვილმა უკან არ დაიხია და „ხურდაც" დაუბრუნა ბერიძეს. მათი გაშველება ისევ რკინიგზელებმა მოახერხეს. მსაჯმა მატჩის გაძლოლა აღარ ისურვა, იგი გვერდითმა, ჯუმბერ ჯანაშვილმა შეცვალა. მატჩის დასრულების შემდეგ კომენტარი ორივე მხარეს ვთხოვეთ.

*გია ჯავახიშვილი:* ბერიძემ უცენზუროდ მომმართა, რის გამოც მოედნიდან ათი წუთით გავაძევე, მაგრამ არც ამის შემდეგ დაწყნარდა. საბოლოოდ მოედანი მატჩის ბოლომდე დავატოვებინე. შესვენებისას კი ჩხუბი ამიტეხა.

*ბესო ბერიძე:* უცენზურო სიტყვებით თანაგუნდელს მივმართე. მსაჯმა თავის თავზე მიიღო, მერე კი უკმაყოფილება გამოვთქვი მისი გადაწყვეტილების გამო. შესვენებისას მინდოდა, ყველაფერი ამეხსნა, მსაჯი კი ისე წამოვიდა ჩემსკენ, მეგონა, დამარტყამდა და დავასწარი.

მატჩის შესახებ კი რა გითხრათ, ყორჩების უდიდეს უპირატესობას ანგარიშიც ცხადყოფს.

**ბაჩო სვანიძე**

ჭადრაკი

# აზმაიფარაშვილი: PERSONA ~~NON~~ GRATA

## დეპარტამენტის საქმეს თოფაძის საკეთებელია

გუშინდელი „სარბიელის" ხილვა ჭადრაკის მოყვარულებს ვერ დააყენებდა კარგ ხასიათზე. უძლიერესი ქართველი მოჭადრაკის ზურაბ აზმაიფარაშვილის ამერიკელთაგან პერსონა ნონ გრატად შერაცხვამ ჩვენც ცუდ გუნებაზე დაგვაყენა. თუმცა, ვიჩქარი შეგატყობინოთ, რომ უკვე ყველაფერი რიგზეა...

ჭადრაკის სასახლეში მეორე პრესკონფერენცია მაია ჩიბურდანიძემ გამართა და წინა დღეს მიღებული შემაშფოთებელი ინფორმაციის მიუხედავად, ჭადრაკის სასახლეში გუშინაც მისული მასმედიის წარმომადგენლები აზმაიფარაშვილის სამუშაო კაბინეტშიც მშვენივრად დაეტივნენ. პირველ რიგში, ცხადია, ყველაზე საინტერესო თემის შესახებ ითქვა და გავარკვიეთ, რომ აზმაიფარაშვილის ვიზის (უფრო — უვიზობის) გამო წარმოქმნილი გაუგებრობა უკვე მოგვარდა და ბატონი ზურაბი შეუფერხებლად გაემგზავრება ლას ვეგასში. მომხდარის მიზეზებზე საუბრისას აზმაიფარაშვილმა ამ ამბავში სიღრმისეული მოტივების არსებობაც არ გამორიცხა და განაცხადა, რომ იგი უფრო კარგად შესასწავლი და გამოსარკვევია.

შემდეგ თენგიზ გიორგაძის ჯერი დადგა, რომელმაც ლას ვეგასის მსოფლიოს ჩემპიონატის მცირე პრეზენტაცია მოაწყო და „ნოკაუტ-სისტემის" პრინციპებშიც გაარკვია ჟურნალისტები. მაია ჩიბურდანიძემ თავის საჩემპიონატო სამზადისზე ისაუბრა და ფირმა „ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე მადლიერი სიტყვებით მოიხსენია, სპორტის დეპარტამენტისგან ვერავითარი ფინანსური მხარდაჭერა ვერ მივიღე და იგი რომ არა, ყოველგვარ მომზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყოო. მოკლედ, გუშინდელი პრესკონფერენცია წინამორბედთან შედარებით უფრო ოპტიმისტური გახლდათ და ვიმედოვნებთ, ასეთი განწყობა ჩვენებს ლას ვეგასშიც გაჰყვებათ.

**დავით გულუა**

საწყლოსნო სახეობები

# სტამბოლში ჟანგბადის ნაკლებობაა

XXIV European swimming championships
Eni
ISTANPOOL

საწყლოსნო სახეობებში ევროპის 24-ე ჩემპიონატი გვარიანი დაკადაკის შემდეგ მაინც დაიწყო და თურქეთში პირველები გერმანელები ჩავიდნენ, არადა, სწორედ ისინი იმუქრებოდნენ ჩემპიონატის ბოიკოტით. გერმანელებს ქურთი ტერორისტების ეშინოდათ და წინადადებაც წამოაყენეს, იქნებ ჩემპიონატი უფრო მოხერხებულ ადგილას, მაგალითად, მიუნხენში ჩავატაროთო. მოხარშული წაბლიც ხომ არ გინდათო, მიუგო მათ ცურვის ევროპულმა ლიგამ და ჩემპიონატის თურქულ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად არაერთხელ განაცხადა, სტამბოლში ამინდის ჩათვლით ყველაფერი წესრიგშიაო. თუმცა არც მთლად ასე ყოფილა საქმე. სტამბოლში ჩასულებმა მთავარი, ღია აუზის ტრიბუნა სამშენებლო ნაგავით სავსე იხილეს და ის იყო, პროტესტი უნდა გამოეთქვათ, მაგრამ აღარ დასცალდათ, თურქებმა ახალგაზრდების დიდი ჯარი მორეკეს და ნახევარ დღეში დაასუფთავეს იქაურობა. შემდეგ იყო უფრო სერიოზული პრობლემებიც, რომლებიც აუზებში სახტომი კოშკებისა და ტრამპლინების არასწორ კონფიგურაციებს უკავშირდებოდა; და კიდევ სპორტსმენები სავარჯიშოდ დახურულ აუზში განამწესეს, ამან კი მათ ჟანგბადის ხეირიანად მოხმარებაში შეუშალა ხელი და საერთოდაც, გერმანიის ნაკრების ლიდერის, ბრასში მსოფლიოს ჩემპიონისა და რეკორდსმენის, მარკ ვარნეკეს განცხადებით, აუზში წყალიც რაღაც ქიმიკატების სუნით ჰყარს და არც ფსკერია მაინცდამაინც სუფთა. ერთი სიტყვით, მონაწილეები წუწუნს არ ელევიან, თუმცა სტამბოლში პოზიტიური მომენტებიც შეინიშნება: მზე უკვე დილის 7 საათიდან აცხუნებს, აუზებს შემოჯარული დაცვაც ლამის მონაწილეებზე მეტია და ელექტრონიკაც ჩინებულად მუშაობს.

ახლა კი დროა, თავად შეჯიბრზე ვთქვათ, მით უფრო, რომ სინქრონულად მოცურავეთა ტურნირში, ერთეულებში მედლებს პატრონები გამოუჩნდნენ. რუსმა ოლგა ბრუსნიკინამ 99.000 ქულა დააგროვა და ოქრო ირგუნა. ფრანგი ვირჯინია დედუ (97.680) ვერცხლს დაეუფლა, ბრინჯაო კი იტალიელმა ჯოვანა ბურლანდომ (95.880) მოიპოვა. ქრისტინა ფალასინიდი კი მეოთხე ადგილს დასჯერდა. ხუთ კილომეტრზე მოცურავე ქალებში გერმანელმა პეგი ბიუხზემ იმარჯვა (1.01:56,6 სთ), ვერცხლი და ბრინჯაო შესაბამისად იტალიელმა ვიოლა ვალიმ (1.01:57,8) და გერმანელმა ბრიტა კარმაუმ (1.02:00,6) მოიპოვეს.

**დავით გულუა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს იტალიასა და რუსეთში ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის ნახევარფინალები დაიწყება. მასპინძლები შესაბამისად ამერიკელებსა და სლოვაკებს დაუპირისპირდებიან

# შავი შევსება

**იტალია — აშშ**

პირველი ნახევარფინალში ძალები იმდენად არათანაბარია, რომ თვით იტალიურმა პრესამაც კი მატჩი თავისიანებისთვის „შეუსრულებელ მისიად" მონათლა.

სტუმრები ანკონას „ტენის-კლუბში", ლინდსი დევენპორტის გამოკლებით, უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ: კაპიტანმა ბილი ჯინ კინგმა ნაკრებში მონიკა სელეშს, დებ უილიამსებსა და მერე ჯო ფერნანედსს უხმო.

„შესანიშნავია, გუნდი ვეტერანებისა და ახალბედებისგან შედგება. ჩვენს ფედერაციის თასის ერთგულ ვეტერანებს — მონიკასა და მერე ჯოს უკვე არაერთხელ ვუსახელებივართ. ვინუსსა და სერენაზე უკეთეს ახალბედებს კი ვერც ვინატრებდი, ძალიან მოხარული ვარ, რომ ისინი ქვეყნის სახელით იასპარეზებენ".

საქმე ის არის, რომ შავკანიანი დები აქამდე ნაკრებში თამაშზე უარს ამბობდნენ, ჩვენი რწმენა — იელოველობა ამას გვიკრძალავსო. თუმცა ბილი ჯინ კინგის მოწადინებამ, აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის ზეწოლამ და ოჯახის მამა-ბატონის — რიჩარდის თანხმობამ რელიგიურ ცოდვათა სიას ქვეყნის ღირსების დაცვა გამოაკლო და უილიამსები ამიერიდან ფედერაციის თასზეც დასცემენ თავზარს მეტოქეებს.

გარდა უკეთესი მოთამაშეებისა, ისტორიაც კი მომხვდურთა მხარესაა: აშშ-ს იტალიასთან შვიდივე წინა შეხვედრა მოგებული აქვს, ამასთან აპენინელები გათამაშების ნახევარფინალშიც პირველად ასპარეზობენ.

და რას აპირებენ წინდაწინვე დასამარცხებლად განწირულები? მასპინძლების ერთადერთი უპირატესობა მშობლიური კედლებია. გუნდის კაპიტნის, რაფაელა რეჯის განკარგულებაში სილვია ფარინა, რიტა გრანდე, ადრიანა სერა ძანეტი და ტატიანა გარბინი (თუ ამან ტრავმა დროულად მოირჩინა) არიან.

ამათგან კარიერაში საუკეთესოა ოცეულში მხოლოდ სილვია ფარინას შეუღწევია (და სწრაფადვე გავარდნილა), თუმცა იმედი, როგორც თავად მოგეხსენებათ, ბოლოს კვდება და აპრილში ესპანელების 3:2 დამმარცხებელ იტალიელებს პატარა სასწაულის მოლოდინს ვერავინ დაუშლის.

„მათ საუკეთესოთა ათეულში ორი მოთამაშე (კლასიფიკაციით მე-4 ვინუსი და მე-5 სელეში) ჰყავთ, მაგრამ თიხნარის საფარმა და ნელმა ბურთებმა ცოტათი მაინც უნდა გაგვიიოლოს საქმე" — მიაჩნია რეჯის.

ისე, მონიკა სელეშის ანგარიშზე სამი როლან გაროსის ტიტულია, უფროსმა უილიამსმა კი დიდი სათიხნარო პირველობა წლეულს სწორედ იტალიის დედაქალაქში მოიგო.

**რუსეთი — სლოვაკეთი**

რუსეთისა და სლოვაკეთის ნაკრებები წლეულს გუნდურ ჩემპიონატში მაგნიტივით იზიდავენ ერთმანეთს. გასულ უქმეებზე იყო, მოსკოვში იმავე სპორტულ ცენტრ „ოლიმპიურში" კაფელნიკოვმა და კომპანიამ სლოვაკები დევისის თასის მეოთხედფინალში რომ დაამწუხრეს, ერთი კვრის შემდეგ კი ჩოგნებს უკვე ქალებიც გადააჭდობენ.

აგერ უკვე ორი წელია, ტრადიციად იქცა — რუსეთის გუნდი თავის უძლიერეს მოთამაშეს, ანა კურნიკოვას მოისაკლისებს. 18 წლის ჩოგბურთელს 1997-დან მოყოლებული სწორედ ფედერაციის თასის მატჩების დროს ხან ფეხი „წამოსტკივდება", ხან ზურგი, თუ არა და, მიზეზი არასოდეს ელევა, რათა ნაკრებში ასპარეზობაზე უარი განაცხადოს.

„კურნიკოვასთვის არც კი მიხმია. ამაზე ენერგიის დახარჯვაც არ ღირს — მიაჩნია გუნდის კაპიტან კონსტანტინ ბოგოროდეცკის — თუ ჩოგბურთელს, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე უარობს ნაკრებში თამაშს, მასში დაბრუნება სურს,



ვინუს უილიამსი

კეთილი ინებოს და საჯაროდ განაცხადოს ამის შესახებ".

ასე რომ, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ნახევარფინალში კლასიფიკაციით მე-20 ელენა ლიხოვცევა წაუძღვებათ (რომელმაც შარშან თავადაც არ ითამაშა). წყვილებში კი ჩვენი ძველი ნაცნობები — ელენა დემენტიევა და თბილისის ტურნირის შარშანდელი ფინალისტი ელენა მაკაროვა იასპარეზებენ.

თუმცა უძლიერესი შემადგელობა მოსკოვში ვერც სლოვაკებმა ჩაიყვანეს — წლეულს მონიკა სელეშისა და ამანდა კუტცერის მომნადირებელმა ჰენრიეტა ნაგიოვამ რამდენიმე დღის წინ ხელის ტრავმა მიიღო და მომჯობინება ველარ მოასწრო.

ახლა სტუმრებს მთავარ იმედად ვეტერანი კარინა ჰაბსუდოვა შერჩათ, რომელმაც გასულ ორ კვირაში ერთი ტურნირის მოგება და ერთგანაც ფინალში გასვლა მოახერხა.

„არ მგონია, რაიმე მოულოდნელობა მოხდეს, რადგან სლოვაკეთის გუნდს ძალიან კარგად ვიცნობთ. ბევრი რამ თავად ჩვენს მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული" — ესეც ბოგოროდეცკის სიტყვებია.

ამსტერდამი. ჰოლანდია.
ფედერაციის თასის საკვალიფიკაციო ტურნირი.

I ჯგუფი

**ჰოლანდია 3:0 ბელარუსი**

კრისტი ბუგერტი — ნატაშა ზვერევა 6:4, 6:4 (მხოლოდ პირველი ჩოგნების შეხვედრათა შედეგები)

**იაპონია 2:1 სლოვენია**

აი სუგიამა — კატარინა სრებოტნიკი 6:1, 6:2

II ჯგუფი

**ავსტრალია 3:0 ტაივანი**

ელენა დოკიჩი — ვანგ შიტინგი 6:4, 6:2

**არგენტინა 2:1 რუმინეთი**

რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) — პაოლა სუარესი 6:1, 5:7, 6:2

# მოია მწვერვალს ესწრაფვის

შტუტგარტი. გერმანია. „მერსედესის თასი". თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

მეორე წრეში განცდილი ჭირ-ვარამის შემდეგ მერვედფინალში ტურნირის მთავარ ფავორიტებს თითქმის აღარ გაჭირვებიათ.

როლან გაროსის შარშანდელი ჩემპიონის, კარლოს მოიასთვის ეს სეზონი მაინცდამაინც წარმატებული არ გამოდგა: 23 წლის მალიორკელს მარტში კლასიფიკაციაში პირველი ადგილი კი ეჭირა ორი კვირის მანძილზე, მაგრამ



კარლოს მოია

ტურნირის მოგებას ვინ ამბობს, ფინალშიც კი ერთადერთხელ მოახერხა გასვლა.

ამის ახსნა მხოლოდ მოუნდომებლობითა და ფსიქოლოგიური ფაქტორით თუ შეიძლება, რადგან მოიამ წლეულს ლამის ყველა კომპონენტში — მოწოდებაში, მიღებაში, განსაკუთრებით კი ბადესთან თამაშშიც მოუმატა.

თუმცა ესპანელს როლან გაროსის ნახევარფინალისტმა ფერნანდო მელიგენიმ (16) ამჯერად ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია — მოიამ შესანიშნავად ამუშავა ჩვეული მკვლელი ფორჰენდი და 6:4, 6:3 გამარჯვებას საათზე ზუსტად ერთი წუთით ნაკლები დაახარჯა.

როგორც ეტყობა, ესპანელს ბოლოდროინდელი წარუმატებლობები სრულიად არ ანაღვლებს და საკუთარ ამბიციებსაც არ მალავს: „მე მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვიყავი და ისევ მინდა, ვიყო. ცოტა იღბალი, ბევრი შრომა და ამაში შეუძლებელს ვერაფერს ვხედავ".

მეოთხედფინალში მოიას მეტოქე მასპინძელთა ერთადერთი შემორჩენილი ჯილა, 21 წლის ტომი ჰაასი (7) იქნება. გერმანელმა ნორვეგიელ კრისტიან რუუდთან შეხვედრის პირველ ხელში შვიდი სეტ-პოინტის ხელიდან გაშვება მოასწრო, მაგრამ 13 ეისისა და ხშირად უაზრო რისკის ხარჯზე მაინც გაიმარჯვა 7:5, 6:3.

მერვედფინალი: მარსელო რიოსი (3, ჩილე) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 6:4, 6:4; ვინსენტ სპედეა (13, აშშ) — კაროლ კუჩერა (4, სლოვაკეთი) 6:3, 3:6, 7:6 (7:1); ალექს კორეტხა (5, ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (11, ესპანეთი) 2:6, 6:4, 6:1; ნიკოლას ლაპენტი (10, ეკვადორი) — დომინიკ ხრბატი (8, სლოვაკეთი) 7:5, 6:3; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ფრანსისკო კლავეტი (12, ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:2; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:2, 6:1.

**ავთანდილ სვანიძე**

# ბავშვი, რომელმაც ფუჩკას აჯობა

*თებერვალი იყო. ევროპის ვიცე-ჩემპიონი იტალიის ნაკრები თბილისში საქართველოს კალათბურთელთა გუნდს სტუმრობდა. მაშინ ძალიან ცოტა თუ იფიქრებდა, რომ სულ მალე იტალია კონტინენტის საუკეთესო გუნდი გახდებოდა, თუმც მის სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარებოდა და იმ კონკრეტულ შეხვედრამიც ქართველები წინასწარვე განწირულნი იყვნენ.*

*ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მაშინდელი ვარაუდი გამართლდა — ქართველი კალათბურთელები მართლაც დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.*

*... უცნაურია, მაგრამ ის მწარედ გასახსენებელი დღე მოგვიანებით ერთ-ერთ კალათბურთელში ტკბილ მოგონებებს აღძრავს. დრო გავა და ვლადიმერ ბოისა სიამაყით იტყვის, გრეგორ ფუჩკას არ დავეჩაგვრინე და რაღაცით ვაჯობე კიდევაცო.*

*დიახ, ეს ის ფუჩკა გახლავთ, რომელიც ევროპის ბოლო ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს. ამ ავტორიტეტის წინააღმდეგ კი მაშინ, თბილისის სპორტის სასახლეში, სრულიად უსახელო, 17 წლის ვლადიმერ ბოისა იდგა.*

*მწვრთნელთა დავალებით ფუჩკა და ბოისა მთელი შეხვედრის მანძილზე ერთმანეთს მეურვეობდნენ. ვოვამ უმალ დაძლია სასტარტო მღელვარება და მეტოქეს ისეთი რიხით მიექრა, ბევრ გამოცდილ კალათბურთელს შეშურდებოდა. საყოველთაოდ აღიარებულ ფუჩკას დასამტკიცებელი ბევრიც არაფერი ჰქონდა, ბოისას კი...*

*ჰოდა, დაამტკიცა ბიჭმა, დაამტკიცა, რომ ნიჭიერი, ძლიერი და კარგი მომავლის მქონე კალათბურთელია. ციფრებში გნებავთ? კი, ბატონო — ბოისას ჩვიდმეტ ქულას სახელოვანმა ფუჩკამ თხუთმეტით უპასუხა. ალბათ, ამას გულისხმობდა ვოვა, ფუჩკას რაღაცით ვაჯობეო, რომ ამბობდა.*

*სლოვენიაში მოთამაშე და ამჯერად საქართველოში შვებულებით მყოფ ვლადიმერ ბოისასთან ინტერვიუ სწორედ იმ დღის გახსენებით დავიწყე...*

— თავიდან მართლაც ძალიან ვნერვიულობდი. იტალიელთა პირველივე შეტევა ფუჩკამ დააგვირგვინა და ვიფიქრე, ახლა მწვრთნელები შემცვლიან-მეთქი. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ნელ-ნელა მეც საკუთარი ძალების ვირწმუნე. შემდეგ რაც მოხდა, გეხსომებათ და აღარ გავიმეორებ.

**— მოხდა ის, რომ სულ მალე იტალია ევროპის ჩემპიონი გახდა, ფუჩკა ამავე გათამაშების უძვირფასესი მოთამაშე. შენ კი ასეთი მეტოქის წინააღმდეგ 17 ქულა გააზერხე...**

— ეს ნებისმიერი კალათბურთელისთვის საამაყო იქნებოდა. მეც, რა თქმა უნდა, ორმაგად გავიხარე როცა ფუჩკა საუკეთესოდ აღიარეს. შიგადაშიგ ვტრაბახობდი კიდეც.

**— ბევრისგან მსმენია, ბოისა ნაღდი პროფესიონალია, მხოლოდ კალათბურთით ცოცხლობსო. შენი ასაკიდან გამომდინარე, უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიე და თუ ასევე განაგრძე, ვფიქრობ, ის დროც მალე მოვა, როცა შენს წინააღმდეგ წარმატებული თამაშით სხვები იამაყებენ.**

— ღმერთმა ინებოს, ასე იყოს, მაგრამ იქამდე ჯერ ბევრი მიკლია, სამუშაო კვლავაც უამრავი მაქვს, ახალგაზრდული ასაკიც თავისას აკეთებს — 18 წლის ახლახან გავხდი.

სხვა მხრივ ძალიან მსიამოვნებს, როცა ჩემზე ასე საუბრობენ. მე თავს პროფესიონალ სპორტსმენად ვთვლი და მიხარია, რომ ამას სხვებიც ამჩნევენ და აღიარებენ.

**— დაბადების დღეს სად და რა კომპანიაში შეხვდი?**

— ამ დღეს, 4 ივლისს, ყოველთვის რუსთავში, საკუთარ ოჯახში ვატარებ. ეს ისეთი პერიოდია, როცა არსად თამაში არ მიწევს და მეც უმალ სამშობლოში მოვდივარ. როგორც ყოველთვის, ახლაც გუნდელები და რამდენიმე თანაკლასელი მეწვია. მგონი, დასამახსოვრებელი საღამო გამოგვივიდა.

**— განწყობილების ასამაღლებლად ალკოჰოლს სპორტსმენებიც ეტანებიან. შენ როგორ მოიქეცი 4 ივლისს?**

— სიმართლე გითხრა, მეგობრების გარემოცვაში ყოველთვის ჩინებულ ხასიათზე ვარ. ასე რომ, ერთი ჭიქა ღვინო მხოლოდ სიმბოლურად დავლიე და არა სხვა მიზეზით.

**— სლოვენიაში თუ გაიჩინე მეგობრები?**

— ისეთები ვერა, როგორც აქ, საქართველოში, თუმცა რაც არის, ამითაც კმაყოფილი ვარ. თანაგუნდელებთან უკლებლივ ყველასთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, რომელიმეს გამორჩევა მიჭირს.

**— ახლა ის თქვი, შენი ყოფილი კლუბი „პოსტოინა" რატომ დაიშალა?**

— უფულობის გამო. თანხა რომ ვერ შეაგროვეს, განაცხადიც ვერ წარადგინეს ფედერაციაში და დებულების მიხედვით „პოსტოინა" მესამე ლიგაში დაქვეითდა.

**— ამას წინათ ამბობდი, „ოლიმპია" ახლა „სლოვანში" განათხოვრებას მიპირებსო...**

— მეც ასე მითხრეს. „სლოვანს" „ოლიმპიასთვის" შეუთვლია, ბოისა და ერთი მაღალი ცენტრი რომ გყავთ, იქნებ ერთი წლით დაგვითმოთო. უარი არც „ოლიმპიას" უთქვამს და, ალბათ, კარიერას „სლოვანში" გავაგრძელებ. თუმცა, საბოლოო პასუხს როცა ჩავალ, მერე მეტყვიან.

**— იქაური საცხოვრებელი პირობები რამდენად გაკმაყოფილებს?**

— რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს. ქალაქის ცენტრში ყველანაირად გაწყობილი ოროთახიანი ბინა გამომიყვეს. ეგ არის, ცოტა საწოლი მეპატარავება და რომ ჩავალ, აუცილებლად გამოვცვლი. წამოსვლის წინ მაღაზიები შემოვიარე და ერთ საჩემო საწოლს თვალი დავადგი.

**— მანქანას არ შეგპირდნენ სლოვენიელები?**

— მანქანა რა პრობლემაა, უბრალოდ, ასაკი არ მიწყობდა ხელს. ახლა, რაკი თვრამეტის შევსრულდი, რუსთავში მძღოლის სრული კურსი გავიარე და დღე-დღეზე მართვის მოწმობასაც მომცემენ. რომ ჩავალ, ალბათ, „ოლიმპიას" სპონსორის, „სიტროენის" მარკის ავტომანქანასაც დამახვედრებენ. ჩემი ოცნების მანქანა კი მაინც „მერსედესის" ჯიპია.

**— შენი ჯამაგირით შეუძლებელია ამ ოცნების ასრულება?**

— ამ ეტაპზე წარმოუდგენელიც, ეს სიამოვნება ძალიან ძვირი ჯდება. ჩემი ერთი თვის ხელფასით მხოლოდ ნორმალურ „ჟიგულს" თუ ვიყიდი.

**— აქაურ საჭმელებს მიჩვეული იქაურ კვებას როგორ შეეგუე?**

— მაინცდამაინც არ გამჭირვებია. სლოვენიაში ყველაზე პოპულარული კერძი შემწვარი ინდაურია და მეც სიამოვნებით შევექცევი. მონატრებით კი ხინკალი და საცივი მენატრება ხოლმე. ახლაც საქართველოში წამოსვლამდე შინ გადმოვრეკე და დედაჩემს ვთხოვე, საცივი დაეხვედრებინა.

**— ვოვა, ვიცით, რომ ამ ზაფხულს „ნაიკმა" ბარსელონაში საზაფხულო შეკრება მოაწყო და შენც იქ იმყოფებოდი. ამაზე რას გვეტყვი?**

— 1980-81 წლებში დაბადებული 70-მდე კალათბურთელი შევიკრიბეთ ევროპიდან და აზიიდან. ეს წინადადება ერთ-ერთმა სლოვენიელმა მენეჯერმა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი, თუმცა, ვიზის გამო პრობლემები შემექმნა და ბარსელონაში ჩასვლა დამიგვიანდა. იქ სულ ოთხი დღე დავყავი, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**— მაინც რა ხდებოდა ბარსელონაში?**

— მოთამაშეების გარდა, სხვადასხვა ქვეყნებიდან 15-მდე კალათბურთის სპეციალისტი იყო ჩამოსული და მათი მითითებებით ვვარჯიშობდით. დღეში 13 საათი კალათბურთით ვიყავით დაკავებული. დილით ორსაათიანი ვარჯიში, შემდეგ სადილი და ისევ ვარჯიში. საღამოს კი ვთამაშობდით. ექვს გუნდად დაგვყვეს და პირობითად სახელებიც დაგვარქვეს. რომ ჩავედი ჩემს გუნდს, „მაიამის", უკვე ორი თამაში წაგებული ჰქონდა. მერე კიდევ ორი წავაგეთ და მხოლოდ ერთი მოვიგეთ. ამ მინი-ჩემპიონატის გამარჯვებული „ჩიკაგო" გახდა.

**— იქაურ პირობებზე შეგნებულად აღარ გეკითხები...**

— შეუძლებელია ამის გადმოცემა, პირდაპირ სამოთხეში ვიყავით. ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ვცხოვრობდით. თვითონ საკალთბურთო ბაზაც ულტრათანამედროვე ტიპის იყო თავისი ცხრა დარბაზით, საცურაო აუზებითა და სხვადასხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი.

**— ნაცნობ კალათბურთელებს არ გადაჰყრიხარ ბარსელონაში?**

— ასეთებიც იყვნენ, ძირითადად რუსები, რომელთაც ადრეც ვიცნობდი და ახლა უფრო დავმეგობრდით. რამდენიმე ხორვატიც დამიახლოვდა, თუმცა მანამდე ძალიან კურიოზულად გამეცვნენ. ერთ-ერთმა ნაცნობმა რუსმა ხორვატებს ჩემზე მიანიშნა, რომ საქართველოდანააო. ხორვატები მოვიდნენ, ამათვალ-ჩამათვალიერეს და შემეკითხნენ, ქართველი ბოისა თუ გაგიგიაო. მერე-მეთქი, ვკითხე დაბნეულმა. არა, უბრალოდ, გვაინტერესებს ახლა სად თამაშობსო. მე ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, კინაღამ გაგიჟდნენ. მერე კარგადაც ვიცინეთ.

**— მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით უკრაინელი ხარ, ალბათ, უკვე შეეგუე, რომ საზღვარგარეთ როგორც ქართველს ისე აღგიქვამენ.**

— თავიდან, სანამ ჩემს წარმომავლობას შეიტყობდნენ, სლოვენიელებსაც უკვირდათ ჩემი იერის. თითქმის ყველა მეკითხებოდა სტეფანიას სულ სხვანაირი შეხედულება აქვს და შენ ასეთი ქერა რატომ ხარო? შემდეგ ვუხსნიდი და ასე ვაკმაყოფილებდი მათ ცნობისმოყვარეობას. მიუხედავად ამისა, პირანდელი ზედმეტი სახელი მაინც შემრჩა. იქ უმრავლესობა ასე მომმართავს — „გრუზია", რაც მართალი გითხრა, მეამაყება.

ისე რომ იცოდე, ჩემი ზუსტი წარმომავლობის შესახებ საქართველოშიც ერთეულებმა თუ აქვთ წარმოდგენა. გვარი კი უკრაინული მაქვს, მაგრამ სისხლში მსგავსი არაფერი მირევია. მშობლებიც და ნათესავებიც წმინდა წყლის რუსები არიან და მეც თავს რუსად ვთვლი. ბოისას გვარს კი ჩემი ოჯახი შემთხვევით ატარებს. საქმე ისაა, რომ ჩემი ბაბუა მამინაცვალის გვარზე გადასულა და...

**— ვოვა, შენი ძმა ანატოლიც კალათბურთს მისდევს. ისიც, შენი არ იყოს, ოთარ ხმელიძესთან ოსტატდება და იმასაც ამბობენ, ძმაზე არანაკლები იქნებაო. მის სლოვენიაში წაყვანაზე არ გიფიქრია?**

— როგორ არა, თავად სლოვენიელებიც ძალიან დაინტერესებულნი არიან ჩემი ძმით და იქ ჩაყვანას მთხოვენ, მაგრამ მე სხვანაირად ვფიქრობ. ...ნდა, ჯერ სკოლა დაამთავროს და სლოვენიაში წაყვანას მერეც მოვასწრებ. იქამდე კი, იქნებ ამერიკის ვარიანტიც გამოჩნდეს. ჩემი დიდი სურვილია, რომ ტოლიკამ ამერიკულ კოლეჯში გააგრძელოს ვარჯიში, მისთვის ასე უფრო აჯობებს.

**— თუ ასეა, თავად რატომ არ წახვედი შტატებში? რამდენადაც ვიცი, იქაური საუნივერსიტეტო გუნდები არაერთხელ დაგიკავშირდნენ და თავისთან ჩასვლა შემოგთავაზეს.**

— ეგრე იყო, მაგრამ მე მაინც ევროპა ვარჩიე. არ დაგიმალავ და ევროპაში ფულის გულისთვის უფრო წავედი, რადგან მეტ ანაზღაურებას მთავაზობდნენ, რაც ჩემი ოჯახისთვის მაშინ მისწრება იყო. ამერიკაში კი რა უნდა გადაეხადათ? კოლეჯში, ანაც უნივერსიტეტში ვისწავლიდი და მხოლოდ ჰოთ-დოგის და ჰამბურგერის ფულს თუ ვიშოვიდი. ტოლიკას საამისო არაფერი სჭირს, მაგან მხოლოდ კალათბურთზე უნდა იფიქროს, ამიტომ ჯობს, ამერიკაში წავიდეს. დანარჩენს მე მივხედავ.

**— რომელ კლუბში ისურვებდი მომავალში კარიერის გაგრძელებას?**

— ამ კითხვას რამდენიმე ეტაპად ვუპასუხებ. როგორც იცი, მე „ოლიმპიას" საკუთრება ვარ, კიდევ ოთხი წლით ამ კლუბს ვეკუთვნი და პირველ რიგში „ოლიმპიას" ძირითადში მოხვედრაზე და ევროლიგაში თამაშზე ვფიქრობ. ისე, ევროპაში განსაკუთრებულად ესპანეთი და იტალია მხიბლავს და შემდგომში სიამოვნებით ვითამაშებდი „რეალ მადრიდში" ანაც „ბარსელონაში". იტალიურ კლუბებიდან „ტიმსისტემს" ვარჩევდი. აი, „კინდერში" თამაშს კი ნამდვილად არ ვისურვებდი.

**— რატომ?**

— შოკოლადი „კინდერი" არ მიყვარს და იმიტომ (იცინის).

ხუმრობა იქით იყოს და ყველა კალათბურთელის ოცნება მაინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრაა. ჩემი ოცნებაც, ცხადია, ნბა-ში თამაშია.

**— ამას მომავალი გვიჩვენებს. უფრო რეალური კი ამ ეტაპზე „ოლიმპიაში" მოხვედრა და ევროლიგაში წარმატებით გამოსვლა უნდა იყოს.**

— ჩემთვის, როგორც კალათბურთელისთვის, ეს სეზონი ძალიან ბევრს გადაწყვეტს. წლეულს „სლოვანში" მაქსიმალურად უნდა დავიხარჯო და შესაძლებლობებიც სრულად გამოვავლინო, მხოლოდ ასე თუ შევძლებ „ოლიმპიაში" მოხვედრას, თუ არადა, „სლოვანში" გატარებულ სეზონს უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩავთვლი.

*ღმერთმა ინებოს, სულ წინ და წინ ევლოს ვლადიმერ ბოისას. უეჭველია, მისი სახით ქართულ კალათბურთს კიდევ ერთი მაღალი კლასის ოსტატი ეზრდება და ღვთისგან საგანგებო ნიჭით დაჯილდოებულმა ვოვამ თუ შრომაც ჩვეული მონდომებით განაგრძო, სეხნია სტეფანიას მსგავსად, უმაღლესი საკალათბურთო მწვერვალებისკენ გზას ისიც გაიკაფავს.*

**გიორგი ბიკაშვილი**



ვლადიმერ ბოისა



ვლადიმერ ბოისა და მისი ბავშვობის მეგობარი, კალათბურთელი ლევან წიკლაური (მარცხნივ)

# დოროს დრო დამდგარა




## ევროპის კადეტთა ჩემპიონატი

### მეოთხედფინალი

22 ივლისი. ლაშკო

**საქართველო 91:94 საფრანგეთი**

საქართველო: კეიდია (9), მარკოიშვილი (5), ხეცურიანი (3), ტულუში (8), სულაძე (3), ბერიშვილი (15), მარხვაშვილი (15), ფაჩულია (16), უგრეხელიძე (13), ცქიტიშვილი (4)

საფრანგეთი: გუერი (5), მუილარი (23), კაჩმაროვი, ნიჟანი (4), ბონო, დორო (41), ბასეტო (2), ტურიაფი (4), ევტიმოვი (6), ოიონო (9)

პირველი ტაიმი ქართველებმა 43:36 მოიგეს, მაგრამ სტატისტიკური მონაცემებითაც ჩანდა, რომ შესვენების შემდეგ თამაში გაუჭირდებოდათ: ტულუშს, ბერიშვილს, მარხვაშვილს და ცქიტიშვილს 3-3 პერსონალურის მიღება მოესწროთ. პირველ ნახევარში ქართველთაგან ყველაზე შედეგიანი მარხვაშვილი იყო, რომელმაც 15 ქულა გააკეთა. პასიურობდნენ მაღლები — ფაჩულია (7 ქულა), უგრეხელიძე (2) და ცქიტიშვილი (4)

ქართველთა უპირატესობა მეორე ტაიმშიც გადავიდა და 30-ე წუთამდე წინ იყვნენ. მერე კი, ეტყობა, თავი იჩინეს პერსონალურებმა — თუკი სლოვენიიდან მოსულ ოქმს ვენდობით, ტულუში, მარხვაშვილი და ბერიშვილი დაახლოებით ერთდროულად გავარდნენ. მარხვაშვილმა კი ველარაფერი შემატა პირველი ტაიმის მონაგარს.

მაღალმა სამეულმა კი, ფაჩულია-ცქიტიშვილი-უგრეხელიძემ, ოთხ-ოთხი პერსონალურით დაასრულა მატჩი. მეორე ტაიმში უგრეხელიძე და ფაჩულია შედარებით გააქტიურდნენ, ცქიტიშვილმა კი აშკარად ვერ ითამაშა — შესვენების შემდეგ პირად მარაგს ქულაც კი ვერ მიუმატა, მატჩიც 4 მოხსნით დაასრულა, რაც მისი მონაცემების პატრონისთვის დიდი ვერაფერი მაჩვენებელია.

ფრანგები მოგებას 197-სანტიმეტრიან ფორვარდს ჟულიენ დოროს უნდა უმადლოდნენ. ამ 16 წლის ბიჭმა 7-დან 5 სამქულიანი, 17-დან 8 ორქულიანი და 14-დან 10 საჯარიმო ჩააგდო. ეს კი ჯამში 41 ქულაა. ისიც გავითვალისწინოთ, რომ დორომ მატჩი ვერ დაასრულა — 38-ე წუთზე ხუთი პერსონალურით გავარდა. დოროს დროულად შეეშველა ვენსან მუილარი, რომელმაც მეორე ტაიმში 21 ქულა გააკეთა. არადა, შესვენებამდე მუილარს სულ ერთი ბურთი ჰქონდა ჩაგდებული.

ფარი ქართველებმა მოიგეს 34:19, დანარჩენი სტატისტიკური მაჩვენებლებიც დაახლოებით თანაბარია. აი, საჯარიმოები კი ფრანგებმა უკეთ ესროლეს: მათ 44-დან 32 ჩააგდეს (73 პროცენტი), ქართველებმა 39-დან 24 (62 პროცენტი). ჩვენებურების გაცუდებულ საჯარიმოებში ის ორიც შედის, გიორგი მარკოიშვილმა რომ ააცილა მატჩის ბოლო წამებზე.

ერთი სიტყვით, საფრანგეთი, 1997 წლის ანალოგიური ჩემპიონატის მსგავსად, ნახევარფინალში გავიდა, საქართველო კი საუკეთესო შემთხვევაში მეხუთე ადგილს თუ დაიკავებს.

**საბერძნეთი 78:73 ესპანეთი**

საბერძნეთი: კუმბურასი (16), გიზოიანისი (16), ზისისი (12), თეოსი (10), გეორგალისი (8), პაპადოპულოსი (8), მიცოპულოსი (6), გოცისი (2), გალისი, კალაიცაკისი

ესპანეთი: ფერნანდესი (26), კორეასი (15), ლოპესი (15), პერისი (6), ესკობარი (4), ერნანდესი (2), მოლინა (1), ფერისი (2), სონსეკა (2)

გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა. ბერძნებს დიდად წაადგათ თეოფანის კუმბურასის გადამწყვეტ მომენტებში ჩაგდებული ბურთები.

**თურქეთი 65:64 მაკედონია**

თურქეთი: ვეისელოღლუ (2), ილმაზი (7), აქინი (7), ბაირაქი (7), ექმენი (17), ურალი (3), აქფინარი (6), არსლანი (8), ეროლი (1), პასტალი (7)

მაკედონია: იონჩევსკი (5), პ. ანტიკი, სტეფანოვი (3), გოჩევსკი (15), გაიკი (9), ჰაჯივასილევი, მირაკოვსკი (16), ჰაჯიბულუკი (15), ა. ანტიკი (1), პავლოვსკი

თურქეთი მეოთხედფინალში სამადლოდ გავიდა. ისიც გავიხსენოთ, რომ ქართველებმა 30 ქულით გადაუარეს. მაკედონია აშკარა ფავორიტი იყო და 30-ე წუთამდე იგებდა კიდეც, თუმცა 8 ქულაზე მეტი უპირატესობა არ ჰქონია. მაკედონიელ მირაკოვსკის მატჩის გმირად შეეძლო ქცევა, მაგრამ ბოლო წამზე ნასროლი ააცილა. თურქმა ენვერ ექმენმა 17 ქულას 14 მოხსნა დაურთო.

**იუგოსლავია 77:62 ლატვია**

იუგოსლავია: სტეფანოვი (3), ბაკიჩი (15), გაიჩი, მატოვიჩი (17), პავლოვიჩი (8), ჯორჯევიჩი (3), კოვაჩი (9), ბულატოვიჩი (20), ანდონოვი (2), ტომოვიჩი

ლატვია: სკელე (14), სილარაისი, ზელტინსი, პირსკო (2), იანისენოკსი (27), პუჩე (4), კრასტინსი, პილკევიჩსი (6), სილინსი, მელდერისი (6), იანსონსი (3), იაპოვიჩსი

კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონმა იოლად მოიგო. პირველი ტაიმი ასე თუ ისე საინტერესო იყო, მერე კი იუგოსლავიამ გაილაღა. ნემანია მატოვიჩმა ყველა ნასროლი ჩააგდო.

### IX-XII ადგილები

22 ივლისი

**ხორვატია 81:74 რუსეთი**

**პოლონეთი 79:76 სლოვენია**

### XI ადგილისთვის

23 ივლისი

**რუსეთი 82:66 სლოვენია**

### IX ადგილისთვის

23 ივლისი

**ხორვატია 82:64 პოლონეთი**

## ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი

### მეორე ეტაპი

# იტირე, არგენტინა!

22 ივლისი

დომინიკელთა რესპუბლიკა — ურუგვაი 78:71, არგენტინა — ბრაზილია 79:77, კანადა — ვენესუელა 84:55, აშშ — პუერტო რიკო 115:76

აშშ: დანკანი (16), ჰიუსტონი (10), გარნეტი (11), კიდი (7), პეიტონი (17), სმიტი (19), ჰარდევეი (17), გულიოტა (2), ბეიკერი (12), შჩერბიაკი (2), ბრენდი (2)

მეორე ეტაპის ბოლო დღეს 5 ათასი კაცი გულმხურვალედ ქომაგობდა პუერტო რიკოს ნაკრებს, მაგრამ მარტო ქომაგობა რომ იგებდეს... აშშ-ის ნაკრები თავიდანვე 10 ქულით დაწინაურდა და შესვენებისთვის ანგარიში უკვე 53:35 გახდა. კიდევ დასამახსოვრებელი ის იყო, რომ მაყურებლებმა მოედანზე ყინული ისროლეს, ხოლო სკამზე მჯდომი გერი პეიტონი დიდხანს ეკამათა მასპინძელთა ფორვარდ ორლანდო ვეგას.

დანარჩენ მატჩებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. არგენტინელმა კალათბურთელებმა თანამემამულე ფეხბურთელების შური იძიეს და ბრაზილიას გაუსწორდნენ, თუმცა ეს მათთვის ვერაფერი ნუგეშია: ნახევარფინალში არგენტინა აშშ-ს ხვდება, ხოლო სიდნეის ოლიმპიადაზე მხოლოდ ფინალში გასული გუნდები ხვდებიან. მეორე ნახევარფინალში პუერტო რიკო და კანადა შეხვდებიან.

## ევროპული ტრანსფერები

### სლოვენია

# მილიჩი გაოლიმპიელდა

ახლახან იყო, სლოვენიელი ფორვარდი მარკო მილიჩი თურქული ბურსას „თოფაშთან" კონტრაქტს რომ აფორმებდა. უფრო სწორად, ბეჭედდარტყმულ ქაღალდს მხოლოდ მილიჩის ხელმოწერაღა აკლდა. „თოფაში" კი გაიძახოდა, სლოვენიელი უკვე ჩვენიაო.

სინამდვილეში კი, მილიჩს კონტრაქტის რამდენიმე დეტალი არ მოეწონა. ამ კაცს თურქებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს — შარშან „ფენერბაჰჩეში" თამაშობდა და ამ კლუბს დღესაც მილიჩის ვალი აქვს.

თურქეთს გამორიდებულმა მარკომ ბედის ძებნა სამშობლოში განაგრძო. გუშინ ლიუბლიანის „ოლიმპიამ" გამოაცხადა, რომ მილიჩთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნეტავ, სლოვენიელებიც თურქებივით ტყუიან?

შეგახსენებთ, რომ მარკო მილიჩმა წინა სეზონი „ფენერბაჰჩეში" კი დაიწყო, მაგრამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტის დასრულების შემდეგ „ფინიქს სანზშიც" ითამაშა.

### თურქეთი

# რა გახდა ეს ქუთლუაი?

სტამბოლის „ფენერბაჰჩეს" იბრაჰიმ ქუთლუაიზე დიდი ამბავია ატეხილი. კლუბს მისი გაყიდვა უნდოდა, მაგრამ იმხელა ფასი დაადო, რომ საქონელი გაუსაღებელი რჩება. თითქოს სტამბოლის „ულქერს" უნდოდაო, მაგრამ ამ გუნდმა ქუთლუაიში 3 მილიონი დოლარის გადახდას „ეფესიდან" უფუკ სარიჯას 900 ათას დოლარად გადმოყვანა ამჯობინა.

ახლა „ეფესი" მიადგა „ფენერბაჰჩეს" და უთხრა: სარიჯას გაყიდვით ნაშოვნ 900 ათასს ჩაგითვლი, ზედ მურათ ევლიაოღლუს დაგიმატებ და შენ კი ქუთლუაი მომეციო.

„ფენერბაჰჩემ" ეს წინადადება იუარა, სამაგიეროდ ორი ვარიანტი შესთავაზა ეფესელებს. პირველის თანახმად, „ეფესმა" 3 მილიონი უნდა გადაიხადოს ქუთლუაიში, რაც გამორიცხულია. მეორე ვარიანტი: „ფენერბაჰჩემ" უნდა მიიღოს 900 ათასი, ჰუსეინ ბეშოქი, ჰიდაიეთ თურქოღლუ და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს ქუთლუაის. ეფესელებმა კი მიუგეს, ჩემს ვარსკვლავებს (იგულისხმება თურქოღლუ და ბეშოქი) ხურდაში არ ვიძლევიო და საქმეც დაიხურა.

ამასობაში „ფენერბაჰჩემ" გამოაცხადა, რომ თავის რიგებში გადაიყვანა მაკედონიელი უკანახაზელი მირზა კურტოვიკი. მანამდე ამ კლუბმა ამერიკელი ჯერომ რობინსონი (201 სმ, ფორვარდი) და იუგოსლავიელი რადისლავ ჩურჩიჩი (206 სმ, ცენტრი) აიყვანა.

# ტელეკომი ტრანსფერებს მორჩა

ანკარის „ტელეკომი" (იგივე ფ.თ.თ., რომელიც თბილისის „ვითას" ეთამაშა ევროპის საკლუბო თასზე) პირველი თურქული გუნდია, ვინც ამ სეზონის ტრანსფერები მოიმთავრა. ანკარელთა ბოლო შენაძენები არიან უკრაინელი ცენტრი გენადი უსპენსკი (212 სმ, ოდესის „ბიპა მოდადან") და ამერიკელი გამთამაშებელი კენი ვილიამსი (178 სმ, პოლონური „სოპოტიდან"). თურქი კალათბურთელებიდან „ტელეკომმა" აიყვანა „მურათფაშას" ყოფილი ცენტრი ზექი გულაი და „ემლაქბანკის" ყოფილი ფორვარდი უფუკ კაჩარი.

მანამდე კი ანკარის გუნდში ლიუბლიანის „ოლიმპიას" ორი ყოფილი მოთამაშე მივიდა: ფორვარდი ივიცა იურკოვიჩი (206 სმ) და ცენტრი მარიან კრალევიჩი (212 სმ).



## F1 — მეცხრე ეტაპი — ავსტრიის დიდი პრიზი

### A1 რინგი

შპილბერგი, 25 ივლისი



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . **4.318 კმ**

**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . **71 წრე — 306.578 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 16 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 კულთარდი (მაკლარენი) 3 მ. შუმახერი (ფერარი); 4 ირვინი (ფერარი); 5 რ. შუმახერი (ჯორდინი); 6 ვილნევი (უილიამსი)

კვალიფიკაცია ფიზიკელა (ბენეტონი) 1:29.598

### წინა წლების გამარჯვებულები

1984 — ლაუდა (მაკლარენი); 1985 — პროსტი (მაკლარენი); 1986 — პროსტი (მაკლარენი); 1987 — მენსელი (უილიამსი)... 1997 — ვილნევი (უილიამსი); 1998 — ჰაკინენი (მაკლარენი)

### რეკორდები

**ტრასის რეკორდი** . . . . ვილნევი 1:11.814 (უილიამსი, 1997)

**პოულის რეკორდი** . . . . ვილნევი 1:10.304 (უილიმსი, 1997)

# ირვინის ფიქრები — მეც ჩემპიონი ვიქნები

ხვალ ავსტრიის დიდი პრიზია, პირველი რბოლა ამ შვიდი წლის მანძილზე, როცა სტარტზე ვერ გამოვა ყველა ჩემპიონისა თუ ჩემპიონობის მაძიებლის მთავარი და ყველაზე საშიში მეტოქე მიხაელ შუმახერი. ესა და კიდევ არაერთი რბოლა მოეწყობა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გარეშე. ავტოსპორტის მოყვარულთათვის, სულერთია, შუმახერის ქომაგი იქნება ის, ჰაკინენის თუ კიდევ სხვა ვინმესი, ფორმულა 1-ის შეჯიბრებები უეჭველად დაკარგავს ხიბლის რაღაც ნაწილს, ვფიქრობ, საკმაოდ დიდ ნაწილსაც. თუმცა, ერთი კი არის — ინტრიგა, თანაც საკმაოდ მაღალი ძაბვისა დიდი პრიზის რბოლებს ნამდვილად შერჩება. ეს იქნება სახელ და ლიდერმოწყურებულ ირვინისა და ჰაკინენ-კულთარდის ორთაბრძოლები. კიდევ უფრო გამწვავდება დავა კონსტრუქტორთა თასისთვის — „ფერარი" რა თქმა უნდა ყველანაირად შეეცდება აქამდე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას, მაგრამ სავარაუდოა, რომ შუმახერის გარეშე, ამის გაკეთება, ცოტა არ იყოს, გაუჭირდება. თუმცა ვინ იცის, „ფერარის" ბოლიდებში ხომ სილვერსტოუნის შემდეგ ახალი, ძველზე გაცილებით მსუბუქი და მძლავრი ძრავა დგას. ასე რომ მანქანა კარგია და არც უიღბლობისა ეტყობა ჯერჯერობით რამე ირვინს...

დღეს საკვალიფიკაციო რბოლებზე ირლანდიელმა, თუ სახვალიოდ სერიოზული მიზნები აქვს, აუცილებლად უნდა მოიპოვოს პოული თუ არა, პირველ რიგში დადგომის უფლება მაინც, თორემ თუ მოხდა ისე, რომ წინა ორი ადგილი მაკლარენმა დაიკავა, რბოლის მოგების შანსები გაცილებით შემცირდება.

ზემოხსენებულმა ინტრიგამ ახალი ფერები შეიძინა მას შემდეგ, რაც გამომზეურდა ირვინის მორიგი განცხადება:

„როცა შუმახერი დაბრუნდება, აუცილებლად მოუწევს ჩემზე მუშაობა, ისევე როგორც მე ვმუშაობდი მთელი სამი წლის განმავლობაში. ახლა მისი რიგია".

განცხადება განცხადებად, მაგრამ ირლანდიელ მრბოლს კარგად ესმის, რომ გუნდი შუმახერს ახლაც და მომავალშიც განიხილავს როგორც №1 პილოტს, ამიტომაც გაურია მისი სახელდახელო ინტერვიუს ბოლო ფრაზებში მინორული ტონები: „მე არ შემიძლია მუდამ მეორე ვიყო. აქედან ყველაზე იოლი გამოსავალი ის არის, რომ „ფერარიში" დიდხანს ველარ დავრჩები. ეს მენეჯერებმაც იციან და ამაში არაბუნებრივი და უცნაური არაფერია".

**ირაკლი ბერიაშვილი**




REUTERS შპილბერგიდან

ედი ირვინს, როგორც იქნა, პირველი პილოტობა ელირსა

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეორმოცე

# სეკვილასელი საწყალი

*დადგა იმის დროც, რომ გიამბოთ ერთ წესიერ და საწყალ მთაკაცზე, რომელიც ღატაკი იყო და კიბოსგან შეჭმული გარდაიცვალა სეკვილასში, პატარა სოფელში, უდინეს ახლოს რომ ძევს ფრიულის მიწაზე.*

იტალიაო?

დიახ, იტალია იმდენი სახელგანთქმული ადამიანის სამშობლო ყოფილა, რომ ერთი რომელიმე, თუნდაც დიადი მოკრივის გენიოსთა კომპანიაში ხსენება უხერხულიც კი იქნება. ამ უხერხულობას კი ისიც გააძლიერებს, თუ აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი საწყალი მთაკაცი სულაც არ იყო დიადი ვინმე. სიტყვისა და ყალმის გენიოსებს კი იმით თუ მიუახლოვდებოდა, რომ ისინი უარს არ იტყოდნენ ამ ტრაგიკული კაცის ცხოვრების თავის ნაწერებსა და ნახატებში გაცოცხლებაზე.

მთაკაცი ღატაკი გლეხის მეშვიდე, თუ მერვე შვილი იყო, სახელად ერქვა პრიმო კარნერა და იზრდებოდა ზუსტად ისე, როგორც ზღაპარში, ანუ წლობით კი არა საათობით. მადა კარგი ჰქონდა და აგებულებას ხომ ნუ იკითხავთ — თორმეტი წლისას კაი მაღალი მამაკაცის ტანხორცი ჰქონდა. თორმეტი წლისასვე ჩაულაგეს აბგაში საგზალი და საშოვარზე გაისტუმრეს — შენი ხნისამ თავი თვითონ უნდა ირჩინოს, აქ შიმშილით მოგვიკვდებიო.

დაადგა მტვრიან შარაგზებს და გასცდა თავის ქვეყანას. საფრანგეთში მოხეტიალე ქვისმთლელებს გადაეკიდა და ბარე ხუთ წელიწადს მათ შეგირდად იყო. შეგირდი კი ერქვა, მაგრამ მისი ჯანის იმედად იყვნენ, ლოდებს რიყის ქვებივით ისროდა აქეთ-იქით და კვლავ იზრდებოდა. ორ მეტრს აცდენილიყო უკვე და წონითაც კარგახნის წინ გადაებიჯებინა ცენტნერისთვის.

უსწავლელი, პატიოსანი ბიჭი იყო — ოფლითა თვისითა მოიპოვებდა პურსა თვისსა და თუკი რაიმეს გადაინარჩუნებდა, დედას უგზავნიდა.

მოხეტიალე ცირკს გადაეკიდა (მაშინ ბევრი რამ იყო მოხეტიალე სტილისა) და იქ შესთავაზეს გამოსვლა. უარობდა, ჭიდაობისა არა ვიცი რაო, მაგრამ იმპრესარიომ დაამშვიდა — ეს შოუა, ყველა ბრძოლა ჩაწყობილია და ილეთებს თანდათან დაეუფლებიო. საცირკო ფსევდონიმიც მოუგონეს: „საშინელი ჯოვანი, ყველა ესპანეთის ჩემპიონი“. სიმართლე ითქვას და წელიც წამოიდგა — დღეში თხუთმეტ ფრანკს აძლევდნენ და მაყურებელთა შაბაშიც მოსდიოდა.

ახლა კი დროა, ვუწოდოთ მთაკაც პრიმო კარნერას „ანტიკონკია“, ხოლო თუ რატომ — თანდათან გამოჩნდება. ერთხელაც, ქალაქ არკაშონის ბალაგანზე გამოსვლისას, პრიმო კარნერა თვალში მოუვიდა ძველი დროის ცნობილ მძიმეწონოსანს პოლ ჟურნეს. ჟურნემ თავის ძმაკაცსა და განთქმულ მენეჯერ ლეონ სეს დაურეკა — მთაკაცი ვნახე, მოკრივის მკლავი და მუხლი აქვსო.

ლეონ სემ პრიმო კი ნახა, მაგრამ კარგახანს იფიქრა, სანამ რაიმეს შესთავაზებდა. ცნობილია, მძიმეწონოსანთა კრივს გოლიათები არ სჭირდება. გოლიათობა წამგებიანი რამაა. გოლიათებს ვერ გამოვარჩევთ საკრივო უნარით, ვერც საკრივო ჭკუით. აქ კი ოცი წლის ბიჭი, რომელიც ორასექვსი სანტიმეტრის სიმაღლისაა, ასოცდახუთ კილოგრამს იწონის და კრივისა არაფერი გაეგება.

და მაინც ლეონმა გარისკა. პრიმო კი ისედაც ცხვარივით მიმნდობი ბიჭი იყო. გულუბრყვილო მთაკაცი.

მენეჯერს ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა, თუ



პრიმო და ჯინ ჰარლოუ ფილმ „მოკრივე და ქალის“ გადაღებაზე



პრიმო კარნერა და ნიუ იორკელი იტალიელები

კარნერას გაქაჩვა უნდოდა, ხელოვნური ბილიკი უნდა გაეხერხებინა მისთვის. ანუ — ვარსკვლავი შეექმნა. მწვრთნელებმა ახედ-დახედეს მთაკაცს და თქვეს, ამისგან გამოვაო, გოლიათთა შორის გამონაკლისიაო. სულ მალე კი, თხუთმეტი ბრძოლა და თხუთმეტი ნოკაუტი. მერე რა, რომ მოწინააღმდეგეებს წინდაწინ უხდიდნენ ნოკაუტისთვის და თანაც ისეთებს არჩევდნენ, რომ პრიმოს არაადამიანური ძალისთვის ტექნიკა ვერ დაეპირისპირებინა? თავად ახალგამომცხვარმა ვარსკვლავმა ამ ბნელი საქმეებისა არაფერი იცოდა და პატიოსნად ღვრიდა ოფლს. გლეხის ბიჭი იყო. ათი წლის შემდეგ კი ლეონ სემ ყოვლად უსინდისოდ გამოაქვეყნა მემუარები, რომლებშიც წერდა, კარნერა მხოლოდ მაშინ იბრძოდა ალალად, როცა სხვა გზა არ ჰქონდაო. ტყუილი იყო, კარნერამ არაფერი იცოდა.

სეს მთავარი მიზანი ამერიკა იყო — იქ განავარდება დიდ ფულს მოუტანდა.

1929 წლის დეკემბერში პრიმო კარნერამ ელისის კუნძულზე დადგა ფეხი. ისა და სე ნიუ იორკში განთქმულ საკრივო მენეჯერ უოლტ ფრიდმანს მიეწვია. დახედეთ თარიღს და მიხვდებით, რომ ფრიდმანის უკან მაფია იდგა. იმხანად ნიუ იორკულ კრივს პატრონობდა ბილ „ბროდვეი“ დაფი, ღამის კლუბების პატრონი რეკეტირი, „ბროდვეი“ გახლდათ ძმაკაცი იმგვარი ადამიანებისა, როგორებიც იყვნენ ოუნი მედენი და ფრენჩი დე მანჟი (გაიხსენეთ, კლუბ „კოტონის“ პატრონები კოპოლას ფილმი „კოტონ კლაბი“).

ყველა დიდი საკრივო ქალაქი მის ფერხთით იყო. ბრძოლები და ნოკაუტები. ეს ყველაფერი ცირკს გავდა: ჩიკაგოდან ნიუ ორლეანამდე, ფილადელფიიდან ლოს ანჯელესამდე, პრიმო კარნერა ბდღვირს ადენდა ყველას და ყველაფერს. მოწინააღმდეგენიც მონდომებით უშვერდნენ ყბებს.

და მოსახდენი მოხდა — „ბროდვეი“ დაფიმ ლეონ სეს ფული ჩაუდო ჯიბეში და საფრანგეთში გაისტუმრა. პრიმო კარნერა მარტო დარჩა ნიუ იორკში, ოცდაოთხი წლის გულუბრყვილო სეკვილასელი ბიჭი განგსტერთა ხელში. მისი ახალი მენეჯერი კი შეიქნა ლუიჯი სორეზი, დაფის ხელქვეითი.

სანამ დიდი ფულის შოვნას დავიწყებთ, მთაკაცმა უნდა დაისვენოსო და პრიმოც კაბარეში შეუშვეს. გაზეთი და რადიო მისი იყო — დაფი კარგად იხდიდა. და ნახეთ ფოტოები — პრიმო ეხუტება მაქს შმელინგს, პრიმოს მხარზე შეუსვამს მსუბუქი წონის ჩემპიონი ჯო მენდიოლა, აი, მის კუნთებს ეფერება ფერფლისფერთმიანი კინოვარსკვლავი ჯინ ჰარლოუ. მთელი ქალაქი დასდევს მის მანქანას და ეს მაშინ, როცა პრიმო კარნერას არცერთი ფარული ბრძოლა არ გაუმართავს.

და აი, პირველი — დაფიმ „მედისონ სკვერ გარდენი“ იქირავა. ოცი ათასი კაცი მოვიდა და პრიმო კარნერამ პირველსავე რაუნდში დასცა ბიგ ბოი პეტერსონი... „გენიოსი! ახალი საოცრება იტალიიდან!“ ეჰ, შედეგი ჩაწყობილი იყო — ტოტალიზატორი მუშაობდა.

პრიმოს უხდიდნენ, ეს ყველაფერი ჰონორარი ეგონა, იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ეს თანხა ამერიკული ჰონორარისთვის პატარა იყო. გოიმი გვყავს დაჭერილიო, სწორედ ამაზე იყო ნათქვამი. ზედიზედ ოცდაორი ნოკაუტი და არც ერთი ნაღდი.

მაგრამ აი, იაღლიში! კინაღამ... ფილადელფიაში, ყოველ შაბათს მებრძოლმა პრიმომ, გადაქანცულმა და ილაჯგაწყვეტილმა ვერაფერი მოუხერხა „დიდ ჯორჯად“ წოდებულ ზანგს ჯორჯ გადფრის. ჯორჯს ათი ათასი აელო წაგებაში და ნამუსიანი კაცი იყო. როცა შეატყო, რომ კარნერა მისი წამქცევი არ იყო, ქამარქვეშ ამოსცხო და წაგება გაახერხა.

ნაღდი იაღლიში კი მაიამიში მოხდა, როცა ბოსტონელმა პოლიციელმა ჯიმ მელონიმ ისე მოაქცია მთაკაცი, რომ ეს უკანასკნელი მეათე რაუნდში დანებდა. პრიმო ავად იყო, სიცხე ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე მედგრად იბრძოდა. ამ ატრაქციონში მიგვავიწყდა კიდეც, პრიმო კარნერა მამაცი მებრძოლი იყო და მოკრივის ხელობას დიდი მონდომებით ეუფლებოდა. მისი ტექნიკური წინსვლა აშკარა იყო. წაგებას კი დიდად არ დაუმწუხრებია დაფი, მას მელონი არ მოუქრთამავს და ფულიც პრიმოს მოწინააღმდეგეზე დადო.

გამოჯანმრთელებული კარნერა ევროპაში გაემგზავრა და ბარსელონაში, პატიოსან ბრძოლაში დაამარცხა ევროპის რინგის მეფე ბასკი პაოლინო უსკუდუნი — გვარიანი მძიმეწონოსანი. ამით მელონის ამბავი დაავიწყდა ხალხს და ლონდონის „ალბერტ ჰოლში“ ინგლისის ჩემპიონი რეჯი მინი დასცა.

შემდეგ კვლავ ამერიკა: წონადაკლებული, დასვენებული, ჯანიანი, საუცხოო ფორმაში მყოფი კარნერა აქცევს მელონის და აგრძელებს „ჩაწყობილი“ ნოკაუტების სერიას. პრიმო აშკარად მოკრივეა! მას, როგორც მოკრივეს უკვე კოზირები აქვს! და „ბროდვეი“ ახერხებს კარნერასა და იმ დროს უძლიერესი მძიმეწონოსნის ჯეკ შარკის დაჯახებას. შარკი ამტკიცებს თავს მაღალ კლასს და იგებს.

ორი წლის თავზე ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს და ხდება საოცრება. ნაღდი მოკრივე პრიმო კარნერა ამარცხებს ნაღდ მოკრივე შარკის და მას ჩემპიონის ტიტულს ართმევს. ეს მოხდა ლონგ აილენდზე, გარდენ ბოულის ფეცარნაგზე. პრიმო კარნერა მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში! „ნიუ იორკ ტაიმსის“ მთელი პირველი გვერდი გოლიათის საკუთრებაა. დაფი კი დაუნანებლად ჩაუთვლის მას ჩემპიონის თანხას — სამასსამოც დოლარს:

საწყალი კაცისაო და ზოგისა ბამბა ჩხრიალებს და ზოგისა არც კაკალიო...

კვლავ ატრაქციონი?

გაივლის წლები და ტეხასის უნივერსიტეტის მოხუცი პროფესორი ჯეკ შარკი იტყვის, ორივე ბრძოლა ალალი იყოო. ამ ორ ბრძოლას შორის კი პრიმო კარნერას უბედურება შეემთხვევა, „მედისონ სკვერ გარდენში“, მის მიერ მოქნეული მუშტი სასიკვდილო გამოდგება ჯეკ შარკის მოწაფისა და ძმაკაცის ერნი შაafისთვის. ნირწამხდარი პრიმო ყოველდღიურად ლოცულობს, მაგრამ ის უკვე მსოფლიოს ჩემპიონია და დაფი და კომპანია რინგისკენ ექაჩება. პრეტენდენტები თავისას ითხოვენ და პრიმო იოლად ამარცხებს ორ მათგანს.

მესამე მოცილე კი ნებრასკელი ებრაელი მაქს ბერი იყო. ამბიციური, თამხუჭუჭა მებრძოლი, რომელსაც სენსაციურად დაემარცხებინა დიდი გერმანელი მაქს შმელინგი. კარნერა იცნობდა მაქსს, ჰოლივუდში ფილმშიც კი გადაეღოთ ერთად. და აი, დადგა ეს დღეც: 1934 წლის 14 ივნისი. კვლავ ლონგ აილენდი, ორმოცდათორმეტი ათასი მაყურებელი. ეს იყო ნაჯახის ორთაბრძოლა ხესთან. პრიმო იდგა, პრიმო მამაცი იყო, პრიმო იტანდა და პოულობდა ძალას, რომ შეეტია. მაგრამ მაქს ბერი ახალი ფორმაციის მოკრივე იყო. ნაჯახი ყოველთვის ერევა ხეს. დასისხლიანებული პრიმო კარნერას ზღაპარი, ზღაპარი სახელად „ანტიკონკია“ სწორედ იმ საღამოს დასრულდა, მსოფლიომ კი მძიმეწონის პირველი ებრაელი ჩემპიონი მიიღო.

კარნერა დამარცხდა...

კიდევ ორ წელიწადს ცდილობდა და იღწვოდა. განუწყვეტლივ აგებდა და აგროვებდა გროშებს. გამარჯვების გზაზე შემდგარ ჯო ლუისთან წააგო, ლეროი ჰეინსთან წააგო... და „ბროდვეი“ დაფიმ თქვა:

— ჩვენ, ირლანდიელებმა ზომა ვიცით. დამთავრდა...

პრიმო კარნერას ატრაქციონი გასრულდა. ის კრივს გამოეთხოვა 1936 წლის მიწურულს. მომდევნო წელს კი გაზეთებმა შეჰკივლეს: პრიმო კარნერა გაკოტრდა? მას ცხოვრების სახსარი არა აქვს!

გზის ფული „კეტჩის“ ულირს წარმოდგენებში გამოსვლით მოაგროვა.

სამშობლო ელოდა.

გარდაიცვალა 1967 წელს, მშობლიურ სოფელში, გამხდარი და ღატაკი, კიბოთი შეჭმული მოხუცი იყო. ცუდს ვერ ათქმევინებდი ვერავიზე, „ბროდვეი“ დაფის კი აღმერთებდა, აი, კაცი ის იყოო. სამოციან წლებში ჟურნალისტებმა გაიხსენეს, სეკვილასში ეწვივნენ და კვლავ გაიმეორა, დაფის დარი კაცები ქვეყნად აღარ არიანო.

საწყალი მთაკაცი... ის პატიოსანი და ვაჟკაცი იყო, მაგრამ კრივი არ არის კეთილ გოლიათთა საქმე.



ტელეფონი მთაკაცისთვის



მსახიობად ბროდვეიზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად ხართ, ფრანგებო?



REUTERS

რა უნდა მოხდეს, ლანს არმსტრონგმა ტურის ჩემპიონობა დაკარგოს...

ერთი თვის წინ ჯანპაოლო მონდინის „ტურ დე ფრანსის“ ეტაპის მოგება კი არა, ამ შეჯიბრში მონაწილეობაც კი სანატრელი ჰქონდა. მისი გუნდი „კანტინა ტოლო“ საფრანგეთში მიწვეული არ იყო, რადგან რეიტინგით არ ეკუთვნოდა.

თუმცა „შვეიცარიის ტურში“ დატრიალებულმა ამბებმა ყველაფერი შეცვალა. უკრაინელი სერგეი გონჩარის სისხლში ექიმებმა ჰემატოკრიტების ნორმაზე მაღალი შემცველობა აღმოაჩინეს. მას დისკვალიფიკაცია მისცეს. ალბათ, იკითხავთ, ამას „ტურის“ გუშინდელი ეტაპის გამარჯვებულთან რა კავშირი აქვსო? საქმე ისაა, რომ „ტურ დე ფრანსის“ საორგანიზაციო კომიტეტმა უკრაინელთან ერთად ტურნირში მისი გუნდი „ვინი კალდიროლაც“ არ დაუშვა და მწვანე შუქი „კანტინა ტოლოს“ აუნთო.

მონდინიმაც ეს ციდან ჩამოვარდნილი ბედნიერება კარგად შეიშნო და გუშინ ფუტურისკოპში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. იგი 131-ე კილომეტრზე გაექცა პელოტონს ცამეტ სხვა მრბოლთან ერთად, ბოლო ოთხ კილომეტრზე კი კომპანიონების მიტოვებაც შეძლო და იტალიას მეშვიდე გამარჯვება მოუტანა (მარიო ჩიპოლინი — 4, ჯუზეპე გერინი, სალვატორე კომესო).

1997 წლის „შვედეთის ტურის“ მოგებმა იტალიელმა ფრანგთა ურთიერთქიშპობით ისარგებლა. „ყოველთვის უცხოეთში ვიგებ, რადგან იტალიაში სულ ერთი და იგივე მრბოლები პირველობენ“ — განაცხადა მონდინიმ, რომელმაც ფრანგებს საფრანგეთის და მსოფლიოს უმთავრეს შეჯიბრში თუნდაც ერთი ეტაპის მოგების შანსი, ფაქტობრივად, გადაუწურა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე მასპინძელმა დღეს გასამართ ინდივიდუალურ რბოლაში, ანდაც ხვალ ბოლო ეტაპზე იმარჯვოს. თუ ჩვენი პროგნოზი გამართლდა, მაშინ 1926 წლის შემდეგ ფრანგებს „ტურ დე ფრანსზე“ პირველად მოეცარებათ ხელი.

ამაში დამნაშავე კი თვით ფრანგები არიან. გუშინ ლტოლვილთა შორის ისინი ხუთნი იყვნენ, ამ რაოდენობით პროლოგის შემდეგ პირველად მოხვდნენ დაწინაურებულთა შორის, მაგრამ...

როცა მონდინიმ გადამწყვეტი იერიში მიიტანა, ხუთივე ერთმანეთს შესცქეროდა და იტალიელის გამოკიდებას ერთიც არ აპირებდა, ვაითუ, ზედმეტი ძალები დავხარჯო და საბოლოოდ ქვეყანა ჩემმა მეტოქემ ასახელოსო. ასე ერთმანეთის ყურებით კი საქმე რომ არ გამოდის, ქართველებსაც კარგად მოგვეხსენება. ჰოდა, სირილ რობენს მხოლოდ მეორე ადგილი ერგო, საფრანგეთი კი ძალიან დანაღვლიანდა. ყველაზე მეტად საფრანგეთის ჩემპიონი ფრანსუა სიმონი იყო იმედგაცრუებული, იგი ხომ ასეთი ფინიშების სპეციალისტია და თავისი სამშობლოს ღირსების გადარჩენას ყველაზე მეტად მისგან ელოდნენ, მაგრამ „ბორბალში ჯოხი“ ისევ თვისტომებმა გაუყარეს.

საერთო ჩათვლის მოწინავე ათეულში კი არაფერი შეცვლილა. „ტურის“ ქარავანი ნელ-ნელა უახლოვდება პარიზს, ყვითელი მაისურის მფლობელი ამერიკელი ლანს არმსტრონგი კი — ჩემპიონობას. მან ეტაპი წყნარად დაამთავრა პელოტონთან ერთად.

დღეს მეცხრამეტე ეტაპია ფუტუროსკოპში. 57 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლის შემდეგ საუკეთესო სამეულის ვინაობა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით გაირკვევა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეთვრამეტე ეტაპი

ჟონზაკი — ფუტუროსკოპი, 187 კმ

1 ჯანპაოლო მონდინი (იტალია, კანტინა ტოლო) — 4 სთ 17 წთ 43 წმ
2 ჟან-სირილ რობენი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო) — +03 წმ
3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, კაზინო)
4 მარიანო პიკოლი (იტალია, ლამპრე)
5 კლოდ ლამური (საფრანგეთი, კოფიდისი)
6 ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი)
7 სტეფანო გარზელი (იტალია, მერკატონე უნო)
8 იორგ იაკშე (გერმანია, ტელეკომი)
9 ელიო აჯიანო (იტალია, ვიტალიციო)
10 ტიერი ბურგინიონი (საფრანგეთი, ბიგმატი) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 86 სთ 46 წთ 20 წმ
2 ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +6 წთ 15 წმ
3 ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +7 წთ 28 წმ
4 ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) — +10 წთ 30 წმ
5 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — +11 წთ 40 წმ
6 დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) — +13 წთ 19 წმ
7 ანხელ კასერო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +13 წთ 34 წმ
8 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +14 წთ 29 წმ
9 ვლადიმირ ბელი (იტალია, ფესტინა) — +15 წთ 14 წმ
10 კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია, ლოტო) — +18 წთ 27 წმ




## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

**ჟონზაკი** თავის სახელსა და დიდებას წყალსა და კონიაკს უნდა უმადლოდეს. ეს თანამედროვე ბალნეოლოგიური კურორტი „საფრანგეთის ვენახის“ ცენტში მდებარეობს. მსოფლიოში განთქმულ ალკოჰოლურ სასმელს — კონიაკს სწორედ აქ აწარმოებენ. ჟონზაკის უმშვენიერეს ციხე-სიმაგრეს, რომელიც XI-XV საუკუნეებში აშენებულა, ხშირად სტუმრობდნენ საფრანგეთის მეფეები — ანრი IV ბურბონი და მისი შვილიშვილი, მეფე-მზე ლუი XIV.

**ფუტუროსკოპი** „XXI საუკუნეში გაჭრილი ფანჯარაა“. ამ ატრაქციონების პარკმა პირველი დამთვალიერებლები 1987 წელს მიიღო. თუ „მომავლის კინემატოგრაფის“ ახლოს გაცნობა გნებავთ, სწორედ ფუტუროსკოპს უნდა ესტუმროთ — უზარმაზარი ეკრანები, სპეც-ეფექტები... მართლაც კარგი გასართობია. ტურისტებიც მოდიან და მოდიან — მათი რიცხვი 1987 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდება.

## ტურის ლეგენდები

1989 წელი

### გამარჯვებული გრეგ ლემონდი




1989 წლის 23 ივლისი „ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბულ და საინტერესო ფინიშის დღედ ითვლება. ამერიკელმა გრეგ ლემონდმა მხოლოდ და მხოლოდ 8 წამით მოიგო ტურნირი.

ბოლო ეტაპის წინ ყვითელი მაისურა ფრანგ ლორან ფინიონს ემოსა. იგი გრეგზე 50 წამით წინ იყო. სპორტსმენებს ინდივიდუალურად 24 კილომეტრი უნდა გაევლოთ ვერსალსა და პარიზს შორის. რა თქმა უნდა, ფინიონი ის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მრბოლი აღარ იყო, რომელმაც 1983-84 წლებში „ტურზე“ ზედიზედ ორჯერ იპირველა, მაგრამ მაინც ძლიერი გახლდათ.

ფრანგის დევიზი ასეთი იყო: „მოწინაალმდეგეები უნდა გიფრთხოდნენ“. ისიც მუდამ შეტევისთვის იყო მომართული და მეტოქეებიც სულ დაშინებული ჰყავდა. იმ წელს ფინიონმა მილან — სან რემოს კლასიკური რბოლა და „ჯირო დიტალია“ მოიგო. „ტურზეც“, როგორც კი პელოტონი ალპებში ავიდა, იერიში იერიშზე განახორციელა და ლემონდი, ჰოლანდიელი ტეუნისი და ესპანელი დელგადო საერთო ჩათვლაში საკმაოდ ჩამოიტოვა.

1998 წლის გამარჯვებული პედრო დელგადო ფავორიტებიდან ყველაზე ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. პროლოგში უყურადღებობის გამო მან დაახლოებით სამი წუთი დაკარგა, შემდეგ გუნდურ-ინდივიდუალურ რბოლაში შვიდი წუთი დათმო. მართალია, პირინეის მთებში იგი ძალიან ძლიერად გამოვიდა, მაგრამ დაკარგულის ანაზღაურება შეუძლებელი იყო.

ვერსალში სტარტისას გრეგ ლემონდსლა შეეძლო ფინიონისთვის ყვითელი მაისურის წართმევა. ამერიკელს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, მთელი ძალღონე უნდა მოეკრიბა და ბოლო 24 კილომეტრი ძალიან, ძალიან სწრაფად უნდა გაევლო. 1986 წელს ბერნარ ინოს თანაგუნდელმა ლემონდმა ბერნარ ტაპის გუნდ „ლა ვი კლერის“ სახელით მოიგო „ტური“. მაშინ მას განსაკუთრებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ამბობდნენ, ტურს ზედიზედ რამდენჯერმე მოიგებსო. თუმცა 1987 წელს ნადირობისას იგი კინაღამ უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და მისი კარიერაც კარგა ხნით შეწყდა. ორი წლის შემდეგ, ტურის ბოლო ეტაპის წინ მისი მეორე ადგილი უკვე პატარა სასწაული იყო. გრეგ ლემონდს კი „პატარა სასწაული“ არ აკმაყოფილებდა, მას ჩემპიონობა უნდოდა, რაც შეეძლო კიდეც. თანაც ფინიონის მცირედმა ტრავმამაც შეუწყო ხელი...

ჟან-მარი ლებლანი, რომელმაც „ტურ დე ფრანსის“ ხელმძღვანელობის სათავეში იმ წელს ჟაკ გოდე შეცვალა, მოვლენების უკეთეს განვითარებას ვერც ინატრებდა.

**გაგი გურული**



გრეგ ლემონდს გამარჯვება საფრანგეთის ახლანდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა (მარცხნივ) მიულოცა

# იტალიამ მეკობრე გაამართლა!

## პანტანიმ ჰემატოკრიტიკოსები გააჩუმა

**მართალია, ამ გვერდზე ჩვენი მკითხველი მხოლოდ „ტურ დე ფრანსთან“ დაკავშირებულ წერილებს ეცნობა, მაგრამ ახლა გვინდა, ცოტა ხნით ველოსიპედისტთა მეორე დიდ ტურნირს, „ჯირო დიტალიას“ დავუბრუნდეთ. შეგახსენებთ, რომ წლეულს „ჯირო“ იტალიელმა ივან გოტიმ (პოლტი) მოიგო. არადა, ლიდერის ვარდისფერი მაისურა მის თვისტომს, მარკო პანტანის (მერკატონე უნო) ისე მყარად ეპყრა ბოლოსწინა ეტაპამდე, რომ...**

არა, გოტის შარშანდელი „ჯიროსა“ და „ტურის“ მომგებისთვის არც მთებში უჯობნია, არც ინდივიდუალურ რბოლაში და არც „მეკობრედ“ მონათლული პანტანი დამტვრეულა, უბრალოდ, საქმეში „ილ პირატის“ სისხლი „ჩაერია“. დოპინგ-კონტროლზე გამოჩნდა, რომ თავმოტვლეპილ მრბოლს სისხლში ჰემატოკრიტების შემცველობა დაშვებულზე (50 პროცენტი) 2 პროცენტით მაღალი ჰქონდა.

ორგანიზატორებმა კი არც აციეს, არც აცხელეს და მარკო შეჯიბრიდან მოხსნეს. ვინ უსმენდა მას, როცა ამტკიცებდა, სტიმულატორები არ მიმიღიაო, ანდა ზოგიერთ ექსპერტს, რომელთა აზრითაც, ჰემატოკრიტების დონის აწევა უდოპინგოდაც შესაძლებელია... თხუთმეტდღიანი იძულებითი დასვენება, რადგან მის ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნასო — არც მწვადი დაწვეს და არც შამფური, ანუ იმას კი არ ვამტკიცებთ, დოპინგი მიიღე, არამედ ისევ შენთვის ვზრუნავთ, როცა „ჯიროს“ ზედიზედ მეორედ მოგებაში ხელს გიშლითო, უთხრეს პანტანის „კეთილისმსურველებმა“.



მარკო პანტანი

შემდეგ კი დაიწყო მტყუან-მართლის გარჩევა...

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ხუთშაბათს ქვეყანას ამცნო, რომ იგი მარკო პანტანის არანაირ პრეტენზიას არ უყენებდა. „ჩვენმა ანტიდოპინგურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ პანტანის წმინდა სამედიცინო მიზეზების გამო ისეთი წამლის გამოყენება დასჭირდა, რომელიც ჰემატოკრიტების დონეს ამაღლებს. აქედან გამომდინარე, „ჯიროს“ დროს გაკეთებული ანალიზის შედეგების გამოყენება მისი დასჯის მიზნით გამორიცხულია“ — განაცხადა იოკ-ის პრესმდივანმა ანტიდოპინგური კომიტეტის ორდღიანი მუშაობის შემდეგ.

იოკ-ის წარმომადგენელმა იქვე დაამატა, რომ თუ მარკო პანტანი გამართლდა, მისი ორგანიზაცია ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს სთხოვს, ზომები მიიღოს „მერკატონე უნოს“ ექიმის, რობერტო რემპის მიმართ, რომელსაც ბრალად ის ედება, რომ პანტანის ჯანმრთელობას არ გაუფრთხილდა.

რაც შეეხება „მეკობრეს“, იგი კვლავინდებურად აცხადებს, რომ არასოდეს გამოუყენებია არანაირი სტიმულატორი თავისი შედეგების გასაუმჯობესებლად. შეჯიბრებებს კი პანტანი ოქტომბერში დაუბრუნდება, როცა იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

**ნიკა გინტური**

# ოსმალური ევროპა

როგორც იქნა, მოვიდა ეს დღე და სტამბოლში გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში, თავიდან ხმაური დიდი იყო, ბევრ ევროპელს ქურთთა ტერაქტების გამო ეშინოდა თურქეთის დედაქალაქში ჩასვლა, მაგრამ მასპინძლებმა უსაფრთხოების ყველა ზომა მიიღეს და ორმოცდასამი ქვეყნის სპორტსმენებიც ღირსეულად მიიღეს.

ჩემპიონატის გახსნა კი ჭეშმარიტად ეროვნული იყო. ოსმალურად გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა ცეკვა-თამაშით შემოუარეს აუზს.






REUTERS სტამბოლიდან

## კასპაროვი — მსოფლიო

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4




# ნასიმი ბოზბოქრობს

პრინცის ცანცარა ჯადოსანი, ბრიტანელი „პრინც" ნასიმ ჰამედი მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში ჩასულა მამასთან ერთად. „პრინცი" მალაიზიელთა მიერ მიძღვნილ ეროვნულ ხმალსა და საჩემპიონო ქამარს აფრიალებს და აცხადებს, რომ განთქმულ ფილიპინელ ჩემპიონ ლუსიტო ესპინოსას მასთან შეხვედრისა ეშინია. ნასიმი ამხანაგურად ეკრიფება მალაიზიელ ყმაწვილებს, ფიქრით კი ლას ვეგასშია, სადაც 6 ნოემბერს „სიზარზ პალასში" უნდა შეერკინოს ჯერ კიდევ უცნობ პრეტენდენტს.






REUTERS კუალა ლუმპურიდან

# სულ შავნი ბლედისლოუსთვის

ხვალ რომ ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრები „ოლ ბლექსი" (სულ შავნი) სამი ერისა და ბლედისლოუს თასისთვის უნდა შეერკინოს ავსტრალიელ „ვოლაბებს", ადრევე გამოცხადებული ამბავია. შარშან ზელანდიელებმა სამჯერ წააგეს ავსტრალიელებთან და ბოლო ნახევარ საუკუნეში ყველაზე უარესი სეზონიც ჩაიწერეს სარაგბო დავთრებში.

ეს შავ თეთრად გალებილი ოკლენდელი მოწაფენი კი „ბლექ აუთის" ალლუმში ჩართულან და სადღეისოდ ბლედისლოუს თასის ზელანდიაში დატოვებას მოითხოვენ.



REUTERS ოკლენდიდან

# ლოთარიკო, ლოთარიკო

კონფედერაციის თასისთვის კბილებალესილი გერმანიის ნაკრები მექსიკის ქალაქ გვადალახარაშია და თავისი პირველი თამაშისთვის ემზადება. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა ვარჯიშებისკენ მექსიკელ გოგოშკებს გულიც მიუწევთ და ხელიც. დახეთ, როგორ ეცაცუნება ეს უცნობი ქალიშვილი გერმანელთა კვლავაც კაპიტან ლოთარ მათეუსს?




REUTERS გვადალახარადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli